ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№3-4 2015 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

ბადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირდება:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

აღიარებულია რეფერირებულად:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა, ყაზახეთი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: economist_n@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) IS REVIEWED:

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Iinstitute of Techinform

IS KNOWN AS REVIEW BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia (Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana, Kazakhstan).

ADDRES: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
tel.: +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: economist_n@yahoo.com
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3-4(38-39), 2015

ლიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;
საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე; სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; ბია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; რევაზ ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ძაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (თბილისის მერი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ემერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; თამარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; ემერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2015წ.
© გამომცემლობა „ლიი“

ფასი 5 ლარი

The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED 3-4(38-39), 2015

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doctor of Busines Administration, Professor,
Academician, Member of the Presidium
of the Georgian Academy of Business Sciences.
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; REVAZ LORDKIPANIDZE (Deputy of Editor-in-Chief); QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; TAMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI.

საშობაო ეპისტოლე

კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე 2016 7

ინტერვიუ

ინტერვიუ თბილისის მერთან, ბატონ დავით ნარმანიასთან 12

საუბარი საქართველოს ეკონომიკაზე

მიძინებული ქართული კაპიტალი 18

მეცნიერება

ლამარა ქოქიაური - ქართული ფულის კურსის ცვალებადობის შესახებ 25
შალვა სრესელი - ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხისათვის 35
თამარ ბერიძე, მაია სოსელია, თამარ როსტიაშვილი - მდგრადი განვითარები კონცეფციის
რეალიზაციის მექანიზმების შემუშავების საკითხები 40
ვასილ ხიზანიშვილი – „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, როგორც
სტეიკჰოლდერები" 44
ნასყიდა დარბუაშვილი - ინფლაციის თარგეთირება და მისი ტრაგიკული შედეგები საქართველოში
და მსოფლიოში 48
რევაზ კვატაშიძე, შალვა მალაშხია, ნინო მუმლაძე, ნინო ჩხობაძე - ტკილი (მერგელი) როგორც
მნიშვნელოვანი აგრომინერალური ნედლეული თხილის კულტურისათვის 53
ირმა გურაშვილი - წიგნი როგორც განსაკუთრებული სახის პროდუქტი 57
თამთა ფეტელავა - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვის თავისებურებები
თანამედროვე ორგანიზაციებში 62
ანა გუგუშვული - კონკურენციის სფეროში ერთიანი პოლიტიკის უპირატესობა ვიწრო დარგობრივ
რეგულაციებთან შედარებით (საქართველოს მაგალითზე) 69

სტუდენტური ხედვა

ალექსანდრე მაისურაძე - სუბსიდიები და მათი როლი თანამედროვე მსოფლიოში 77
მარიამ ხიზანაშვილი, ნინო გოზალიშვილი - ბოლონიის პროცესი, როგორც ევროკავშირის
რეგიონალური ინსტრუმენტი ეკონომიკური ინტეგრაციის გასაღრმავებლად . . . 81

მართვის ახალგაზრდული სკოლა

ლეილა გიორგობიანი – ორგანიზაციის დოკუმენტური უზრუნველყოფა 84

რეცენზია 86

გახსენება

გამოჩენილი მეცნიერი ლეო ჩიქავა 91

შემოქმედება

ალექსანდრე კვაშილავა - ეკონომიკა, პოლიტიკა და სამართალი 92

CONTENTS

CHRISTMAS EPISTOLE 7

INTERVIEW

Interview with the Mayor of the Tbilisi, Mr. DAVID NARMANIA 12

DIALOGUES ABOUT GEORIAN ECONOMY 19

SCIENCE

Lamara Qoqiauri - About the changeable features of Georgian currency 25

Shalva Sreseli - For Business and State communication matter 35

Tamari Beridze, Maia Soselia, Tamar Rostiashvili - Questions of formation of mechanisms of implementation of concepts of a sustainable development 40

Vasil Khizanishvili - „Civil Society Organizations as a Stakeholders" 44

Naskida Darbuashvili - Inflation targeting and its tragic consequens for Georgia and the world 48

R.Kvatashidze, Sh. Malashkhia, N.Mumladze, N.Chkobadze - Tkili (marl, clay) as an importent agro-mineral raw for nut culture 53

Irma Gurashvili - Book as a particular type of product 57

Tamta Fetelava - Characteristic of conflicts and negotiation in the modern organizations 62

Ana Gugushvili - The advantage of single policy of Competition over the sectoral regulations (Example of Georgia) 69

STUDENT'S VISION

Alexander Maisuradze - Subsidies and their role in modern world 77

Mariam Khizanashvili, Nino Gozalishvil - The Bologna process of the European Union as a regional tool for economic integration 80

THE YIUTH SCHOOL OF MANAGEMENT 84

BOOK REVIEWS 86

კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე 2016

"დღეს ყოველი დაბადებული იშვებს და იხარებს, რამეთუ ქრისტე იშვა ქალწულისაგან" (სადღესასწაულო)

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მამანო და დედანო, ძმანო და დანო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

დღეს ხარობს ყოველი სულდგმული, ცა და ქვეყანა, ხარობს ჩვენი სულები და სამყაროც ივსება ანგელოზთა საგალობლით: ,,დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება".

- რა არის მიზეზი ამ საოცარი სულიერი ზეიმისა?

- ის, რომ მოგვეცა შესაძლებლობა სამოთხისეული ნეტარების მოპოვებისა, დაკარგული სიწმინდის აღდგენისა და სულიერი განახლებისა. დღეს ძე ღვთისა განხორციელდა, რათა ადამიანი ღმერთამდე აღამაღლოს!

"საიდუმლო უცხო და დიდებული ვიხილოთ, ქუაბი ცათა ემსგავსა, ქალწული - ქერუბიმთა, ხოლო ბაგა სახე იქმნა სამყაროისა, რამეთუ დაიტია დღეს ქრისტე ღმერთი, დაუტევნელი, რომელსა ვადიდებთ" (სადღესასწაულო).

მაშ, მივეგებოთ ახლადშობილ ყრმას და გავხსნათ კარნი გულისანი, რათა ჩვენშიც იშვას ქრისტე.

- ვართ კი ღირსნი, რომ იესო მოვიდეს და დაემკვიდროს ჩვენს გულებში?

- რა თქმა უნდა, არა და არც არასდროს ვიქნებით მზად ამ დიდი საიდუმლოსათვის, მაგრამ მოწყალება და სიყვარული ღვთისა იმდენად მიუწვდომელია და უნაპირო, რომ ეს სასწაული სრულდება. ოღონდ ამას თავისი აუცილებელი პირობაც ახლავს.

- კერძოდ?

- ადამიანი თანაზიარი უნდა გახდეს ღვთაებრივი სიყვარულისა.

- როგორ შევძლოთ ეს?

- წმ. პავლე მოციქული მიუთითებს, რომ ღმერთთან კავშირისათვის ადამიანს უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტი რწმენა, სასოება და სიყვარული. ამათ შორის კი უპირატესად სახელდებს სიყვარულს (I კორ. 13.13), რადგან რწმენა და სასოება, მხოლოდ ამქვეყნად არსებობს და ჩვენი მიწიერი ყოფისთვისაა აუცილებელი, ხოლო სიყვარული ჰგიეს უკუნისამდე.

- როგორია ღვთაებრივი სიყვარული?

- ახალმა აღთქმამ განაცხადა საოცარი რამ, _ ,,ღმერთი სიყვარულია"(ინ.4,8).

ამის სრული სისავსით უწყება ვერ შეძლო ვერცერთმა რელიგიამ. ქრისტემდეც და შემდგომაც ადამის მოდგმას არ უხილავს ღმერთი, რომელიც მისთვის მსხვერპლად გაიღებდა თავის თავს და ცხონების ერთადერთ გზას გაუკვალავდა.

,,შეიყვარეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ" (ინ. 13,34); ,,არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მოყვასისათვის (ინ. 15,13.), _ ბრძანებს იესო.

ქრისტიანობამ აბსოლიტურად სხვა გაგება შესძინა მოყვასის ცნებას. მართლმორწმუნეთათვის მოყვასია ყველა, _ მისი ერის თუ სხვა ეროვნების

წარმომადგენელი, ნაცნობი თუ უცნობი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, მდიდარი თუ ღარიბი, კეთილისმყოფელი თუ მტერი!

,,მე გეუბნებით თქვენ, გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენს მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილნი მამისა თქვენისა ზეციერისა" (მთ. 5.44-45).

ეს არის მანამადე არსმენილი და არგაგონილი სიტყვები, მანმადე არსად და არასდროს გაცხადებული სიმაღლე ღვთაებრივი სიყვარულისა.

ასეთი სიყვარულით აღსავსე იყო ჩვენი ხალხი საუკუნეთა მანძილზე. ამიტომაც, თავგანწირვით იცავდა იგი მოყვასს, სამშობლოსა და ჭეშმარიტ რწმენას და, ამავე დროს, სისხლით მორწყულ თავის მიწა-წყალზე სითბოს არ აკლებდა უცხოტომელთ. ჩვენს დევიზად იქცა რუსთველის უკვდავი სიტყვები:

,,მე იგი ვარ...ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად..." ,,სიყვარული აღგვამაღლებს."

ასეთმა დამოკიდებულებამ, ცხოვრების ასეთმა წესმა გადაგვატანინა ათასგვარი ქარტეხილი და დღემდე მოგვიყვანა. ჩვენ კი როგორ ვცხოვრობთ?

აშკარად ჩანს, რომ მსოფლიო კარგავს ჭეშმარიტი სიყვარულის განცდას და მის ადგილს ვირტუალური გრძნობები და გაყალბებული სიყვარული იკავებს. ასეა აქაც.

სხვადასხვა გატაცებას, რომელიც ადამიანს ხანმოკლე დროით ეწვევა ხოლმე, დღეს სიყვარულს უწოდებენ. იგი, პირველ რიგში, ნამდვილი სიყვარულისაგან იმით განსხვავდება, რომ თავგანწირვის უნარისგან თითქმის სრულად დაცლილია, საკუთარ ინტერესებზეა ორიენტირებული და არსებობს მანამ, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების ეგოისტურ ზრახვებს რაიმე საფრთხე არ დაემუქრება.

ბუნებრივია, ასეთ გრძნობებზე დამყარებული ურთიერთობა მყიფეა, ხანმოკლე და მას არაფერი აქვს საერთო თავდადებულ, ნამდვილ სიყვარულთან.

მოჩვენებითი სიყვარული არის დღევანდელი ოჯახების რღვევის მთავარი მიზეზიც. ცოლ-ქმარს აღარ შეუძლიათ ერთმანეთს სათანადო პატივი მიაგონ, დადგნენ პირად ინტერესებზე მაღლა და უღელი ერთად გასწიონ. რაკი მათ სიღრმისეული გრძნობები არ აკავშირებთ, მცირედი უსიამოვნებების გამოც ადვილად ამბობენ უარს პასუხიმგებლობაზე და 'ახალი სიყვარულის" ძებნას იწყებენ.

ზოგიერთი ოჯახი შეიძლება არც დაინგრეს, მაგრამ უსიყვარულობამ მუდმივი ჩხუბი და უთანხმოება წარმოშვას; ასეთ გარემოში კი ბავშვები ითრგუნებიან და მძიმე ხასიათი უყალიბდებათ.

აცნობიერებს კი ამას დედ-მამა? აცნობიერებენ, რომ მატერიალური უზრუნველყოფა რომც ჰქონდეთ მათ შვილებს, ბავშვებმა თუ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სასწავლებელში, ოჯახში, ვერ დაინახეს ერთგულება, პატივისცემა, პატიების, სხვისთვის მსახურებისა და გულითადობის მაგალითი, თავადაც ამ გრძნობებისაგან დაცლილნი და ნაკლულევანნი იქნებიან, რაც შემდეგ მათ პირად ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედებს.

მშობლები ამ ცოდვას როგორ გამოისყიდიან?

ქორწინება ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლოა. ეს არის ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება სულიერი და ხორციელი ერთობისათვის, რათა ერთმანეთს შეეწიონ იმ მდგომარეობის მისაღწევად, რასაც გულისხმობს განღმრთობა.

ეს პროცესი ჰგავს ოქროს გამოდნობას, რაც ოჯახურ ყოფაში ვლინდება ღვთის სადიდებლად ურთიერთმსხვერპლშეწირული სიყვარულით, განსაცდელთა ერთობლივი დათმენით და მოყვასისადმი მსახურებით.

რა თქმა უნდა, განღმრთობის მიღწევის სურვილი არის ბერ-მონოზვნური ცხოვრების მთავარი აზრიც, ოღონდ ამ შემთხვევაში სრულყოფის პროცესი განსაკუთრებულ მოღვაწეობას გულისხმობს. იგი უფრო რთული გზა არის და ნურავინ იფიქრებს, რომ ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ თავზეა ორიენტირებული. ბერ-მონოზვნობა არის ასკეტური მსახურება ღვთისა და მოყვასისათვის ამ სიტყვის ფართო გაგებით.

წმინდა წერილი ბრძანებს: ,,შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი" (დაბ.1.27), _ როგორი დიდი აზრია ჩადებული ამ წინადადებაში, რომელიც გვიცხადებს, რომ უფლის სადიდებელად მოწოდებული მარტომყოფობაც და ცოლ-ქმრის თანაცხოვრებაც დალოცვილია და ცხოვრების ამ წესის დარღვევა, მოშლა, ან დამახინჯება არ შეიძლება.

უსიყვარულობასთან ერთად ჩვენი ყოფისთვის მეტად დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა ისეთი აზროვნებისთვის ხელშეწყობა, რომლისთვისაც ცოდვა აღარ არის ცოდვა, არამედ - ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, ხოლო ცოდვის სიყვარული, _ თურმე ნამდვილი სიყვარულის ერთ-ერთი სახე. სიტუაცია ისე ვითარდება, რომ უფლის მიერ დადგენილი მცნებების შეცვლაც კი სურთ, რათა ღვთისაგან არ იქნენ მხილებულნი,

არამედ, მისაღებნი გახდნენ ყველასათვის. ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესს, დამცირებისა და დაცინვის ობიექტი ხდება.

ეს არც არის გასაკვირი. ჯერ კიდევ ბრძენი სოლომონი წერდა: ,,ღვთისმგმობელის დამრიგებელი დამცირებას მიიღებს, ბოროტეულის მამხილებელი, - შეურაცხყოფას" (სიბრძნ. სოლ. 9,7).

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. რა თქმა უნდა, მას უყვარს ძე შეცდომილიც, ოღონდ მონანული, მაგრამ სძულს ცოდვა. ქრისტე მკვეთრ ზღვარს ავლებს სიკეთესა და ბოროტებას შორის და ამბობს: ,,არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა" (მთ. 10.34).

გავიხსენოთ პავლე მოციქულიც: ,,ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს... ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი" (Iკორ. 6.9-10).

მათდამი ჩვენი სიყვარული იმით უნდა გამოვხატოთ, რომ ვეცადოთ, როგორმე დავანახოთ მათი ცდომილება. ერთი პიროვნების სწორ გზაზე დაყენებაც კი, კეთილისმყოფელის მრავალ დანაშაულს დაჰფარავს. თუმცა ამის მიღწევა ადვილი არ არის, მით უმეტეს დღეს, როდესაც ამპარტავნების ხარისხი იმდენად დიდია, რომ ადამიანი ვეღარ იტანს შენიშვნას.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ხშირად სხვაში ვხედავთ გამოსასწორებელ ნაკლს და საკუთარი თავი გვავიწყდება. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამბობდნენ: ,,შეიცანი თავი შენი;" რომაელებიც იმეორებდნენ: ,,NOSCE TE IPSUM." სახარებაც გვარიგებს: ,,რატომ ხედავ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში დირესაც ვერა გრძნობ?" (მთ.7.3).

საკუთარი თავის შეცნობა ზოგიერთს ადვილი ჰგონია და არ იცის, რომ სინამდვილეში პიროვნების სამსახოვნებასთან აქვს საქმე: 1. როგორადაც თვითონ ხედავს იგი საკუთარ თავს. 2. როგორც სხვები ხედავენ მას და 3. როგორიცაა ის სინამდვილეში.

ყველაზე რთული ამ მესამე მდგომარეობის აღმოჩენაა, რადგან ჩვენში არსებული ამპარტავნებით სავსე ეგოისტური ,,მე" ჩვენს სისუსტეებსა და მცდარ ნაბიჯებს მუდმივად გამართლებას უძებნის და შემწყნარებელია მათ მიმართ; ეს კი რეალობის შეგრძნებას გვიჩლუნგებს.

გონიერია ის, ვინც სწორად განსჯის უნარს შეიძენს და თავის შინაგან სამყაროში ჩახედვისას არაფრის შელამაზებას არ მოინდომებს.

მაშინ მიემსგავსება იგი იმ ჭეშმარიტ მჭვრეტელს, რომელიც უკვე ნათლად ხედავს თავისი სულის აქამდე ბუნდოვან, ან თუნდაც სრულიად უცნობ, ფრიად დაზიანებულ სამყაროს და მისი აღდგენისა და განახლებისაკენ ისწრაფვის.

ჩვენი ნამდვილი ,,მე-ს" დამახინჯების მიზეზი არასწორ ქმედებებთან ერთად ცუდ-მეტყველება და ცუდი აზრებია.

საერთოდ, სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი მისდამი ზერელე დამოკიდებულებას ვიჩენთ და ვერ ვაცნობიერებთ, რომ მას მარადიულ სიკვდილ-სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს.

რატომ აქვს სიტყვას ასეთი დატვირთვა?

წმინდა იოანე მახარებელი მაცხოვარზე საუბრით იწყებს თავის სახარებას და ასე წერს: ,,პირველითგან იყო სიტყვა" (ინ. 1.1).

დიახ, მოციქული, რომელმაც განგვიცხადა, რომ ღმერთი სიყვარულია, სიყვარულთან ერთად, მას სიტყვადაც სახელდებს, რითაც ხაზს უსვამს მაცხოვრის საღვთო, ბუნებით ძეობას და ამასთან ცხადყოფს მამის და მხოლოდშობილი ძის, სიტყვის, შემოქმედებით ძალას, რადგან ძე, როგორც შემოქმედი, მამისაგან ცალკე არ განიხილება: ,,სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა... და ყოველივე მის მიერ შეიქმნა"(ინ. 1.1-3).

სამყაროს წარმოშობის შესახებ ბიბლიაში წერია: ,,თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი...და იქმნა ასე. თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დრო-ჟამის აღმნიშვნელად...და იქმნა ასე"(დაბ. I. 3,6,7,14,15)...

ანუ სიტყვით ხდება დაბადება, ქმნილებათათვის სიცოცხლისა და ფუნქციის მინიჭება, რაც ღმერთის თვისებაა!

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვა-სახელს, როგორც პიროვნებისათვის, ისე საგნისა თუ მოვლენისათვის, რადგან მასში ჩადებული შინა არსი ბევრ რამეს განსაზღვრავს. სახელდება თავდაპირველად ყოვლადწმინდა სამების მიერ მოხდა:

,,ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე,...მყარს ღმერთმა უწოდა ცა, ხმელეთს, - მიწა (დაბ.1.5.8.10), ადამსაც სახელი მან დაარქვა...

შემდეგ კი ღმერთმა მეტყველების უნარი და სახელდების უფლება, ცოცხალ არსებათა შორის ერთადერთს, თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს უბოძა, როგორც შესაქმის გვირგვინს.

ადამმა სახელი დაარქვა პირუტყვებს, ცის ფრინველთ და ველის ცხოველთ, ასევე მის შემწედ

შექმნილ ქალს; დაცემის შემდგომ ადამიანმა სახელები უწოდა თავის შთამომავლთ, საგნებს, გარემო-სამყაროს და ა.შ.

სამოთხეში ურთიერთობა ღმერთსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის სრულიად დაუბრკოლებელი იყო და პირველმშობლები ერთიმეორეს აზრისმიერად ეზრახებოდნენ. ცოდვით დაცემის შემდგომ კი ეს კავშირი დაირღვა; ჩვენი გრძნობების გამოსავლენად და ერთმანეთთან ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელობა გაჩნდა მატერიალური სიტყვისა.

ღმერთის მსგავსად, ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვასაც ძალა აქვს. ოღონდ, უფლისგან განსხვავებით, მისი ძალა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

იცოდეთ, არცერთი სიტყვა უკვალოდ არ ქრება და ღვთის წინაშე ჩვენი მეტყველების გამოც განვისჯებით. ამიტომაც წერს მათე მახარებელი: ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს, რადგან ჩვენივე სიტყვებით განვმართლდებით და ჩვენივე სიტყვებით გავმტყუნდებით (მთ.12,36).

ჩვენ კი როგორი უგულისხმონი ვართ! ფუჭ საუბარზე რომ აღარაფერი ვთქვათ ნახეთ, როგორი შემწიკვლებულია ჩვენი ბაგეები დაცინვით, რისხვით, შეურაცხყოფით, ცილისწამებით, სიცრუით, სიტყვის გატეხვით, უმადურობით, ცრუ ფიცით, წყევლით, გინებით...

,,ენა მცირე ასოა, და დიდად კი მძლავრობს; აჰა, რა მცირე ცეცხლი ბუგავს დიდ ტყეს" და ,,სავსეა მომაკვდინებელი გესლით" (იაკ.3,5, 8).

,,ენით ვაკურთხებთ ღმერთს და მამას და ენითვე ვგმობთ ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ კაცთაც" (იაკ. 3;9). ამიტომაც, თუ ვინმეს ,,ღმრთისმოყვარე ჰგონია თავი და ლაგამს არ ამოსდებს ენას, იცოდეს, ფუჭია მისი ღვთისმოსაობა" (იაკ.1, 26).

ერთმა კაცმა სოკრატეს ჰკითხა: იცი რა უთქვამს შენზე შენს მეგობარს?

სოკრატემ კითხვა შეუბრუნა: ,,დარწმუნებული ხარ, რომ რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?

- ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რადგან სხვისაგან მოვისმინე.

- რაც უნდა მითხრა, კარგი ამბავია?

- არა, პირიქით.

- ე.ი. შენ უნდა მითხრა რაღაც ცუდი, და არც იცი, ეს რეალობას შეესაბამება თუ არა. სარგებლობის მომტანი თუ მაინც არის?

- ვფიქრობ, არა.

- ,,თუ ინფორმაცია, რომელიც გინდა მომაწოდო, არ არის არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო, რა აზრი აქვს მის თქმას?!" - უპასუხა სოკრატემ და განეშორა მოსაუბრეს.

დღეს ასე ცოტა ვინმე თუ მოიქცევა.

ჩვენმა ყოფამ ინტრიგას დიდი გასაქანი მისცა, ფაქტობრივად, ცხოვრების წესად აქცია იგი და ადამიანი სრულიად დაუცველი დატოვა. ეს ქვეყანას ძალიან დააზარალებს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტიც, რომ დიდი ხანია, ვაჟებიც და ახლა უკვე გოგონებიც საკუთარი მშობლების მისამართითაც არ ერიდებიან ბილწსიტყვაობას და ვერც ხვდებიან, რომ თავის თავს იწყევლიან და სასტიკ სასჯელს განიწესებენ, რადგან მშობლის შეურაცხმყოფელს ღმერთი განსაკუთრებულად სჯის.

საერთოდაც, წახალისება ხდება უცენზურო გამოთქმების და ტირაჟირება ავადმყოფური აზრების. ეს სიკვდილის გზაა, ჯოჯოხეთის წყვდიადისკენ მიმავალი გზა. ღმერთმა ყველა იხსნას ასეთი დაცემისაგან, მისცეთ სიტყვა წმინდა და მართალი და გულისხმისყოფა ბოროტისაგან თავის დასაღწევად.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი საქმე, რაც კი შეიძლება ამქვეყნად აღასრულოს ადამიანმა, არის ლოცვა. იგი საუბარია ღმერთთან, სინანულია, მის წინაშე სულისა და გულის განფენაა. ეკლესიის და სასულიერო პირებისათვის ლოცვა პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ იგი ასევე მოვალეობაა საერო პირთათვის.

აი, როგორ გვარიგებს მოციქული: ,,უჭირს რომელიმე თქვენგანს? ილოცოს; ხარობს ვინმე? ფსალმუნი იგალობოს...რწმენის ლოცვა იხსნის სნეულს...და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტევება; ილოცეთ ერთმანეთის გამო...ბევრი რამ ძალუძს მართლის ლოცვას"(იაკ. 5. 13, 15-16).

მართალში კი მაცხოვრის მცნებებით მცხოვრები პიროვნება იგულისხმება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულით იქნება შემოსილი, რადგან ,,სიყვარულია სიმტკიცე სრულქმნილებისა" (კოლ.3,15).

ასეთი ადამიანი სხვათაგან დიდად განირჩევა. იგი ,,სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ შეჰხარის უსამართლობას, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს (Iკორ. 13.4-9). სიყვარულის გარეშე კი, ღვთის წინაშე, ნებისმიერი სათნოება აზრს კარგავს და უქმდება. აი, რა სულისშემძვრელ სიტყვებს ამბობს წმ. პავლე მოციქული:

,,კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ

ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე...წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს სრული რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ... მთელი ჩემი ქონება რომ გავყიდო გლახაკთათვის, და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არარას მარგია" (I კორ.13.1-3).

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ღვთაებრივი სიყვარული მოვიპოვოთ. ეს უნდა იყოს კაცთა მოდგმის ცხოვრების მიზანი. ამიტომაც ბრძანებს წმინდა წერილი: ,,გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, - აი, უპირველესი მცნება და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" (მარკ.12.30-31).

როგორცწმინდაიოანეოქროპირიწერს:,,ღმერთმა მრავალი გზა დასახა მასთან მისასვლელად. ზოგნი ქალწულებით ბრწყინავენ, სხვანი ქორწინებით განდიდნენ, კიდევ სხვანი ქვრივობაში უბიწოების დაცვით შეიმკვნენ, ვიღაცამ მიწიერი სიკეთენი სრულად უარყო, ზოგმა, _ სანახევროდ;

ცოდვამ გძლია? სინანულით, აღსარებითა და ზიარებით განიწმინდე.

მდიდარი ხარ? - მოწყალება უხვად გაეცი.

თუ გიჭირს და სხვას მატერიალურად ვერ შეეწევი, ავადმყოფს მიხედე, პატიმარი მოინახულე, ჭიქა წყალი მწყურვალს მიაწოდე, მწირი შეიფარე, მტირალთან იტირე, ვინმე სიტყვით ანუგეშე...

თუ ისეთი ღატაკი ხარ და დავრდომილი, რომ ვერავის დაეხმარები, უდვრტვინველად გადაიტანე ეს ყველაფერი და მართალი იობივით უდიდეს ჯილდოს მიიღებ.

ამგვარი იყო სახარებისეული ლაზარეს სათნოება. მას თავისთვის საზრდოც არ ჰქონდა, ვერც ავადმყოფს შეეწეოდა და ვერც საპყრობილეში მყოფს, რადგან უძლურების გამო, წამოდგომის უნარიც არ ჰქონდა, ამასთან ხედავდა სასტიკთა და უსჯულოთა პატივსა და განცხრომას და ერთი სიტყვაც არ დასცდენია გულისწყრომისა, არამედ მხოლოდ მადლობდა ღმერთს ყველაფრისათვის.

აი, ასეთი ცხოვრების გამო დაიმკვიდრა მან აბრაამის წიაღი."

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ხორცისა და სულის ტკივილს გაუძლო ისე, რომ განკითხვაში არ ჩავარდე; ეს მოწამეობის ტოლფასია და სათნოებათა მწვერვალი. ჩვენს დროში ბევრი გაჭირვებულია და დავრდომილიც და თუ ვინმე შეძლებს წმინდა ლაზარესავით უდრტვინველად, მადლობით მიიღოს განსაცდელი, დიდების გვირგვინს მოიპოვებს.

ამ ეპისტოლეში ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს შევეხეთ მხოლოდ. ბუნებრივია, პრობლემები გაცილებით მეტი გვაქვს, ამას ემატება მთელს მსოფლიოში შექმნილი ფეთქებადსაშიში მდგომარეობა, ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღვრილი სისხლი, დევნილთა სიმწარე და ხვალინდელი გაურკვეველი დღის მოლოდინი... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მეტად მძიმეა, მაგრამ უფრო საშიში ხორცის მოკვდინება კი არა, სულის წარწყმედაა!

უფალი მოწყალეა. მთავარია, შევიცნოთ თავი ჩვენი, გავაცნობიეროთ, სად არის ოქროს შუალედი, სადამდე უნდა ჰქონდეს ზღვარი ჩვენს ქმედებას, ჩვენს თავისუფლებას, რომ იგი უარყოფითი შედეგის მომტანი არ იყოს. მოვუსმინოთ ერთმანეთს, უარი ვთქვათ კატეგორიულ აზროვნებაზე, უარი ვთქვათ ჩვენს სისუსტეებზე, რათა შევძლოთ სულიერად განახლებული ცხოვრება დავიწყოთ, რომ ჩვენზეც აღსრულდეს პავლე მოციქულის სიტყვები:

,,ოდესღაც ზოგიერთი თქვენგანი ცოდვის მონა იყო, მაგრამ განიბანეთ, მაგრამ განიწმინდეთ, მაგრამ განმართლდით უფლის ჩვენი იესო ქრისტეს სახელით და ღმერთის ჩვენის სულით." (Iკორ.6,11)

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, უდინნო, ქურთნო, იეზიდნო, ბერძენნო, რუსნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ებრაელნო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო შვილნო ივერიისა, ჩვენს სამშობლოში მკვიდრნო და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, ანთებული სანთლით კვლავაც მივეგებოთ ბეთლემს მიმავალ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსა და მართალ იოსებს. დავითის ქალაქს უკვე უახლოვდებიან მოგვნი, სადაცაა მწყემსებიც მოისმენენ ანგელოზთა საგალობელს. მაშ, ჩვენც ნუ დავყოვნდებით, სულით მივეახლოთ ახალშობილ ყრმას და მუხლმოდრეკით შევთხოვოთ: შენი ვარ, გვაცხოვნე ჩვენ!

ყველას გილოცავთ შობა-ახალწელს და გისურვებთ, რომ ამ დღეების მადლით მოხდეს ჩვენი განწმენდა, განახლება და სიკეთით აღვსება. შევიყვაროთ და გავიხაროთ ერთმანეთით; მაშინ ღმერთიც შეგვიყვარებს და გვაცხოვნებს.

ღმერთმა დაგლოცოთ და სულიერად აღგამაღლოთ.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი, შობა ქრისტესი, 2015-2016 წელი

ინტერვიუ თბილისის მერთან ბატონ დავით ნარმანიასთან

- ბატონო დავით, პირველ რიგში შობა-ახალ წელს გილოცავთ, მრავალს დაესწარით და წარმატებული ყოფილიყოს ახალი 2016 წელი თქვენთვის, ქალაქისთვის და სრულიად საქართველოსთვის. . .

- თქვენც გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ.

- სანამ კონკრეტული მიმართულებით დაგისვამდეთ კითხვებს, მოდით, ზოგადად შევაჯამოთ გასული 2015 წელი. რით იყო გამორჩეული 2015 წელი თქვენთვის, მერიისთვის, ქალაქისთვის, რომელიც ყველაზე მასშტაბურად შეიძლება ჩაითვალოს?

- 2015 წელი ჩვენთვის ძლიან მნიშვნელოვანი წელი იყო, ვინაიდან ქალაქ თბილისში ძალიან ბევრი საქმე გავაკეთეთ და ძალიან ბევრი საერთაშორისო და ევროპული მნიშვნელობის ღონისძიებას უმასპინძლა ჩვენმა ქალაქმა. შეიძლება სრული პასუხისმგებლობით ვთქვათ, რომ ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებები, რაც 2015 წელს ჩატარდა ჩვენს დედაქალაქში როგორც ეროვნული მთავრობის ისე ჩვენი ორგანიზებით და ხელშეწყობით, ასეთი ბოლო წლების განმავლობაში არასოდეს ყოფილა. შეიძლება მათგან რამდენიმე გამოვყოთ. ეს იყო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის - EBRD-ის წლიური კონფერენცია თბილისში; ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი; UEFA-ს სუპერთასის ფინალი; აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონფერენცია. ასევე, სპორტული მიმართულებით ჩატარდა სხვა ევროპული მნიშვნელობის ღონისძიებები და შეჯიბრებები. აქედან გამომდინარე საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი და რეჟიმი იყო 2015 წელს და არა მხოლოდ ამ თვალსაზრისით. ჩვენ ძალიან ბევრი პროექტი და პროგრამა განვახორციელეთ იგივე ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი სამუშაოებისთვის. მომზადდა და აშენდა ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა, მ.შ. ხუთი ახალი სპორტული ობიექტი, ხოლო ექვსი ობიექტის რეაბილიტაცია ჩატარდა. სრულად მოხდა დინამოს სტადიონის მოდერნიზაცია UEFA-ს სტანდარტების შესაბამისად და 20 მილიონი ლარი ჩაიდო ამ ყველაფერში, როგორც ქალაქის, ასევე, ცენტრალური ბიუჯეტიდან. ასევე, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის

მოწესრიგების თვალსაზრისით, ისევე, როგორც ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრების მხრივ, ძალიან ბევრი პროექტი განხორციელდა. მათ შორის გამოვყოფდი თბილისის ზღვის შემოვლით გზას, ვაკე-წყნეთის დამაკავშირებელ გზას, რაც სრულიად ახალი საგზაო საფარით გაკეთდა და ჯამში ირივე ერთად 25 კმ.-მდეა. ასევე, თამარაშვილისა და თამარ მეფის გამზირი, სხვა ძალიან ბევრი შიდამნიშვნელობის გზების საფარი, ჯამში ერთი მილიონი კვადრატული მეტრის გზა დაიგო ერთი წლის განმავლობაში.

ჩვენთვის საუბედურო მოვლენაც მოხდა 2015 წელს 13-14 ივნისის სტიქიის სახით, რომელთან გამკლავება ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა, შესაბამისად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენაც. წლის ბოლოსთვის ჩვენ მოვახერხეთ, რომ ყველა ძირითადი ინფრასტრუქტურა აღვადგინეთ, მოძრაობა გავხსენით, დავეხმარეთ იმ ფიზიკურ პირებს, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც დაზიანდა. რომ არა სტიქია, ჩვენ შეგვეძლო ჩვენივე ბიუჯეტით უფრო მეტი რამ გაგვეკეთებინა, მაგრამ ვინაიდან ასეთი სამწუხარო რამ მოხდა, ჩვენი საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილის აქეთ მიმართვა მოგვიწია. ისევე როგორც ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მნიშვნელოვანი შემოწირულობები გააკეთეს და 20 მილიონ ლარზე მეტი მოგროვდა ამ დანიშნულებით, რაც სრულად მოხმარდა იმ ოჯახებს, რომელთაც სტიქიის შედეგად ზიანი მიადგათ. ასე რომ, 2015 წელი ბევრი რამით იყო გამორჩეული, ჯამში ჩვენ 930 მილიონი ლარის ხარჯები გავწიეთ მთელი წლის განმავლობაში მუნიციპალური ბიუჯეტიდან, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ყველა სხვა წინა წლებში გაწეულ ხარჯებს. ისე როგორც მოვაწესრიგეთ ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები, საბიუჯეტო ადმინისტრირება, რამაც საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალება მოგვცა.

- ყველაზე მაღალბიუჯეტიანი პროექტები მაინც ახალგაზრდული ოლომპიური ფესტივალის ჩატარებასთან იყო დაკავშირებული. მთლიანობაში რამდენი მილიონი ლარი დაიხარჯა ამ ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარებაზე, შესაბამისი საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე და ა.შ. ?

- ჯამში 2015 წელს 60 მილიონ ლარამდე დაიხარჯა ოლიმპიადის ახალი ობიექტის მშენებლობის, მოძველებულიობიექტებისგანახლებისადათვითონ ოლიმპიადის ორგანიზების თვალსაზრისით, საიდანაც 28 მილიონი ლარი დაფინანსებული იყო მუნიციპალური ბიუჯეტიდან, ხოლო დანარჩენი - სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

- როგორც იტყვიან, კვლავაც ყბადაღებული თემაა პრემიების საკითხი. არადა 2015 წლის საპრემიო ფონდი საქალაქო სამსახურებისა და რაიონული გამგეობებისთვის, 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით რამდენიმე მილიონი ლარით შემცირდა. . . თქვენ თვითონ პირველი დღიდანვე თქვით უარი პრემიაზე, მაგრამ ამას ოპონენტები არ ახსენებენ, რა თქმა უნდა. . .

- ჩვენ წინააღმდეგი ვართ უაზრო პრემიებისა და დანამატების გაცემის. სწორედ ამიტომ, ჩვენ როცა მოვედით მერიაში მაშინათვე ვთქვით და 2014 წელსვე შემოვიჭირეთ ქამრები, ასევე 2015 წელსაც მოვახდინეთ ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვა. ეს ეხება არა მხოლოდ საპრემიო ნაწილს, არამედ ზოგადად ადმინისტრაციულ ხარჯებს, მაგრამ რადგან პრემიებს შეეხეთ, 2014 წელსვე ჩვენ გარღვეული ბიუჯეტი დაგვხვდა წინა ხელისუფლებისგან. თბილისის მთავრობამ უარი თქვა პრემიების აღებაზე, საახალწლო პრემიებს ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, ისევე როგორც, თუ ადრე ორმაგი და სამმაგი დანამატები და პრემიები იყო წინამორბედების დროს, ჩვენ წახალისების სისტემა გავაკეთეთ, მხოლოდ ერთმაგი ოდენობით და ამით შევძელით, საბოლოო ჯამში საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები დაგვეზოგა. მეორეს მხრივ, აუცილებელია, რომ თანამშრომლების სტიმულირება მოხდეს და შესაბამისად მათი მოტივაცია იყოს მაღალი. მოგეხსენებათ, რომ მენეჯმენტის, მართვის ერთ-ერთი ფუნქციაა, ადამიანებს ჰქონდეთ მოტივაცია, მათ შორის საჯარო სამსახურში, რათა უფრო აქტიურად იმუშაონ, რაც ადამიანის ბუნებიდან გამომდიანრეობს. ამიტომაც გარკვეული სტიმულირების ინსტრუმენტები ჩვენ დავტოვეთ ბიუჯეტში, მაგრამ ეს არ არის გაუაზრებლად მაღალი. ასევე, ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ 2016 წლისთვის ეს მაჩვენებელი შემცირდა კიდევ 20 პროცენტით და შესაბამისად, საპრემიო თანხა 100 პროცენტის ნაცვლად 80 პროცენტამდე იქნა დაყვანილი.

- ოპონენტებისთვის ერთ-ერთ მთავარ კრიტიკის თემად იქცა გზების დაგება. რა ხდება რეალურად? იქნებ ციფრებით შევადაროთ, რა ფართობზე დაიგო ასფალტი წინა წლებში და 2015 წელს?

- ჩვენს მიერ დაგებული გზის მოცულობა კვადრატული მეტრებით 2015 წლისთვის 2014

წელთან შედარებით მეტია, 2016 წელსაც კიდევ უფრო ვზრდით ამ მაჩვენებელს. გამომდინარე იქედან, რომ საბიუჯეტო სახსრები შეზღუდული იყო და ქალაქში ძალიან ბევრი მოუწესრიგებელი გზა, ჩვენ იძულებული გავხდით და 18 მილიონი ლარი ვისესხეთ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, რათა მოვაწესრიგოთ გზები. ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას 2016 წელსაც და სამუშაოები გაგრძელდება არა მხოლოდ არსებულ გზებზე, არამედ რამდენიმე მონაკვეთზე ახალი გზაც გაკეთდება. ეს იქნება შინდისი-კრწანისის დამაკავშირებელი ახალი გზა, სამება-მახათის დამაკავშირებელი ახალი გზა, ასევე, ვეფხვი და მოყმიდან ინტენსიფიკაციის ქუჩაზე, ვაშლიჯვარში ასასვლელი საგზაო პანდუსი და ასე შემდეგ. ისევე როგორც გაკეთდება წლების განმავლობაში მოუწესრიგებელი დაზიანებული რამდენიმე მნიშვნელოვანი გზის მონაკვეთი, ეს იქნება პეკინის გამზირი, ნუცუბიძის ქუჩა თავიდან ბოლომდე და სხვა მონაკვეთები, რომლებიც ზამთრის განმავლობაში ზიანდება. ერთი ნაწილი საგზაო სამუშაოებისა ესაა მიმდინარე მოვლა-შეკეთება, რომლისთვისაც ტენდერში გამარჯვებული კომპანიები უკვე გამოვლენილია და სამი კომპანია იმუშავებს ამ მიმართულებით. 5 მილიონ ლარამდე დაიხარჯება მხოლოდ მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე, მაგრამ გაცილებით დიდი და მასშტაბური იქნება წელს გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, რომლისთვისაც 50 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

- როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ისე ადგილობრივი თვითმმართველობები და მ.შ. თბილისის მერია განსაკუთრებულ ყურადრებას უთმობს სოციალურ საკითხებს. თბილისში შეიქმნა და ხორციელდება სოციალური დახმარებების ახალი პროგრამები. რომელია მათ შორის მნიშვნელოვანი პროექტები?

- ჩვენ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში დავპირდით ჩვენს თანამოქალაქეებს, რომ რამდენიმე თვალსაზრისით სოციალური მხარდაჭერა გაიზრდებოდა დედაქალაქში. ჩვენ გავაორმაგეთ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და ნაცვლად 25 ლარისა ყოველთვიური დახმარება 50 ლარი გაიცემა ასეთი ოჯახებისთვის. ასევე, მშობიარობის პერიოდში მესამე და შემდგომი შვილის გაჩენის შემთხვევაში დაფინანსება აქაც გაიზარდა, 800 ლარი გაიცემა მესამე შვილზე, 1000 ლარი - მეოთხეზე, 1500 - მეხუთე და შემდგომი შვილის გაჩენის შემთხვევაში.

ასევე, ჩვენ ავაშენეთ და უკვე ახალი წლიდან ფუნქციონირებას შეუდგა მიუსაფართა თავშესაფარი, რომელიც აბსოლუტურად თანამედროვე ცივილური შენობაა თავისი მომსახურების წესებით. 240-ზე მეტ ბენეფიციარზეა გათვლილი და ადამიანები, რომლებიც ქუჩაში იყინებოდნენ ჯერ ეგრეთ წოდებულ კარვების ქალაქში განვათავსეთ, დღეს უკვე სრულად ამ თავშესაფარში იმყოფებიან და შესაბამისად მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ასევე, რამდენიმე ჯანდაცვის პროგრამა შევთავაზეთ ჩვენ დამატებით ჩვენს თანამოქალაქეებს 2015 წელს. მ.შ. ესაა C ჰეპატიტთან დაკავშირებული მკურნალობისა და დიაგნოსტიკის პროგრამა. ასევე, შშმ პირთათვის ახალი პროგრამები, წელს დავამატეთ სამი ახალი პროგრამა ჯანდაცვის კუთხით. მათ შორის გამოსაყოფია ძუძუს კიბოთი დაავადებული პირებისთვის ჰერცეპტინით მკურნალობის დაფინანსების პროგრამა, რისთვისაც 3 მილიონი ლარი იქნა ბიუჯეტში გათვალისწინებული. ასე რომ, ამ მიმართულებით ჩვენ პერიოდულად ვსწავლობთ მოსახლეობის საჭიროებებს და ვამატებთ პროგრამებს. ჯამში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით 2016 წელს 9 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯება, ვიდრე დაიხარჯა 2015 წელს.

- თქვენ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ ქალაქში ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად, მათ შორისაა, გამწვანება და საპროგრამო - 1 მილიონი ახალი ნერგის დარგვა ქალაქის მასშტაბით. როგორია ამ მიმართულებით ფაქტობრივი შედეგები?

- ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა და 2016 წელსაც უცვლელი პრიორიტეტია, ისე როგორც 2015 წელს. ამიტომაც 2016 წელსაც აქტიურად გავაგრძელებთ გამწვანების პროგრამას, რაც 2015 წელს ხორციელდებოდა. 2015 წლის ბოლოსთვის ჩვენ 480 ათასი ნერგი გვაქვს დარგული 1 მილიონის პროგრამიდან, რომელიც ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო, ისევე, როგორც ვაწესრიგებთ დენდროლოგიური პარკის ტერიტორიას. მიმდინარეობს ასევე, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის გაფართოება და შესაბამისად, უფრო მეტი რეკრეაციული ტერიტორია იქნება ჩვენს ქალაქში, რომლის მოვლა-პატრონობა განხორციელდება. ასევე, მუნიციპალური ახალი ავტობუსების პროგრამა, რომლის ფარგლებში წელს ჩვენ 150 ახალ ავტობუსს შემოვიყვანთ, იქნება

უფრო გარემოდამზოგი, ვიდრე მოძველებული ავტობუსების პარკი, ამიტომ ამ თვალსაზრისითაც გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმება დამატებით. ასე რომ ამ კუთხით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა. რამდენიმე ახალი პარკი და სკვერი მოეწყობა 2016 წელს, ისე როგორც 2015 წელს მოხდა რამდენიმე მათგანის კეთილმოწყობის სამუშაოები და კვლავაც გაგრძელდება გამწვანების ღონისძიებები.

- ჯანსაღი გარემოს შექმნის ფარგლებში, გამწვანების გარდა, ისეთი პროექტებიც ხორციელდება, როგორიცაა ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისა და CO2-ის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებები. ამაზე რას იტყვით?

- მერების შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც თბილისი 2010 წელს მიუერთდა, გვაქვს ვალდებულება აღებული, რომ მავნე გამონაბოლქვი CO2-ის მოცულობა 2020 წლამდე 20 პროცენტული ნიშნით იქნას შემცირებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ვალდებულება და გამოწვევაა ამ თვალსაზრისით. ამიტომ ენერგოეფექტიანობის კუთხით მუშაობა და ზრუნვა მთავარი ამოცანაა ჩვენთვის. ამ მიმართულებით რამდენიმე საპილოტე პროექტი ხორციელდება ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ, ესაა საბავშვო ბაღის ენერგოეფექტიანი პროექტი, ასევე უკვე დასრულების ფაზაშია მოხუცთა თავშესაფრის ენერგოეფექტიანი პროექტი, ვმუშაობთ ენერგოდამზოგავილედგანათებისკონკურსზე,სულ ახლახან დამთავრდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი ამ თვალსაზრისით და ამის საფუძველზე გამოცხადდება ინტერესთა გამოხატვა დაინტერესებული ინვესტორების მოსაზიდად. უკვე გავაკეთეთ ენერგოეფექტური მუნიციპალური ცენტრის კონცეფცია, რომელიც ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ბაზაზე იმუშავბს და შეისწავლის სხვადასხვა ქალაქების გამოცდილებას. და ამ თვალსაზრისით საპილოტე პროექტებს მოამზადებს ჩვენი ქალაქისთვის. ასე რომ ამ კუთხითაც საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

- გასულ წელს რამდენიმე მილიონი ლარის იაფი კრედიტი გაიცა მერიის ხელშეწყობით მცირე ბიზნესზე. 2016 წლისთვის რა ღონისძიებებია დაგეგმილი დედაქალაქში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით?

- ჩვენ მცირე და საშუალო ბიზნესს ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში აქტიურად ვუჭერთ მხარს, იაფი სესხის პროგრამა, რომელიც 2015 წელს ხორციელდებოდა, ძირითადად ემსახურებოდა სასტუმროების ხელშეწყობას. აღნიშნული პროექტი წელსაც გაგრძელდება და საშუალო კლასის სასტუმროები,რომელზეცყველაზემეტიმოთხოვნაა, ქალაქის მერიის მხრიდან მათი მშენებლობა იქნება მხარდაჭერილი. ასევე, მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის ფარგლებში ჩვენ სამი პროექტი დავიწყეთ, რომელიც ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას ისახავს მიზნად. პირველი ეს არის ხალხური რეწვის მახარდაჭერის პროექტი, მეორე - შემომყვანი ტურიზმის ხელშეწყობის პროექტი და მესამე - სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომერციული ობიექტების განვითარების ხელშეწყობის პროექტი. სამივე მიმართულებით რამდენიმე პროგრამა უკვე დაფინანსებულია და კონკრეტული მეწარმეები უკვე არსებობენ, რომლებიც მუშაობენ და 2016 წელს ასევე გავაგრძელებთ აქტიურად მუშაობას.

- ზოგადად კი ვისაუბრეთ, მაგრამ ახლა კონკრეტულად მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე რომ გვითხრათ, რა განხორციელდა 2015 წელს და რა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება 2016 წელს დედაქალაქში?

- 2015 წელს ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ჩვენ ვიმუშავეთ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, რაზეც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, ასევე, 20-ზე მეტი მწვავე და ავარიული კორპუსი გამაგრდა, 50-ზე მეტი საცხოვრებელი სახლები რაიონული გამგეობების მიერ. ისევე როგორც 7 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი მიმდინარეობდა, რომელთაგანაც 4 უკვე დასრულებულია. წელს 10 საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი გვაქვს და აქტიურად ვიმუშავებთ ამ თვალსაზრისით. აგრეთვე, ჩვენ გასულ წელს რამდენიმე პროექტი მოვამზადეთ და წელს სამშენებლო სამუშაოები წარიმართება. მათ შორის, პირველად ჩვენი ქალაქის ისტორიაში, ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობის პროექტი, რომელიც მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე წელს დაიწყება და 2017 წელს დასრულდება. ასევე მნიშვნელოვაია ის, რომ სარაგბო ბაზის მშენებლობას ვიწყებთ და წელსვე დამთავრდება მუხიანის ტერიტორიაზე, რომელიც აბსოლუტურად რაგბის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პროექტი იქნება. ის მოემსახურება, როგორც მოზარდ ახალგაზრდებს, ასევე იქ ჩატარდება 2017 წლის მსოფლიო ახალგაზრდული რაგბის ჩემპიონატის მოსამზადებელი თამაშები. ამდენად, ესეც ძალიან მნიშვნელოვანიპროექტია.რამდენიმეკულტურული

მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია მოხდა თბილის განვითარების ფონდის მიერ, თუმცა წელს უფრო მეტი გვაქვს ჩვენ ბიუჯეტი ამ თვალსაზრისით. შარშან ჩვენ დავხარჯეთ 18 მილიონი ლარი ამ მიმართულებით და წელს 40 მილიონზე მეტი გვაქვს გათვალისწინებული. მათ შორის იქნება აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები, სადაც 46 სახლი გაკეთდება და მათ შორის 38 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მთლიანად აღმაშენებლის გამზირის ამ მონაკვეთის საჯარო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა მოხდება, მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგდება, გაკეთდება გვირაბი მშრალი ხიდის ქვეშ, რითაც დაუკავშირდება ერთმანეთს 9 აპრილის ბაღი და დედა ენის ბაღი. გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციაა დაგეგმილი. დასრულდება ღვინის აღმართზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც 2015 წელს დავიწყეთ და 2016 წლის გაზაფხულზე არის დაგეგმისლი მისი დასრულება. მოწესრგდება ასევე, მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურა, შვიდი სადგურის მოდერნიზაციის პროექტი გვაქვს გათვალისწინებული. ისევე როგორც ვაკის პარკი - კუს ტბის დამაკავშირებელი საბაგირო გზის აღდგენა. ასე რომ, 2016 წელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით გაცილებით უფრო აქტიური წელი იქნება, ვიდრე 2015 წელი.

- თქვენი მინისტრობის დროს ინფრასტრუქტურის სამინისტრო ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე უწყებად დასახელდა. თქვენ არც აქ ღალატობთ დემოკრატიულ პრინციპებს და ყველა მნიშვნელოვან საკითხებზე ქმნით კომისიებს, საკონსულტაციო საბჭოებს, ატარებთ თათბირებს საზოგადოების ფართო მასების მონაწილეობით. ამ მიმართულებითაც ორიოდე სიტყვით იქნებ ვთქვათ რა ხდება. . .

- ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა იყოს მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე, ვინაიდან საზოგადოების ყოველდღიურ პრობლემებზე და საჭიროებებზე ზრუნვა არის ადგილობრივი თვითმმართელობების უმთავრესი ფუნქცია. რა თქმა უნდა, საქმიანობის გამჭვირვალობა არის მმართველობის უმთავრესი პრინციპი. სწორედ ამიტომ ჩვენ სათანადოდ გვაფასებენ ევროპულ უწყებებში. რამდენიმე მონიტორინგის მისია, (რაც ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის კონგრესმა ჩაატარა საქართველოში და გამოქვეყნდა შესაბამის შედეგები), ხაზს უსვამს ადგილობრივი დემოკრატიის პროგრესს ჩვენს ქვეყანაში, და თბილისი, როგორც წესი, როგორც ყველაზე მსხვილი თვითმმართელი ერთეული ცალკე შეფასების და დაკვირვების საგანია. ამიტომაც შემოვიღეთ ჩვენ მოქალაქეთა მიღება ყოველი კვირის პარასკევს. პარასკევი ჩვენთან მოქალაქეთა მიღების დღეა, იმისათის, რომ მოვუსმინოთ მათ და მათი საჭიროებები გადავწყვიტოთ ადგილზე. ასევე არ არსებობს შეთხვევა, რომ საჯარო ინფორმაცია, რაზეც არის მოთხოვნა ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან, არ გავცეთ. ასევე არ არსებობს შემთხვევა იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოების მაღალი ინტერესის მქონე საკითხზე არ გამოვაქვეყნოთ ინფორმაცია. მათ შორის ინფორმაციას ვაქვეყნებთ ყოველდღიურადაც. ასე რომ, გვაქვს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის მერია ადგილობრივ თვითმმართველობებში დასახელდეს ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე უწყებად.

- როგორია 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წინასწარი მონაცემები?

- 2015 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში გადაჭარბებით შესრულდა, თითქმის 10 მილიონი ლარით მეტია მობილიზებული, ვიდრე ეს იყო გეგმით გათვალისწინებული. ბუნებრივია, ეს ყველაფერი აისახა გარადამავალ ნაშთში. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს 97%-ით იქნა შესრულებული. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს რაიონულმა გამგეობებმა და მათ 99,5%-ზე მეტი აქვთ ჯამურად ათვისებული და შესრულებული თავიანთი ბიუჯეტები. ყველა საქალაქო სამსახურმა მაქსიმალურად მონდომებით და აქტიურობით იმუშავა. ძირითადი გარდამავალი ნაშთი კეთილმოწყობის სამსახურში დარჩა იმიტომ, რომ ეს კაპიტალური რემონტების განხორციელებასთან არის დაკავშირებული და მათ შორის არის ბოლოს ჩარიცხული თანხები რამდენიმე გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად. ასე რომ, ჯამში საკმაოდ კარგი შესრულება გვაქვს 2015 წლის ბიუჯეტისა და ვაპირებთ, რომ ამ თვალსაზრისით 2016 წელს მაჩვენებელი კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ.

- ბატონო დავით, იქნებ გვითხრათ, როგორია მერიისთვის 2016 წლის გეგმები მთავარი მიმართულებების მიხედვით?

- 2016 წლის გეგმებიდან შვიდ მთავარ პროექტს

გამოვყოფდი. ესაა:

1. აღმაშენებლის გამზირისა და გუდიაშვილის მოედნის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენის პროექტები, რაც საკმაოდ მასშტაბურია;

2. ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის, რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც აღდგენასთან არის დაკავშირებიული, მათ შორის კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი ახალი გზა, ისევე როგორც სამება-მახათის დამაკავშირებელი გზა, ვერეს ხეობიდან ახალი მაგისტრალის გვირაბით დაკავშირება ლაგუნასთან მიმავალ გვირაბთან და პუშკინის ქუჩის ესტაკადის მშენებლობა;

3. ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა;

4. 10 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა;

5. მუხიანის სარაგბო ბაზის მშენებლობის პროექტი;

6. შვიდი მეტროს სადგურის აღდგენის პროექტი და თვითონ ვაგონების მოდერნიზაციის პროექტი;

7. ვაკის პარკისა და კუს ტბის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მოწყობა.

- *გმადლობთ, რომ დრო გამონახეთ და გავესაუბრეთ მკითხველისთვის საინტერესო საკითხებზე.*

- თქვენც გმადლობთ.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“
კორესპონდენტი ხათუნა ბურჭულაძე

მიძინებული ქართული კაპიტალი

ჩვენი ჟურნალი იწყებს ახალ რუბრიკას - „საუბარი საქართველოს ეკონომიკაზე“. დღეს ჩვენი საუბარი ეხება საქართველოში მიძინებული ეკონომიკური რესურსების ჩაყენებას ქვეყნის სამსახურში.

ნებისმიერი საშუალო განათლების მქონე გლეხი, მუშა ან თუნდაც გაუნათლებელი საშუალო ასაკის საქართველოს მოქალაქე რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ, თუ რა ეკონომიკური სიკეთე მოგვიტანა საქართველოს დამოუკიდებლობამ, გიპასუხებთ, რომ არაფერი, პირიქით, გეტყვით, რომ გაუარესდა მისი ეკონომიკური მდგომარეობა, და ის მართალია. შუახნის ადამიანებს ახსოვს პერიოდი, როცა საქართველოს მოსახლეობის 90-95%-ს პრობლემა არ ჰქონდა სტუმრის მიღებისა, გამასპინძლებისა და ა.შ. მაშინ როცა დღეს საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ღარიბია, სოციალურად დაუცველია და მრავლადაა მათხოვართა კატეგორია. ესაა თვალში საცემი, რომელსაც გაუნათლებელი ადამიანიც ხედავს. არაფერს ვამბობთ იმ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომელსაც 1990-იანი წლებიდან დღემდე ოფიციალური სახელმწიფო სტატისტიკა აფიქსირებს. 25 წელიწადია ქვეყანა ვერ გამოვიდა ეკონომიკური კრიზისიდან და ვერ მივაღწიეთ 1988 წლის დონესაც კი. ეს ყველაფერი, გვინდა თუ არ გვინდა, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია და არა დამოუკიდებლობის შედეგი. უფრო მეტიც, ჩვენ არ გვაქვს ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე ქვეყნის განვითარების სტრატეგია, რომელსაც დაეთანხმებოდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა. სტრატეგია, რომელიც მორგებული იქნება ქვეყნის ინტერესებზე და არა ცალკეული „პოლიტიკოსის“ ინტერესებზე. ეკონომიკის წინაშე მდგარი პრობლემების მიმართ დღემდე არ ჩანს სიღრმისეული მიდგომა საკითხების გადასაწყვეტად, რაც აყალიბებს იმ არასასურველ პირობებსა და შედეგებს, რაც დღეს გვაქვს. სწორედ მეოთხედი საუკუნის გამოცდილებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება საკითხი, სახელმწიფოს ხელში არსებული ბუნებრივი რესურსების მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს ყველა ერთად გავმდიდრდეთ და ეკონომიკური ზრდის ტემპის ერთნიშნიანი მაჩვენებელი ორნიშნიან მაჩვენებლამდე ავიყვანოთ. ქონების განკარგვა მივანდოთ არა ცალკეულ ჩინოვნიკებს, არამედ მთლიანად ხალხი იყოს ბუნებრივი რესურსების უმეტესი ნაწილის უშუალო განმკარგავი. ამ გზით სარგებელს მიიღებს არა ერთეული ბიზნესმენი, არამედ მთლიანად მოსახლეობა.

ქართული ეკონომიკის მიძინებული კაპიტალის - წიაღისეული სიმდიდრეების საქართველოს ეკონომიკურ აქტივობაში ახალი ფორმით ჩართვის შესახებ გვესაუბრებიან იდეის ავტორები - ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტები, ცნობილი მეცნიერები და ექსპერტები.

ეკონომიკის დოქტორი
რამაზ გერლიანი

ჩვენ ვსაუბრობთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ პროცესზე, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე გადაყვანა. შესაძლებელია გვქონდეს ცივილური, ეკონომიკურად მაღალგანვითარებული სახელმწიფო, რაც დღემდე ჩვენი მუდმივად უშედეგო მისწრაფებაა.

ამ პროცესის დეტონაციისთვის გარადაუვალი აუცილებლობაა სახელმწიფო აქტივების კერძო საკუთრებაში გადასვლა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური სისტემები, სწორედ კერძო საკუთრების ინსტისტუტს ეფუძნება, როგორც აქტივების ეფექტიანი გამოყენების მრავალნაცად და აპრობირებულ ფორმას.

საქართველო არის მემკვიდრე სისტემის, რომელიც აბსოლუტურად უარყოფდა კერძო საკუთრებას, როგორც საკუთრების ფორმას. ხოლო დღეს, როდესაც ერთი ეკონომიკური სისტემიდან გადავდივართ მეორე სისტემაზე, რომელიც სამწუხაროდ, დღემდე არ დასრულებულა, ცენტრალურ ადგილს იკავებს კერძო საკუთრების ფორმირება. იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკა გვქონდეს, საჭიროა არა უბრალოდ საკუთრება,

არამედ დომინირებადი კერძო საკუთრება, ანუ სახელმწიფოში არსებული აქტივების დიდი წილი (მინიმუმ 70%) უნდა იყოს კერძო მესაკუთრეთა ხელში.

- თუ ეს ბალანსი დარღვეულია, ზედმეტია ვისაუბროთ ეფექტიანობაზე, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკა სწორედ რომ დაშენებულია კერძო საკუთრების დომინირების პრინციპზე.
- აქტივები, ჩაბმული ეკონომიკურ ბრუნვაში, უკეთ ასტიმულირებენ სამეურნეო პროცესს კერძო მესაკურეთა ხელში.
- სასარგებლო წიაღისეული, რომელიც დღეს წარმოადგენს 100%-ით სახელმწიფო საკუთრებას, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გადავიდეს საქართველოს მოქალაქეების კერძო საკუთრებაში.

სწორედ აღნიშნულს ეხება ჩვენი ხედვა, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე ერთეული საბადოს (წიაღი, წყალი), საქართველოს მოქალაქეებზე კერძო საკუთრებაში გადაცემას.

ანუ ჩვენი ქვეყნის თითოეულ მკვიდრს (მათ შორის სამჩაბლოსა და აფხაზეთის ჩათვლით), ეძლევა შესაძლებლობა, უსასყიდლოდ (ნაღდი ფულის გარეშე) გახდეს სხვადასხვა უძვირფასესი ბუნებრივი რესურსის, საბადოს მესაკუთრე/აქციონერი ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. უსასყიდლოდ აქციების გადაცემა მოსახლეობისათვის თანასწორობის პრინციპით, თითოეულ მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობასგახდეს კაპიტალის მესაკუთრე, გაუჩნდეს ხელმისაწვდომობა იაფ და გრძელვადიან ფულზე, კერძო საკუთრების მეოხებით მოიზიდოს ფინანსები, თავისი პიროვნული შესაძლებლობებისა და უნარის შესაბამისი ეკონომიკური აქტივობის დასაფინანსებლად. თითოეულ ადამიანს შეეძლება თავისივე პირადი პასუხისმგებლობით გახდეს ეკონომიკური საქმიანობის აქტიური ან პასიური სამეურნეო აგენტი, შედეგად მიიღოს ან თუნდაც გასცეს/გაუნაწილოს სარგებელი და ეკონომიკური სიკეთე.

მთელი ამ პროცესის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ამოქმედდეს დღეს გაჩერებული აქტივები (ბუნებრივი რესურსები), რომლის საზოგადოებრივი სარგებელი დღეს ნულოვანია. აქციების მეშვეობით, საფინანსო ბაზრებიდან თავისუფლად მოიზიდოს დაფინასება და უძრაობიდან გადავიდნენ აქტიური ეკონომიკური საქმიანობის ფაზაში.

ამ სახის აქტივების კერძო საკუთრებაში გადაცემა გამოიწვევს ეკონომიკის დეტონაციას, გამოაცოცხლებს საფონდო ბაზარს, რომელიც ეკონომიკის რეალური სეგმენტის მთავარი დამფინანსებელია.

საუბარია საკმაოდ დიდ გაჩერებულ, ეკონომიკური ბრუნვიდან გათიშულ კაპიტალზე რომლის ღირებულება, თუნდაც ამ დაკნინებული არასაბაზრო ფასებით 300-400 მილიარდი აშშ დოლარია.

თუ ამ კაპიტალის დიდი წილი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს უსასყიდლოდ არ გადაეცათ კერძო საკუთრებაში (შესაბამისი მექანიზმით), მათი ნაღდ ფულზე ყიდვა/პრივატიზება ფაქტობრივად შეუძლებელია ჩვენი მოქალქეების დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო. ამიტომაც არსებულ რეალობაში ერთადერთ სწორ და ეფექტიან გზად გვესახება ამ ქონების უსასყიდლოდ, რეალურად კერძო საკუთრებაში გადაცემა საქართველოს მოქალაქეებისათვის, რისთვისაც მოქალაქეებს უნდა დაურიგდეთ საპრივატიზაციო საშუალება - „ფული“ - ე.წ. „ინვესტი“, რომლითაც შეიძენენ აქტივებს - საბადოების აქციებს.

ამ მიზნით უნდა მოხდეს საბადოების სააქციო საზოგადოებებად (სს) ფორმირება-აქციონირება და ეფექტური მექანიზმით აქციების საქართველოს მოქალაქეების ხელში გადასვლა. საპრივატიზაციო „ინვესტი“ უნდა მიეცეს ყველა მოქალაქეს თანაბრად, რომლითაც შეიძენენ საბადოს აქციებს. ს/ს-ის 100 % პაკეტიდან გარკვეულ წილს, მაგრამ არა უმეტეს 24%-ს იტოვებს სახელმწიფო მის საკუთრებაში, რათა ს/ს-ს ჰქონდეს კერძო მართვისთვის დამოუკიდებელი სტატუსი და იოლად მოახდინოს ინტეგრირება ცივილიზებულ საერთაშორისო ბაზრებზე. რათა შემდგომში მოიზიდოს თანამესაკუთრედ საერთაშრისო დონის ინვესტორები. ხოლო გაჩენილი ფინასური რესურსები საჭიროების შემთხევავაში მიმართოს საწყის ეტაპზე გაჩერებული იმავე საბადოს ასამუშავებლად.

ლოგიკურია, ისმის კითხვა: როგორ ჩნდება ფული და ფულზე ხელმისაწვდომობა ?

როგორც კი ცივილიზებულ საერთაშორისო ბაზრის ლისტინგში შესაბამისი საფუძვლით მოხვდება მსგავსი აქციები, დიდი ალბათობით, ჩვენი მოქალაქეები მათ საკუთრებაში არსებული მრავალი მილიარდი ცალი აქციიდან მცირე ნაწილს, რამდენიმე ათეულ მილიონ ცალ (კაპიტალის რამდენიმე %) აქციას უთუოდ გაიტანენ გასაყიდად მათთვის სასურველ ფასად და დაგროვილი პირადი ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად. მეორეს მხრივ, საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი, მაღალი რეპუტაციის მქონე ტოპ-ინვესტორთა უმეტესობა, დიდი ალბათობით, უთუოდ დაინტერესდება პოსტკომუნისტური სივრციდან გაზაფხულის მაუწყებელი პირველი მერცხლების მსგავსად

გამოჩენილი ამ უძვირფასესი და სრულიად ეგზოტიკური, შესაბამისად, ზრდის მაღალი პოტენციალის მქონე ამ ფასიანი ქაღალდების მათთვის სასურველ ფასად შესყიდვით.

ასევე, როგორც კი პირველი გარიგება დაიდება, განხორციელდება პირველი ტრანსაქცია საფონდო ბაზარზე, ანუ გაიყიდება პირველი აქცია (აქციათა პაკეტები კერძო წილიდან) ლოგიკურია დაფიქსირდება აქციაზე შესაბამისი ფასები, აქციების მეპატრონე მოქალქეებს თავიანთი წილის ტოლდიდად უჩნდებათ ღირებული ფასიანი ქაღალდი (რომელიც ინფლაციას არ განიცდის) და ფულზე მარტივი ხელმისაწვდომობა. ნებისმიერ წამს, ნებისმიერ მეპატრონეს, შეუძლია გაყიდოს აქცია და მიიღოს ნაღდი ფული ან კიდევ უკეთესი, ამ საერთაშორისო სივრცეში კოტირებადი აქციების უზრუნველყოფით მიიღოს იაფ და გრძელვადიან ფულზე ხელმისაწვდომობა.

ეს ფული მოქალაქეებს უჩნდებათ დივიდენდის მიღებამდეც (ვინაიდან დივიდენდის მიღება შედარებით გრძელი და რთული პროცესია), როგორც მესაკუთრეებს - მაგალითად, მოქალაქეს აქვს 10 000 აქცია, ხოლო 1 აქციის ფასი დაფიქსირდა 4,77 $, მას ავტომატურად უჩნდება ხელმისაწვდომობა 47 700 $-ზე, პირადი სურვილისამებრ, ნაწილობრივ ან სრულად გაყიდის თავის აქციებს. ან მისი უზრუნველყოფის ქვეშ, ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტიდან დაბალპროცენტიან გრძელვადიან დაფინასებას უპრობლემოდ მოიზიდავს. ორივე შემთხვევაში ჩნდება ფულად რესურზე ხელმისაწვდომობა, თითოეული მესაკუთრის შესაბამისი ეკონომიკური თუ სხვა სახის საჭიროებისა და ინიციატივების დასაფინასებლად.

შედეგად, გარდა პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ეფექტებისა, ჩნდება შესაძლებლობა დღეს უმოქმედოდ არსებული აქტივის რენტაბელური ამუშავებისა, რომლის უმოქმედობის ერთადერთი მიზეზი სწორედ რომ დაფინასების სათანადო დონეზე არარსებობაა.

მაგალითისთვის, თუ გადავხედავთ თუნდაც ქართული მარმარილოს საბადოებს, მათი დიდი უმრავლესობა გაჩერებულია. ძალიან მცირე წარმოებები არ ატარებენ მასობრივ ხასიათს არათუ საერთაშორისო ბაზარზე, არამედ ადგილობრივ ბაზარზეც კი არ არიან სოლიდური წილით წარმოდგენილნი, რაც სავსებით შესაძლებლია რესურსის/ნედლეულის ხარისხისა და უნიკალურობის გამო. ამის ერთადერთი მიზეზია ფინანსების უქონლობა, რომლითაც შეძლებდნენ თანამედროვე რენტაბელური დამუშავებისთვის ტექნიკა-ტექნოლოგიების შეძენას.

აღნიშნული დაფინანსება, ცივილურ საბაზრო ეკონომიკაში შესაძლებელია მოიზიდო, თუ საერთაშორისოდ აღიარებული ცივილური საბაზრო წესებით მოქმედებ. როგორც უკვე ავღნიშნეთ, სწორედ ამის საშუალებას იძლევა საბადოების აქციონირება და ამ აქციების მოქალაქეების კერძო საკუთრებაში გადასვლა.

თსუ-ს დოქტორანტი
ლაშა არევაძე

მარაგები და ღირებულება

განკერძოების სქემის მთავარი მოტივაცია, ერთის მხრივ, არის დღეს ეკონომიკური ბრუნვიდან მოწყვეტილი აქტივების ჩართვა საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და მეორეს მხრივ, მათი რეალურ ღირებულებამდე აყვანის გზით სარგებლობას მიიღებენ მათი ახალი მესაკუთრეები, ჩვენი მოქალაქეები. მათ ხელში არსებული სიმდიდრე გაიზრდება, რაც ნიშნავს მეტ შესაძლებლობას დაიწყონ მათთვის ახალი ეკონომიკური აქტივობა.

აქტივის რეალურ ღირებულებაზე საუბრისას, მხედველობაში გვაქვს ამ აქტივის საბაზრო ფასი, რომელიც ჩვენი აზრით, ღირებულების ყველაზე სწორი ინდიკატორია. მაგრამ მაშინ როდესაც, ეს აქტივები ბაზარზე არ შესულა, ისმება კითხვა, როგორ შევაფასოთ და როგორ დავადგინოთ თუ რა პოტენციალი აქვს თითოეულ მათგანს.

ეკონომიკური ლოგიკა გვკარნახობს, რომ აქტივის ღირებულება შეიძლება შეფასდეს ეკონომიკური რენტის მიმდინარე ღირებულებით. ფაქტობრივად მსგავსი მიდგომა აქვს გამოყენებული მსოფლიო ბანკის გუნდს, რომელმაც შეიმუშავა მეთოდოლოგიური პაკეტი ბუნებრივი რესურსების ღირებულების შესაფასებლად. ჩვენ ამ პრინციპებით ვიხელმძღვანელეთ და მივიღეთ რიცხვი (საპილოტედ გამოტანილი საბადოების ღირებულების შეფასება), რომელიც ჩვენი

აზრით არის მინიმალური შეფასება ამ აქტივების ღირებულებისა - 450 მილიონი დოლარი.

რატომ მინიმალური?

მსოფლიო ბანკის შეფასება ეფუძნება მთელ რიგ დაშვებებს, რომლის გათვალისწინებაც მოგვიწია. მთავარი არის ის, რომ შეფასება კეთდება არა უმეტეს 20 წლიანი სამუშაო პერსპექტივით. ჩვენ ასევე, მაგალითად, სალიეთის საბადოს შემთხვევაში გავაკეთეთ დაშვება არაუმეტეს მსოფლიო ბაზრის 1%-ის ათვისების შესახებ. ამის გათვალისწინებით სალიეთის საბადოს შეფასება არის 220 მილიონი დოლარი, მაგრამ ამ პერიოდში ამ მასშტაბის წარმოებით ათვისებული იქნება მხოლოდ 4-5% მთლიანი მარაგებისა (23 მილიონი მ3). ფაქტობრივად ეს ნიშნავს, რომ მაგალითად, სალიეთის საბადოს ღირებულება და საბადო, რომლის მარაგები არის სალიეთის საბადოს 5%, ამ მეთოდით ერთი და იგივე გამოდის. ამის გამო ჩვენ მივიჩნევთ, რომ 450 მილიონი დოლარი არის ჩვენს მიერ საპილოტედ მომზადებული პაკეტის მინიმალური ღირებულება.

არსებობს სხვა მიდგომებიც. მაგალითად, პროფესიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულია მარაგების დათვლის შემდეგი მიდგომაც, რაც რენტის მიმდინარე ღირებულების დათვლის ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაციაა, ვიდრე მსოფლიო ბანკის მოდელი:

$V(0)= \pi*Q*(1+1/r)*(1-1/(1+r)^{(T_0)})$

სადაც, $\pi*Q$ არის ყოველწლიური რენტა, r - სარგებლის განაკვეთი, T - დროის ჰორიზონტი. ადვილი შესამჩნევია, რომ როდესაც T იზრდება, ფორმულაში ბოლო გამოსახულება მიისწრაფვის 1-სკენ. ვიანიდან ჩვენს შემთხვევაში მარაგები დიდია და მოპოვება შესაძლებელია დიდხანს გაგრძელდეს, ჩვენ შეგვიძლია ფორმულა შემდეგნაირად გავამარტივოთ:

$V(0)= \pi*Q*(1+1/r)$

საბოლოოდ, მარაგების შეფასებისას მივიღეთ მსოფლიო ბანკის მეთოდისაგან ოდნავ განსხვავებული შეფასება, 477 მილიონი დოლარი მთლიანი საპილოტე პროგრამა.

თსუ-ს დოქტორანტი მათე გარდავა (ცაიშელი)

პილოტი

თავშივე უნდა აღინიშნოს ერთი რამ: საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მოზიდული კაპიტალი დამოკიდებულია იმ აქტივის ფასსა და ლიკვიდურობაზე, რომელსაც ეს აქტივი იზიდავს. არ შეიძლება თქვენ გქონდეთ ქონება, რომლის საბაზრო ღირებულებაა 1 მილიონი აშშ დოლარი და მოიზიდოთ დაფინანების სახით 500 მილიონი აშ დოლარი.

ანუ მარტივად შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. საბაზრო ეკონომიკის პირობებში განვითარებისთვის აუცილებელია დაფინანება;

2. დაფინანსების მოცულობა დამოკიდებულია თქვენივე კერძო საკუთრების ფასსა და ლიკვიდურობაზე.

თუ ამ უმარტივეს ჭეშმარიტებას ვაღიარებთ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ *სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები კაპიტალის მოსაზიდად უვარგისია: მას არც ფასი აქვს და არც ლიკვიდურობა. ამიტომაც ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფო ქონების, ამ შემთხვევაში სასარგებლო წიაღისეულის ნაწილის (ამ ეტაპზე საპილოტედ) განკერძოება.*

ნებისმიერი სერიოზული მიღწევის ავტორი ყოველთვის არის კერძო სექტორი, კერძო ინდივიდები. არც ნიუტონს, არც აინშტაინს, არც ნობელს და ა.შ. არ შეუქმნიათ თავიანთი თეორიები პოლიტ ბიუროს ბრძანებით! ისინი შეიქმნა კერძო ინიციატივით! არც შოთას "ვეფხისტყაოსანი" (მე ეს ღრმად მწამს და ალბათ, ნორმალურ მკითხველსაც), არც ამირეჯიბის "დათა თუთაშხია" არ შექმნილა რომელიმე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში! ამ ყველაფერს ქმნის კერძო სექტორი! შესაბამისად, ჩვენი მიზანია კერძო სექტორს მივცეთ მისივე შემოქმედებითი უნარის რეალიზაციის საშუალება! ეს კი რთულია ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, საკუთრების გარეშე!

უმთავრესი შეცდომა, რომელსაც ჩვენ წლებია ვუშვებთ, არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების ფულზე გაყიდვა.

ერთადერთი შესაძლებლობა, რათა აქტივები გადავიდეს კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში სწრაფად და ეფექტიანად, არის მისი უფასო განკერძოება! საპილოტე პროგრამა, სწორედ ამ მექანიზმზეა აგებული.

ეკონომიკის დოქტორი
ვანო ჩხაიძე

მასობრივი პრივატიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი და მუდმივად თანმდევი უარყოფითი მახასიათებელია მის შდეგად ერთეულების უზომოდ გამდიდრება, ნაცვლად იმისა, რომ პრივატიზირებული სიმდიდრეშეძლებისდაგვარად მთელ საზოგადოებაზე მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილებულიყო.

ამჯერად მაინც, ნამდვილად უნდა მოხერხდეს უფასო პრივატიზაციის შედეგად მასობრივად გავამდიდროთ საქართველოს ყველა მოქალაქე და არა მხოლოდ ერთეულები, მიუხედავად მათი განსხვავებული უფლება-შესაძლებლობებისა.

ამისათვის მთავარია უზრუნველვყოთ ნებისმიერი საპრივატიზაციო აუქციონის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, თუნდაც ბოლო წუთს, აუქციონების საბოლოო შედეეგების გაერთიანება-შეჯამებამდე, მიახლოებითაც კი შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი იყოს ვინმემ ან რამე ძალამ პრაქტიკულად შეძლოს გამოიცნოს იმ თვის აუქციონზე გამოტანილი ნებისმიერი ამა თუ იმ ლოტის შესაძენად რა თანხის გადახდა იქნება გარანტირებულად საკმარისი, რაც პრაქტიკულად მარტივია.

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი
მიხეილ ჯიბუტი

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება მოხდეს საშინაო და საგარეო ფაქტორთა ისეთი სახით დალაგება, რომელიც ქვეყნისა და მთელი ერის მდგომარეობის თვისობრივად (ანუ ნახტომისებურად, რევოლუციურად, ძალიან მოკლე დროში) გაუმჯობესების შესაძლებლობას წარმოშობს. ასეთი შესაძლებლობების გამოყენება ხდის ერთ სახელმწიფოს/ერს წარმატებულად, ხოლო გამოუყენებლობა მეორე სახელმწიფოს/ერს ჩამოარჩენს (ზოგიერთს საერთოდ აჰღგვის მიწისაგან პირისა!). ასეთი ისტორიული შანსი არსებობს დღევანდელ საქართველოში ე.წ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების სახით. ასეთი სახის საკუთრება ისტორიულმა კატაკლიზმებმა წარმოშვა. საქართველოში არც ერთი მტკაველი მიწა არაა, რომელიც ვინმეს საკუთრებაში არ ყოფილიყო. ისტორიული მესაკუთრეები სხვადასხვა მოვლენებმა (რუსეთის ანექსია, ბატონყმობის გადავარდნა, 1918-1921 წლების საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმა, კომუნისტურ-ბოლშევიკური ნაციონალიზაცია, კოლექტივიზაცია და ა.შ.) სხვადასხვა ფორმით ისე გააუცხოეს ამ საკუთრებისაგან, რომ საქართველოში რესტიტუციის, ანუ მესაკუთრეობის უფლებების აღდგენა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სამართლიანია, რომ ქართველი ხალხი/ საქართველოს მოქალაქეები განხილულ იქნას, როგორც ამ სიმდიდრის ერთობრივი მესაკუთრე და მოიძებნოს მექანიზმი ამ საკუთრების საქართველოს მოქალაქეებზე გადანაწილებისათვის. ეს უნდა მოხდეს უმოკლეს დროში, რომ საბაზრო სისტემის დამკვიდრების მოტივით არ მოხდეს ამ სიმდიდრის გაყიდვა ჯგუფურ-კლანური პრივატიზების სისტემით. საქართველოს მოსახლეობის ერთობლივი გამდიდრების შანსი არ უნდა იქნას გაშვებული ხელიდან. ამ პრინციპზე საერთო სოციალური ერთიანობა უნდა შეიქმნას ქვეყანაში. რაც შეეხება მისი განხორციელების მექანიზმს მე მხარს წილობრივ განაწილებას ვუჭერ. დეტალებზე საუბარი ამ ეტაპზე ძირითადი საკითხის მეორეხარისხოვანზე კამათში გადაზრდის საფრთხეს ქმნის და ვფიქრობ ტექნიკური რეალიზაციის დროს უნდა იქნას გადატანილი.

ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორი
ლოიდ ქარჩავა

ეკონომიკა, როგორც მობილური მეცნიერება, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, ხშირად განიცდის (მოითხოვს) მიდგომებისა და შეხედულებების კორექტირებას, ზოგჯერ კი რევოლუციურად იცვლება მისი ზოგიერთი ასპექტები. ამდენად, არის ეკონომიკის ზოგადი კანონზომიერებანი და არის კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე არაორდინალური გარემოებები, რომელიც შესაბამის ქმედებას მოითხოვს.

უდავოა, რომ ადამიანები კერძო საკუთრებას უფრო დიდი ინტერესით ექცევიან და ყველანაირად ცდილობენ, არა მხოლოდ მოუარონ და შეინარჩუნონ იგი, არამედ რაც შეიძლება მეტად სასარგებლო და მომგებნიანი გახადონ ის. განსახილველ თემასთან დაკავშირებით დავიწყოთ იმ ფუნდამენტური საკითხებით, რომ საჭიროა საქართველოს მოსახლეობამ და ხელისუფლებამ მიიღოს შემდეგი სახის პრინციპული და პოლიტიკური გადაწყვეტილებები:

1. მიწა, წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები უნდა გადავიდეს მოსახლეობის კერძო საკუთრებაში;

2. საკუთრება უნდა იყოს სრული და უპირობო, გარდა ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან ნივთის აღმოჩენის შემთხვევებისა, რასაც კანონი არეგულირებს;

3. უნდა განისაზღვროს, თუ ვინ იქნება მესაკუთრე;

4. შესასწავლია და მეცნიერულ საფუძველზე უნდა დადგინდეს, თუ რა ფორმით შეიძლება მოხდეს განკერძოება, პრივატიზება. ერთ-ერთი ვარიანტია ცალკეული წიაღისეული რესურსის სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბება, ხოლო მიწის რესურსების ნაკვეთებად გადანაწილება.

მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ ქონებას მესაკუთრე გაუჩნდება, ის ყველანაირად შეეცდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მხოლოდ მოუაროს და შეინარჩუნოს თავის საკუთრებაში არსებული აქტივები, არამედ რაც შეიძლება მეტად სასარგებლო და მომგებნიანი გახადოს იგი.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი პუნქტიდან ყურადღებას გავამახვილებთ მე-3 პუნქტზე - ესაა თუ ვინ იქნება მესაკუთრე და ამ საკითხს ოდნავ გავშლით:

ა) ჩვენ ვფიქრობთ, საქართველოს ბუნებრივი რესურსების მესაკუთრე, ანუ აქციების მფლობელი, შეიძლება გახდეს საქართველოში დაბადებული ნებისმიერი მოქალაქე, განურჩევლად ასაკისა, სქესისა თუ ეროვნებისა, მათ შორის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა, ვინც საქართველოშია დაბადებული, და არა კონფლიქტის შემდეგ ჩამოსახლებული პირები. ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება განხილულიქნას სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოსახლეობისთვის განსაკუთრებული პირობების შეთავაზება. მათ შორის შეიძლება იყოს მოთხოვნა, რომ მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა;

ბ) მესაკუთრე შეიძლება გახდეს, ასევე, საქართველოში დაბადებული მოქალაქე, რომელიც ნებისმიერი მიზეზით გავიდა ქვეყნიდან, მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და ამჟამად ცხოვრეობს საზღვარგარეთ. ასეთ ადამიანებს, მათივე სურვილის შემთხვევაში, უნდა მიეცეს ორმაგი მოქალაქეობა და ქართული პასპორტი, რომელსაც აიღებს საქართველოს საელჩოს ან/და საკონსულოს მეშვეობით იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობს.

აღნიშნული საკითხები შეიძლება მეორეხარისხოვნად ჩანდეს მანამ, სანამ არ არის გადაწყვეტილი პრინციპული საკითხი - ბუნებრივი რესურსების უფასოდ გადაცემა მოსახლეობაზე. ამიტომაც გავაგრძელებთ თემას, თუ რა ეკონომიკური ეფექტი შეიძლება მოგვცეს მესაკუთრის განსაზღვრამ, თუნდაც მიგრანტი ქართველების მხრიდან.

სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული სტატისტიკის მიხედვით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოდან გასულია 1,3-1,5 მილიონი ადამიანი, რისი მთავარი მიზეზიც არის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მათი სრულად აღრიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია (ისე საინტერესოა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტატისტიკა ამ თემაზე, თუმცა ეს დღევანდელი მსჯელობის საგანი არაა), მაგრამ რომ მოხერდხეს და თუნდაც ნახევარმა მიიღოს მონაწილეობა, ეს უკვე საკმაოდ დიდი საქმე იქნება და აი, რატომ: ფაქტია, რომ საქართველოდან გასული მოქალაქეების უმრავლესობა დასაქმებულია და იქედან (უცხო ქვეყნიდან) აქეთ უგზავნის ფინანსურ დახმარებებს თავის ოჯახის წევრებსა თუ ნათესავებს. გამოგზავნილი დახმარებების საერთო ჯამი ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტია. გარდა ამისა, ამ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა

საკმაოდ მდიდრები გახდნენ, მათ შორის არიან მილიარდერებიც. ათეულობით ან უფრო დიდი ალბათობით ასეულობითაც - მილიონერები, ხოლო ათასობით თუ ათიათასობით - საშუალო ფენის წარმომადგენლები. არიან ისეთებიც, რომლებიც მუშაობენ უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციებში ან უბრალოდ დიდ ფირმებში. თუკი ჩვენ სწორად დავგეგმავთ და სწორად მივცემთ ინფორმაციას ამ ადამიანებს, ჩავატარებთ შესაბამის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დაფუძნებულ სააგიტაციო სამუშაოებს და შევქმნით შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, რათა ამ ადამიანებმა მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა ან ორმაგი მოქალაქეობა, ისინი თავიანთი ფინანსური, ინტელექტუალური და გავლენის კაპიტალთა კონცენტრაციით საკმაოდ სერიოზულ დახმარებას აღმოუჩენენ საქართველოს. ამის მოტივაცია აქვთ ამ ადამიანებს, თუ სწორად მივუდგებით მათთან ურთიერთობის საკითხს (სწორედ ამას აკეთებენ ებრაელები). სწორედ ამ ადამიანებს შეუძლიათ დააჩქარონ ქართული მიძინებული კაპიტალის საერთაშორისო არენაზე გასვლის პროცესი, ბუნებრივი რესურსების აქციების სახით. მათ, როგორც მესაკუთრეებს, მონდომების მოტივაცია საკმაოდ მაღალი აქვთ. ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ, გაიზარდნენ, ქართული ცნობიერება ჩამოუყალიბდათ და მერე წავიდნენ აქედან, ძალიან მაღალი ალბათობით, ადვილად წამოვლენ ასეთ შეთავაზებაზე.

მიგრანტი ქართველები არის საქართველოსთვის ერთ-ერთი უდიდესი რესურსი როგორც ადამიანური, ისე ფინანსური, ინტელექტუალური და საქმიანი კავშირების მხრივ. ამას გამოყენება სჭირდება, სადაც ხელისუფლებამ და მოსახლეობამ, ერთობლივად უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა.

დაბოლოს, ეგეც რომ არ იყოს, ქართველი კაცი, რომელიც დღემდე შემორჩა საქართველოს, მოახერხებს თვითონაც გამონახოს გზა მის ხელთარსებული ქონების კაპიტალიზაციისთვის, მთავარია, არ შევბოჭოთ ის.

ქართული ფულის კურსის ცვალებადობის შესახებ

ლამარა ჭოჭიაური
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საფინანსო-საინვესტიციო პოლიტიკისა და სტრატეგიის ფონდის დამფუძნებელი და დირექტორი
lqoqiauri@yahoo.com
599 906011

გლობალური გარემოებების ე.წ. ლარის კურსზე მოქმედი „გარე ფაქტორების“ გრძელვადიანმა ხასიათმა, აგრეთვე საქართველოს მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ - ეკონომიკურმა პროცესებმა, ქვეყნის ეკონომიკის არასტაბილურმა განვითარებამ, „ინვესტიციურმა შიმშილმა“, არასწორმა მონეტარულმა და ფისკალურმა პოლიტიკამ და სხვა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა გამოიწვიეს ქართული ეროვნული ფულის კურსის ვარდნა. შრომაში მეცნიერულად, პრაქტიკულ მასალებზე დაყრდნობით ახსნილია ლარის დევალვაციის აუცილებლობა და გარდაუვალობა საქართველოში.

სტატიაში ქართული ლარის დევალვაციის პროცესების ანალიზის საფუძველზე ავტორის მიერ მოცემულია ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის შეჩერების და მოსალოდნელი ინფლაციის თავიდან აცილების, აგრეთვე ეროვნული ვალუტის გადარჩენის გადაუდებელი საშუალებები და რეკომენდაციები.

შრომაში კვლევის შედეგები წარმოდგენილია პრობლემების გადაჭრის ეკონომიკური აქსიომების სახით, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას, ქართული ფულადი ერთეულის - ლარის გაუფასურების შეჩერებასა და გამყარებას.

დღეისათვის საქართველოში გადაუდებლად საჭიროდ მიგვაჩნია ეკონომიკის რეალური სექტორის: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი წარმოების დარგების და ა.შ. დაჩქარებული განვითარება.

ჩვენი წინადადების დასაბუთებისთვის მოვიტან შემდეგ არგუმენტს: ისეთი ზესახელმწიფოს ფულადი ერთეულის ვარდნასაც კი, როგორიც ჩინეთია, ეკონომიკის ზრდის დამუხრუჭებით ხსნიან. მისი ეკონომიკა სტაგნაციას რამდენიმე თვეა განიცდის.

მსოფლიოს სიდიდით ნომერი მეორე ეკონომიკის ქვეყნის მთლიანად ფინანსური ბაზრის და ეროვნული ვალუტის, იუანის მკვეთრად დასუსტებას ხელი შეუწყო ბოლო დროს ჩინეთიდან გამოსულმა სუსტმა მაკროეკონომიკურმა მაჩვენებლებმა, როგორიც არის მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდის ტემპის შენელება, სამომხმარებლო ფასების ზრდა, ექსპორტ-იმპორტის მკვეთრად შემცირებული მაჩვენებელი და ა.შ. თვით ჩინელმა ანალიტიკოსებმა ბაზრის კოლაფსი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დამუხრუჭებით ახსნეს. 2009 წლის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა მკვეთრად შენელდა. შესაბამისად, იკლო კომპანიების წლიურმა მოგებამაც. ამავე დროს, ჩინეთშიც უარი არ უთქვამთ ე.წ. საგარეო ფაქტორების ზემოქმედებაზეც, კერძოდ, მსოფლიოში ნედლეულზე ფასების ვარდნა. ნავთობის მოპოვების არაადეკვატური მაჩვენებლების გარდა, ნავთობის გაიაფებაზე გავლენა ჩინეთის აქციების ფასის ერთბაშად 8%-იანმა ვარდნამ იქონია. ანალიტიკოსების განცხადებით, ჩინეთის ბირჟას ერთდღიანი ვარდნის ასეთი შედეგი ბოლო 8 წელია არ ახსოვს.

რაოდენ ღიმილის მომგვრელადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ამ დიდ ქვეყანაში ქვეყნის მთავრობასა და ცენტრალურ ბანკს შორის არაფრის მომტანი კინკლაობა კი არ გაჩაღდა დამნაშავის ძიებისთვის, არამედ, ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა ორჯერ ზედიზედ მიიღო საპროცენტო განაკვეთების შემცირების გადაწყვეტილება. ჩინეთის სახალხო ბანკმა საპროცენტო განაკვეთები რეკორდულ ნიშნულამდე დასწია. კომერციული ბანკების შემთხვევაში, ერთწლიანი კრედიტით სარგებლობისას საპროცენტო განაკვეთი 25

პროცენტით შემცირდა და მისი მაჩვენებელი 2,5%-დან 5,35%-მდე მერყეობს.

ეს გადაწყვეტილება ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა დაკრედიტების წახალისების მიზნით დაგეგმა, რაც ეკონომიკის სტიმულაციისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. ამგვარი ნაბიჯები ჩინეთის ცენტრალური ბანკისგან ახალი არ არის. 2015 წლის დასაწყისში მთავარმა ბანკმა ეკონომიკისა და ბანკებში დაკრედიტების წასახალისებლად კომერციული ბანკებისთვის სავალდებულო რეზერვების შემცირების გადაწყვეტილებაც მიიღო (ამას ჩვენი, ეროვნული ბანკის გასაგონად ვწერ – ავტორის შენიშვნა). ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალში ბანკებს სხვადასხვა კრედიტების გასაცემად ფული გამოუთავისუფლდებათ. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთმა ბოლო პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტებიც შეცვალა და ხარჯების გადახედვაც გადაწყვიტა.

თამამად დავესესხები და მოვიტან აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძის ციტატას, რომელის დედაარსსაც მთლიანად ვიზიარებ და ვეთანხმები: `ის, რაც ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით განაცხადა, შეგვიძლია სავალუტო სტაბილურობის ერთ-ერთ მექანიზმად განვიხილოთ. მეორე მხრივ, უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით უნდა გადავხედოთ კანონმდებლობას, რათა მაქსიმალურად მასტიმულირებელი მექანიზმები გვქონდეს. აქტიურად უნდა წარიმართოს მუშაობა ტურიზმის განვითარებისთვისაც.

უნდა განვითარდეს წარმოება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ამისთვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსი, რაც საკმაოდ ბევრი გვაქვს. რაც შეეხება ახალი სახელმწიფო საგარეო ვალის აღებას, ეს ნაბიჯი, შესაძლოა, გადაიდგას, მაგრამ ეს ფული მიზნობრივად უნდა იქნეს გამოყენებული, კერძოდ, ეროვნული წარმოების ზრდისთვის და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ეფექტური. წინა მთავრობამ ძალიან ბევრი ვალი აიღო, ბოლო 4-5 წელიწადში – მილიარდობით დოლარი, მაგრამ ეკონომიკის განვითარებისთვის არ გამოუყენებია. ვალს ყველა სახელმწიფო იღებს, მაგრამ ეფექტური უკუგების მიღებას ცდილობს.

საქართველოს აქვს დიდი რეზერვი სახელმწიფო საგარეო ვალის ასაღებად. მიზანშეწონილია საგარეო ვალის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მაქსიმუმ 60%-მდე იყოს. ახლა საგარეო ვალის წილი მშპ-სთან არის არა უმეტეს 40%-ისა.

ინფრასტრუქტურის გარდა, სესხი უნდა გამოვიყენოთ რეალური წარმოებისათვის. წლების განმავლობაში სესხებს მილიარდობით ვიღებდით და არასდროს ვიყენებდით რეალურ სექტორში, სადაც რეალური დოვლათი იქმნება და დასაქმების დიდი რეზერვებია. შესაბამისად, არ ვუჭერ მხარს ასეთი სესხის აღებას და მის დახარჯვას მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. სავალუტო ფონდს კატეგორიულად არ უთქვამს, აუცილებლად გაზარდეთ გადასახადები და არავითარ შემთხვევაში არ აიღოთ სესხიო. მათ რამდენიმე ალტერნატივა შესთავაზეს მთავრობას. ბიუჯეტის ოპტიმიზაცია, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ არსებულ ვითარებაში გადასახადების ზრდა გაუმართლებლად მიმაჩნია.

პირიქით, მეწარმეები და ბიზნესი გადასახადების ზრდით კი არ უნდა შევავიწროვოთ, არამედ კიდევ მეტი ლიბერალიზაციისკენ უნდა წავიდეთ. (2). ლარის კურსის ვარდნის შეჩერებისა და გამყარების მიზნით, ასეთივე რეკომენდაციას იძლევა პროფესორი მიხეილ თოქმაჯიშვილი. იგი წერს: ,,ლარის გაუფასურებას ჩვენ რომელიმე ბანკს ვერ დავაბრალებთ, მართალია, თუკი რამდენიმე ბანკი გაერთიანდება, შეძლებს კურსზე ზეგავლენის მოხდენას, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ერთჯერადი ნაბიჯი, რომელიც ხანგრძლივ შედეგს ვერ მოიტანს... ბანკს არ შეუძლია გაცვლითი კურსის კრიზისი წარმოშვას. ამ პრობლემის განხილვისას უფრო ობიექტურ ფაქტორებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი, როგორიცაა: ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა, ინვესტიციები, ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები, მათი გამოყენების დონე და სხვ. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, მას შეუძლია საერთოდ გაყინოს ლარის კურსი, მაგრამ ამ დროს ეკონომიკა ჩერდება მთლიანად. ამიტომ უნდა ამოვარჩიოთ, რომელი სჯობს: 1. ლარი უფასურდებოდეს მდორედ და არა ნახტომისებური ნაბიჯით, მაგრამ სამაგიეროდ სტიმული მიეცეს ეკონომიკის განვითარებას და 2. გავაჩეროთ ეკონომიკა, ვუყუროთ, რომ ლარი სტაბილურია და გვიხაროდეს.

დასკვნა: ლარის გაუფასურება ეროვნული ბანკის ფუნქციებსა და ინტერესებში არ შედის: მისი ძირითადი ამოცანაა, ეკონომიკას ფული მიაწოდოს და ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი შეინარჩუნოს (3).ამრიგად, ჩამოვაყალიბოთ ლარის გაუფასურების შეჩერებისა და შემდგომი განმტკიცების აქსიომა: რეალური ეკონომიკის ნაბიჯ-ნაბიჯ, სისტემატიური ხასიათით ზრდა, ეკონომიკური ზრდის პროცესის შეუქცევადი ხასიათი, ლარის სტაბილურობის გარანტი, უპირველესად, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების

გაუმჯობესებაზე საუბარი შეუძლებელი იქნება, თუ საქართველოში საინვესტიციო ბუმი არ შედგა. თანამედროვე პირობებში საინვესტიციო პოლიტიკისგააქტიურებასაქართველოსეკონომიკის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის უმთავრესი პირობაა. დღეს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნლოვანესი მიმართულებებია: ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა მხარდაჭერის გაძლიერება, ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების წახალისების ინსტიტუტების სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს შექმნა.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების პროცესში ყოველთვის ითვლებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საბანკო სისტემის განვითარება. რაოდენ სასიამოვნოა, რომ ეკონომიკის ორივე მამოძრავებელი ბერკეტი დღეს კარგად მუშაობს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, რა ოდენობით თანხების განთავსება ხდება ქვეყნის ძირითად კაპიტალში, რამდენად მიმზიდველია ქვეყანა საინვესტიციოდ, რომელ დარგშია მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობები. ამდენად, უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა ქვეყნის განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მით უფრო, საქართველოს პირობებში, როდესაც განვითარებისთვის შიდა რესურსები მწირია, ბიუჯეტის რესურსები შეზღუდულია, ხოლო ეკონომიკური სუბიექტების დანაზოგები ინვესტირებისთვის – ძალზე მცირე. უცხოური ინვესტიციების შემოდინება მხოლოდ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა როდია, ეს, უწინარეს ყოვლისა, იმ ტექნოლოგიური მიღწევების გაზიარების საშუალებაა, რაც ქვეყანას ასესჭირდება. გარდა ამისა, პირდაპირ ინვესტიციებს დასაქმების სერიოზული პოტენციალი აქვს. განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივებიდან გამომდინარე, საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისას გასათვალისწინებელია ეროვნული და უცხოური ინვესტიციებისთვის საქმიანობის ერთიანი, უნიფიცირებული პირობების შექმნის აუცილებლობა.

ესეც ეკონომიკის აქსიომაა, რადგანაც ქვეყნის საინვესტიციო აქტივობა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია. ამდენად, პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა ერთმანეთთან უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებსა და მშპ-ს ზრდას შორის.

მშპ და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ცხრილი 1.

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ.აშშ დოლარი)	10172	12801	10767	11663	14439	15830	16140	16529
უცხოური პირდაპირი ინვესტიცია (მლნ. აშშ დოლარი)	2015	1564	569	814	1117	912	942	1758
უცხოური პირდაპირი ინვესტიციის წილი მშპ-თან (%)	20	12	6	7	8	6	6	11

წყარო: http://www.nbg.gov.ge/index.php?m=494

კრიზისის შემდეგ, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მთავრობის მთავარ გამოწვევად რჩება. ბევრ ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კლებამ სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემები გამოიწვია. კრიზისის შემდეგ კონკურენცია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაში კიდევ უფრო გამწვავდა. მაშინ, როცა ქვეყანას საკუთარი ეკონომიკის განვითარება დაუხმარებლად არ შეუძლია, უცხოურ ინვესტიციებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის.

როგორ პარადოქსადაც არ უნდა გამოჩნდეს, საქართველოსთვის ძირითადი პრობლემა იგივე არასაკმარისი ინვესტიციებია. მეორე და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები. მსოფლიოში ძალიან ცოტაა ბიზნესი, რომელიც ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთების გადახდას შეძლებს. ეს ფაქტორები, ცხადია, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის

განვითარებას და სწორედ ამაში აკისრია ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას და საბანკო სისტემას ერთად. ბანკებს შორის საჭიროა, მოხდეს არა ერთგვარი `ფარული შეთანხმება მაღალ საპროცენტო განაკვეთებზე, არამედ, მათ შორის დამყარდეს ჯანსაღი კონკურენცია.

აი, აქ კი, თავისი სიტყვა უნდა თქვას ეროვნულმა ბანკმაც. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფომ უნდა შექმნას თამაშის ერთიანი წესი ყველა სამეურნეო სუბიექტისთვის. საბანკო სექტორთან მიმართებაში სახელმწიფო ვალდებულია, რეგულაციის მკაცრი წესები ჰქონდეს, რომელთა შემუშავება, დაწესება და კონტროლი საბანკო ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ კომერციული ბანკების მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა მიიღოს მაქსიმალური მოგება და ამ მიზნით, შესაძლოა, ის წავიდეს გარკვეულ რისკებზე. სწორედ ამიტომ აწესებს სახელმწიფო გარკვეულ რეგულაციებს, რათა დაიცვას მეანაბრეები, აქციონერები, ინვესტორები და ასევე, დაიცვას ეკონომიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება.

და კიდევ ერთი გარემოებაა ხაზგასასმელი – საქართველოს ეკონომიკის, რეფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ისევ რჩება არამარტო უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, არამედ საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელების მექანიზმის მიმართვა ქვეყნის შიდა ინვესტიციების განხორციელებაზე და ახალ ინვესტიციურ პროექტებზე, მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე.

საქართველოს ეკონომიკას და ქართულ ფულად ერთეულს რთულ გლობალურ და რეგიონალურ გარემოში უწევს მოქმედება. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო ძლიერდება წარმოების პროცესის დამოკიდებულება ისეთ საგარეო და ქვეყნის შიდა ფაქტორებზე, როგორებიცაა: საერთაშორისო ვაჭრობის, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები და რეალური სექტორის განვითარება, უცხოური კაპიტალის ბრუნვა, პოლიტიკური მდგრადობა და ა.შ. საერთაშორისო ურთიერთობების არასტაბილურმა მდგომარეობამ და სავალუტო კრიზისებმა შესაძლოა, ქვეყნების ეკონომიკებზე ძალზე უარყოფითად იმოქმედოს. ასეც მოხდა საქართველოში. ქართული ფულადი ერთეულის სტაბილურობის გენეზისის შერყევასა და უფრო მეტიც, მოშლაზე ვალუტის კურსის რყევისა და დაცემის თითქმის ყველა ფაქტორმა მოახდინა გავლენა. გამომდინარე აქედან,დღის წესრიგში დგება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დაგანსაკუთრებით, ფულად-საკრედიტო სავალუტო პოლიტიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობა (4).

ქვეყნისთვის გადაუდებლად საჭიროა ეკონომიკური ზრდა,რეალური სექტორის განვითარების ფართო მასშტაბები. საქართველოზე მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ 0,03 პროცენტი და მსოფლიო მოსახლეობის 0,06 პროცენტი მოდის. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში დაახლოებით ორჯერ ნაკლები მთლიანი შიდა პროდუქტი იწარმოება, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში. საქართველოს ეკონომიკური ზრდის ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტემპით(2012-2015 წ.წ. – 4,6%) ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის უღარიბესი სახელმწიფოს – ბულგარეთის დონეს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ით ათი წლის შემდეგაც ვერ მიაღწევს. ამგვარად, აქსიომა 1. ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პრობლემა ეგზისტენციური დატვირთვისაა და მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არა მარტო ქართული სახელმწიფოს როლი და წონა მსოფლიოში, არამედ მისი მდგრადობა შიდა და გარე გამოწვევებისადმი, მისი მოქალაქეების კეთილდღეობის დონე და დინამიკა, და ქართული ფულადი ერთეულის სიმყარე და საერთოდ, არსებობა.

საერთაშორისო ბაზრებზე შექმნილი პანიკა და ქართული ლარი. 2014-2015 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა გლობალურ თუ რეგიონულ დონეებზე გამოწვევების წინაშე დააყენა ქართული ეკონომიკა, ვინაიდან ქართული მცირე და ღია ეკონომიკა საკმაოზე მეტად მოწყვლადია საგარეო შოკების მიმართ. ამ მოვლენებმა ძლიერი საგარეო შოკის ფონი შექმნა, რომელიც ნეგატიურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე საგარეოშემოსავლების შემოდინების მკვეთრი შემცირების კუთხით.

აქ ხაზგასმით გამოვყოფდით საერთაშორისო ბაზრებზე შექმნილ სიტუაციებს, რომელსაც, საბოლოო ჯამში, მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე საფონდო ინდექსების ჩამოშლა მოჰყვა, რაც მნიშვნელოვნად აისახა ქართულ სავალუტო ბაზარზე. საქართველოს სავალუტო ბაზარზე ატეხილი აჟიოტაჟი, ძირითადად, განპირობებულია საერთაშორისო ბაზრებზე შექმნილი პანიკით. საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა დოლარზე მოთხოვნა, რამაც გამოიწვია ლარის დაცემა. ჩვენი აზრით, ეს ძალზე ნეგატიური ტენდენციაა. თუმცა, ასეთი აჟიოტაჟი მოკლევადიანია და ეს პროცესი საქართველოშიც

მოკლე პერიოდში დამთავრდება, აჟიოტაჟი პიკს ნიშნავს და სტაბილურობის ნიშნებს უახლოეს პერიოდში უნდა ველოდოთ.

აქ უფრო ისევ, დაწვრილებით შევჩერდეთ მსოფლიო საფინანსო ბაზარზე მიმდინარე მოვლენების შესახებ. ბოლო წლებში ძალიან საინტერესო ტენდენციები ჰპოვებს ასახვას მსოფლიო ეკონომიკაში. ეს დაკავშირებულია ჩინეთის ეკონომიკის არნახულ ზრდასთან, რომლის თაობაზეც საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჯერ კიდევ 2014 წელს გვამცნობდა, როცა მან პირველმა დააფიქსირა, რომ ეროვნული ეკონომიკის წარმოება ერთ წელიწადში ჩინეთში გახდა 17,6 ტრილიონი დოლარი და ამერიკის მაჩვენებელს მცირედით გადაასწრო. თუმცა ექსპერტების ნაწილი თავს იმით იმშვიდებდა, რომ ეს ზრდა ერთი ნომინალის მეშვეობით მოხდა, მშპ-ს მიხედვით, ხოლო ნომინალური მშპ-ს მიხედვით შეერთებული შტატები ლიდერობდა და ლიდერობს. ეს, თავისთავად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ახალი ტენდენცია იყო და გარკვეული ასახვა ჰპოვა რეგიონული ეკონომიკების განვითარებაზე.

ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოლო პერიოდში, როცა მსოფლიოს ეკონომიკის ზრდას განაპირობებდა ჩინეთის ეკონომიკის არნახული ზრდის ტემპი, ამას, ბუნებრივია, მოჰყვებოდა გარკვეული ცვლილებები, მათ შორის არაპროგნოზირებადი და ასევე კრიზისული ცალკეულ რეგიონებში. აი, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ჩვენ ის რეალობა და მოცემულობა, რომელიც ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებული არის აშშ დოლარის გამყარებასთან ყველა სხვა ძირითად კონვერტირებად ვალუტებთან მიმართებაში, ხოლო მეორეს მხრივ, ნავთობზე ფასების გლობალურ დაცემაში, რაც არის გეოპოლიტიკური ძვრების შედეგი და გარკვეულ დისონანსში მოდის მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციებთან. ამავე დროს ჩინეთი იკვეთება, როგორც დასავლური სისტემის ერთ-ერთი პარტნიორი და ამავე დროს, კონკურენტი, ამის შედეგია ის რყევები, რომლებიც საერთაშორისო არენაზე ხდება და რომლის ექოც რეგიონებში სულ უფრო მკაფიოდ ისმის. ამ თვალთახედვით, ყველაზე მკაფიო მაგალითი იყო ე.წ. „შავი ორშაბათი“ ჩინეთის საფონდო ბირჟებზე, როდესაც იქ მოხდა მაჩვენებლების მნიშვნელოვანი დაცემა. ბუნებრივია, ამას გავლენა აქვს ჩვენს ქვეყანაზეც, მაგრამ მცირე, ვინაიდან ჩვენი ეკონომიკის ინტეგრაციის ხარისხი მსოფლიო ეკონომიკაში არის იმდენად დაბალი, რომ არათუ მყისიერ, არამედ ფუნდამენტურ გავლენას საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებზე სერიოზულად და არსებითად ვერ იქონიებს. აქსიომა 2. მიუხედავად ზემოთქმულისა, საჭიროა გაიზარდოს საქართველოს ეკონომიკის მდგრადობა ქვეყნის წინაშე მდგომი მოსალოდნელი ნებისმიერი ეკონომიკური საფრთხეების მიმართ.

ნავთობის გაიაფება. ლარის გაუფასურების მიზეზებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რა გლობალურ და რეგიონალურ გარემოში უწევს ქართულ ეკონომიკას მოქმედება. მასზე მოქმედი გარე შოკებიდან ხაზგასმით უნდა გამოვყოთ ნავთობის ფასის მკვეთრი შემცირება. როგორც ნავთობის იმპორტიორი, საქართველო პირდაპირ სარგებელს ნახულობს ნავთობის დაბალი ფასისგან, რადგან მცირდება იმპორტში დახარჯული ფული, თუმცა ამ სარგებელს ფარავს რუსეთის მძიმე რეცესიისა და რუსული ვალუტის ძლიერი გაუფასურების გავლენა რეგიონზე. ნავთობის ფასების მკვეთრი ვარდნა მძიმედ დააწვა ნავობმომპოვებელ ქვეყნებს რეგიონში, როგორიცაა აზერბაიჯანი და ყაზახეთი. ამან გამოიწვია ექსპორტით შემოსული ფულის შემცირება – დაახლოებით 20-25%-ით.

მსოფლიო ბაზარზე ნავთობი გაიაფებას განაგრძობს. ბოლო ერთი თვის (2015 წლის ივლისი) მანძილზე ნავთობის ფასი 23,3%-ით შემცირდა. ფასების მსგავსი შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ირანისთვის ეკონომიკური სანქციების სრულიად მოხსნაა. როგორც ირანის ნავთობის მინისტრმა ბიჯან ნამდარ ზანგანესმა განაცხადა, ირანი აპირებს ნავთობის მოპოვება გაზარდოს, თუნდაც ეს ფასის შემცირების ხარჯზე მოუხდეს. ირანის პოზიციას ემთხვევა ამერიკის პოზიციაც. როგორც შტატების ნავთობის ინსტიტუტები იუწყება, ამ სიტუაციაში ამერიკა არ ფიქრობს მოპოვების შემცირებაზე, მეტიც, ბოლო კვირეების მანძილზე მოპოვება ორ მილიონ ბარელზე მეტით გაზარდა.

მართალია, მსოფლიო ბაზარზე უკვე თვეზე მეტია, კლების ტენდენცია ფიქსირდება, მაგრამ ამის მიუხედავად, მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესები ქართულ საწვავის ბაზარზე არ ისახება. თუ მსოფლიოში ბოლო ერთი თვის მანძილზე ფასი 23,3%-ით შემცირდა, საქართველოში ფასი არცერთ კომპან-იას არ შეუმცირებია, თუ არ ჩავთვლით კომპანია `გალფს~, რომელმაც ფასი მხოლოდ დიზელის საწვავზე შეამცირა 5 თეთრით. რაც შეეხება ეროვნული ვალუტის კურსით აპელირებას, ამ შემთხვევაში ნავთობკომპანიებს ესეც არ გამოადგებათ, იმდენად, რამდენადაც ეროვნული ვალუტა დასტაბილურდება (ოღონდ

გაუფასურების მაღალ ნიშნულზე). მსოფლიო ბაზარზე ფასების კლება, ბოლო მონაცემებით, 23%-ს აღემატება, ქართულ ბაზარზე კი ფასები არ იცვლება.

აქსიომა 3. მსოფლიო გლობალიზაციით გამოწვეული კარდინალური ცვლილებების, ფინანსური და სავალუტო კატაკლიზმების, სოციალურ-ეკონომიკური რისკების რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით დაძლევისთვის აუცილებელია გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, სადაც ჩამოყალიბებული იქნება მზარდი ეკონომიკის შექმნა. გაანალიზებული იქნება ყველა მოსალოდნელი ფინანსური რისკი (მ.შ.ნავთობის გაიაფება, დოლარის გამყარება და ა.შ.), ქვეყნის მაკრო-ეკონომიკური გარემო, საბანკო სექტორი და იქ მიმდინარე მოვლენები, მათი სტრატეგია და მენეჯმენტი, გამჭირვალობის მსოფლიო სტანდარტები და ცხადია, ზოგადად სამომავლო პერსპექტივები.

დოლარის პოზიციების გამყარება. 2014 და 2015 წლის პირველ ნახევარში, აშშ-ში პოზიტიური ეკონომიკური ტენდენციების და მოლოდინების პარალელურად, აშშ დოლარმა გამყარება დაიწყო. ამას თან დაერთო აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ 2008 წელს დაწყებული რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკიდან გამოსვლისა და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადება, რამაც კიდევ უფრო გაამყარა დოლარის პოზიციები.

შედეგად, მსოფლიოს სავალუტო ერთეულების უმრავლესობა მნიშვნელოვანი გაუფასურების ფაქტის წინაშე დადგა. საქართველოსთვის დოლარის გაძლიერება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ სამ ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში (თურქეთი, რუსეთი, უკრაინა) მოხდა ადგილობრივი ვალუტების მნიშვნელოვანი გაუფასურება დოლარის მიმართ, აგრეთვე, ზეწოლა მოხდა მათ ეკონომიკურ ტენდენციებზე. არახალია არავისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა დიდადაა დამოკიდებული მეზობელი ქვეყნების ეკონომიკის სტაბილურობის ხარისხზე. საქართველოში იმპორტირებული საქონლის 52% დსთ-ს ქვეყნებზე მოდის, ასეთ სიტუაციაში ჩვენს ქვეყანაში შემოგვაქვს ეკონომიკური არასტაბილურობა, ინფლაცია და გაუფასურებული ვალუტა სავაჭრო ქვეყნებიდან.

ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქციის პროგნოზის რისკებში მთავარი ადგილი საგარეო სექტორს უკავია. კერძოდ, გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, თუკი ეკონომიკური კრიზისი მოსალოდნელზე მეტად გაღრმავდება რეგიონის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ან/და აღნიშნული შოკი მოსალოდნელზე მეტად გადმოეცემა საქართველოს, მაშინ ეკონომიკური ზრდა პროგნოზთან შედარებით შემცირდება. მეორე მხრივ, თუკი ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და მსხვილი საინვესტიციო პროექტები მოსალოდნელზე მეტად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე ან ბიზნეს განწყობა მოსალოდნელზე მეტად გაუმჯობესდება, მაშინ მშპ-ს ზრდა პროგნოზირებულთან შედარებით მაღალი იქნება.

აქსიომა 4. თუ ქვეყნიდან მეტი ფული გადის, ვიდრე შემოდის, ეს უკვე იწვევს ეკონომიკურ რყევებს. საქართველო ნელ-ნელა უნდა გამოვიდეს დოლარიზაციის სისტემიდან, მაგრამ ბევრს ჰგონია, თუ ქვეყანაში დოლარის მასა შემცირდება, ეს უკეთესი იქნება. ამ შემთხვევაში ჩასატარებელია სერიოზული რეფორმა და არა საქართველოდან დოლარის გატანა. დღეს ჩვენ ფინანსური თვალსაზრისით გვაქვს მახინჯი ფინანსური ფორმები: მაგალითად, ლარში ხდება ანგარიშსწორება, გადასახადების აკრეფა, გაიცემა ხელფასები, მაგრამ როცა საქმე დანაზოგს ეხება, აქ უკვე დოლარი გვირჩევნია. ვინაიდან ჩვენი ცხოვრება მაინც დოლარზეა მიბმული, მისი მკვერთი შემცირება უარყოფითად მოქმედებს ლარის კურსზე, როგორც ექსპერტები ამბობენ, დოლარიზაციიდან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ გარკვეული ფინანსური დაბალანსებით და რაც მთავარია, ადგილობრივი წარმოების განვითარებით.

ეკონომიკის ლარიზაციის დაბალი დონე. 2010 წლიდან ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის მიმართულებით, რომლის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოში ეკონომიკის ლარიზაციის დაბალი დონეა. მაღალი დოლარიზაციის პირობებში შესუსტებულია საპროცენტო განაკვეთის გადაცემის მექანიზმი, რადგან ეკონომიკისთვის ფულის მიწოდების მნიშვნელოვანი ნაწილი არის უცხოური ვალუტით, რომელზეც საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრება სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ მათ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური ციკლების შესაბამისად და სცილდება ეროვნული ბანკის კონტროლის სფეროს. დაბალი ლარიზაციის პირობებში გაცვლითი კურსის ცვლილება უფრო მეტად გადაეცემა ინფლაციას, რაც აფერხებს გაცვლითი კურსის მოქნილობას. გარდა ამისა, დაბალი ლარიზაციის დროს მნიშვნელოვანია გაცვლითი კურსის რისკი კურსის მერყეობისგან დაუცველი ეკონომიკური აგენტებისთვის,

განსაკუთრებით კი ბანკების მსესხებლებისთვის, რომელთა შემოსავლები დენომინირებულია ეროვნული ვალუტით, სესხი კი უცხოური ვალუტით აქვთ აღებული. ასეთ შემთხვევაში იზრდება კომერციული ბანკების პორტფელის საკრედიტო რისკი, რაც კრედიტორების ვალუტების დისბალანსით, ანუ არაჰეჯირებული სესხებით არის განპირობებული (ჩურრენცყ ჯნდუცედ ჩრედიტ ღისკ). შედეგად, ლარის კურსის ცვლილებას აშშ დოლარის მიმართ შეიძლება სერიოზული გავლენა ჰქონდეს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელზე.

აქსიომა 5. ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ამოცანა, სწორედ, ლარიზაციის ზრდაა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ლარიზაცია – ეს არის ხანგრძლივი პროცესი, ვინაიდან ეკონომიკურ აგენტთა ქცევის შეცვლა მოითხოვს განვითარებული ფინანსური ბაზრისა და მდგრადი ეკონომიკური სტაბილურობის არსებობას წლების განმავლობაში.

ქვეყნის ექსპორტი. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. რეგიონში განვითარებული ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოვლენები სრულად აისახა საქართველოს საექსპორტო პროცესებზე. მთავარი საექსპორტო ბაზრების მიმართულებით განხორციელებული ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები, პრაქტიკულად, ისტორიულ მინიმუმამდე შემცირდა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. 2015 წლის პირველ ნახევარში მშპ-ს 14,9%-მდე გაიზარდა და ეს გაუარესება, ძირითადად, განპირობებული იყო საქონლის ექსპორტის 27,7%-იანი კლებით. ექსპორტის შემცირების მკვეთრი ტემპი 2014 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო. ამავე პერიოდში ექსპორტთან ერთად შემცირდა ფულადი გზავნილებებიც (27,3%-ით) და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც (2,9%ით), თავის მხრივ, იმპორტის წლიური ზრდა, რომელიც წინა წლის მეოთხე კვარტალში ჯერ კიდევ დადებითი იყო, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უარყოფითი გახდა და – 3,3% შეადგინა. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ იმპორტის შემცირების ტემპი ბოლო თვეებში ზომიერად მატულობს, რაც შემცირებული სავალუტო შემოდინებების შესაბამისად იმპორტის კორექციის პროცესის გააქტიურებაზე მიუთითებს და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას უწყობს ხელს. მიზანშეწონილად ჩავთვალე, აქ მოვიტანო ქვეყნის პრემიერის რეზიუმე იმის შესახებ, რომ „საქართველოს მაკროეკონომიკაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, პირიქით, ეს ეტაპი გადავლახეთ. 300 მილიონ დოლარზე ნაკლებია გასული ქვეყნიდან, ასევე აღმოფხვრილია დისბალანსი ექსპორტ-იმპორტს შორის და არავითარი ფუნდამენტური პრობლემები ამ ეტაპზე არ გვაქვს“ (1).

აქსიომა 6. გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია ექსპორტის ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოების განვითარება. ლარის წარმოების ზრდით გამყარება ან წარმოების შემცირებით გაუფასურება – ეს არის საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის ამსახველი რეალური სახე. დადებით გადაწყვეტილებად მიმაჩნია იმპორტის ჩამნაცვლებელი პროდუქციის გამოჩენა ადგილობრივ ბაზარზე. ეს დადებითად იმოქმედებს ლარის კურსზე, რადგან აღარ დაგვჭირდება დამატებითი დოლარი იმპორტირებული პროდუქციის შესაძენად. მით უმეტეს, რთული არ არის სუსტი ეროვნული ვალუტის გამოყენება ადგილობრივი წარმოების გამოსაყენებლად.

საგარეო ვალის ფაქტორი ძალზე საყურადღებოა ზოგადად ეკონომიკის და ეროვნული ფულადი ერთეულის, ჩვენს შემთხვევაში ლარის მდგომარეობის შესაფასებლად. დასამალი არაა, რომ 2008 წლიდან დაწყებული, შემდგომი 4 წლის განმავლობაში ეროვნული ვალუტა დიდწილად ჩამოკიდებული იყო წელიწადში საშუალოდ მილიარდდოლარიან ინექციაზე. თუ ამას დავამატებთ ქვეყნის საგარეო ვალის მოცულობის ზრდას, გამოდის, რომ 2012 წლის ჩათვლით, ეროვნული ვალუტის სიმყარე ნაწილობრივ დამოკიდებული იყო საგარეო ვალზე და არა ეკონომიკის რეალურ მდგომარეობაზე. 2013 წლიდან საქართველომ შეწყვიტა ახალი ვალების აღება. ეს ერთგვარი შოკისმატარებელი იყო, ვინაიდან ჩვენ მიჩვეულები ვიყავით, როცა დოლარი მოგვაკლდებოდა, ვიღებდით სესხს და ყველაფერი დარეგულირდებოდა ხოლმე, ლარი მყარად ,,გვეჭირა“ ხელში. დღეს ეს ფაქტორი მოიხსნა და ლარის კურსი ,,გაიქცა“, მე ვიტყოდი, ლარის კურსი გათავისუფლდა ხელოვნური მუხრუჭებისგან. თუმცა საგარეო ვალის აღება დაბალი ტემპით ისევ მიმდინარეობს. სახელმწიფო ბიუჯეტი მოცულობით იმაზე მეტ საგარეო ვალსა და გრანტს იღებს, ვიდრე საგარეო ვალს იხდის და შესაბამისად, ლარის კურსის გაუფასურების გამო, კონვერტირების შედეგად, გაცილებით მეტი თანხა შემოდის ბიუჯეტში, ვიდრე გადის.

აქსიომა 7. თავისთავად, საქართველოს მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან, უცხოური ქვეყნების მთავრობებისაგან და კომერციული დაპროექტების ინსტიტუტებიდან უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საგარეო ვალის აღება აუცილებელი, გარდაუვალი

და შესაძლებელია. მთავარია, სწორად იქნეს განსაზღვრული, რა რაოდენობის უცხოური კაპიტალის ათვისება შეუძლია ქვეყანას, რა რაოდენობის ვალის მოსმახურეობაა უზრუნველყოფილი ქვეყნის მთავრობის მიერ, დაცულია თუ არა საგარეო ვალის პარამეტრების შესაბამისი კრიტერიუმები და ყველაზე მთავარი – აღებული საგარეო ვალი გამოყენებული უნდა იქნეს მიზნობრივად და ეფექტიანად.

ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე გადასვლის უმთავრესი პირობაა. თანაც, არამარტო უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა საჭირო, არამედ უმნიშვნელოვანესი საკითხია საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელების მექანიზმის მიმართვა ქვეყნის შიდა ინვესტირებაზე და ახალ საინვესტიციო პროექტებზე, მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე.

მაქსიმალისტობას დამწამებენ ამ სიტყვების გამო, მაგრამ მაინც დავწერ: საქართველოში არსებული ფინანსური კრიზისის ფონზე ინვესტიციები არის, ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ეკონომიკური სიძლიერის, თუ გნებავთ, ეკონომიკური გადარჩენის, ფინანსური თუ სოციალური პრობლემების გადაჭრის ერთადერთი თუ არა, ერთერთი მთავარი დრაივერი. ამ სიტყვების თქმის საშუალებას მაძლევს ის ფაქტები, რომ საქართველოში ეკონომიკის განვითარებისთვის შიდა რესურსული ბაზა ძალიან მწირია, ბიუჯეტური რესურსები – შეზღუდული, ხოლო ეკონომიკური სუბიექტების დანაზოგები ინვესტირებისთვის – ძალზე მცირე.

საერთოდ, ქვეყნის ინვესტიციური განვითარების ამოცანების გადაწყვეტა, საინვესტიციო ნაკადების ქვეყანაში შემოდინებისთვის და შედეგად ლარის კურსის გამყარებაში დიდი როლის შესრულება, შეუძლებელია მხოლოდ ისეთი ბაზრის თვითრეგულაციის საფუძველზე, რომელიც ჩვენს ეკონომიკაში ჩამოყალიბების დაბალი დონით გამოირჩევა. საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფოს როლის გაძლიერება, ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება, სახელმწიფოებრივი და საბაზრო რეგულირების ოპტიმალურად შეხამების ძიება. ამასთან, უნდა განისაზღვროს საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის საზღვრები და პრინციპები, საქართველოს ეკონომიკის განვითარების იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც ბაზარზე გადასვლის პერიოდს ახასიათებს.

ლარის მისაშველებლად მთავრობამ მიიღო და ახორციელებს საპრივატიზაციო ობიექტების დაჩქარებულ რეჟიმში რეალიზაციის გეგმას. ასევე, შარშან შემოვიდა რეკორდული მოცულობის ინვესტიციები ბოლო შვიდი წლის განმავლობაში. ამ პირობებშიც კი ლარმა გაუფასურება განაგრძო. უკეთესობისკენ ორივე ეს წინგადადგმული ნაბიჯი პრობლემის გადაჭრის მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში მოგვარების მცდელობაა. შეუძლებელია, საქართველოში ერთბაშად პრივატიზაციიდან და უცხოური ინვესტორებიდან ინვესტიციების იმხელა ნაკადი შემოვიდეს, რომ ამან ლარის ვარდნა შეაჩეროს.

აქსიომა 8. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურება საქართველოს ეკონო-მიკის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის უმთავრესი პირობაა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე საუბარი შეუძლებელი იქნება, თუ საქართველოში მნიშვნელოვანი საინვესტიციო ბუმი არ შედგა. ლარის რყევის მკვეთრი ამპლიტუდა მხოლოდ მაშინ გაწონასწორდება, როცა პრივატიზაციიდან და შემოსული ინვესტიციების მილიონობით ნაკადიდან ყოველი თეთრი საქართველოს თითქმის გაჩერებულ რეალური სექტორში დაბანდდება, მატერიალური წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდება. შედეგად ხალხი დასაქმდება, შემოსავლები გაუჩნდება, ადგილობრივი პროდუქციის გამოშვება დაიწყება, იმპორტით აღარ ვიცხოვრებთ, ჩვენსას გავყიდით და ექსპორტიდან ფულადი ნაკადების შემოდინება დაიწყება.

საბანკო სექტორის როლის ამაღლება ქვეყნის ეკონომიკისა და მისი იმიჯის ფორმირებაში. როდესაც მსოფლიოში ლარის კურსის ზრდის გლობალური ტენდენციაა და საქართველოს ყველა ძირითადი სავაჭრო პარტნიორის ვალუტა დოლარის მიმართ ეცემა, ლარი ვერ დარჩებოდა თავდაპირველ მდგომარეობაში. ეს ისე, ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკაზე დასკვნის გასაკეთებლად/შესაქმნელად ვამბობ.

ისე, არ ვეთანხმები ასეთ მკვეთრ გამიჯვნას, მაგრამ საქართველოში ეკონომიკის ორ ძირითად რეგულატორს გამოყოფენ: ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ეროვნული ბანკის პრეროგატივაა, სავალუტო უზრუნველყოფა კი სამთავრობო სტრუქტურებს აქვს დაკისრებული.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა გავლენას ახდენს ეკონომიკაში კრედიტების მიწოდებაზე (ფაქტია, მაგრამ კრედიტის გაცემებზე უარყოფითს ვერაფერს ვიტყვით); ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა არის ფასების სტაბილურობის

უზრუნველყოფა. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. და კიდევ – ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრისას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს ეყრდნობა. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის (რომელიც საქართველოში 2009 წელს ამოქმედდა) წარმატებულად ფუნქციონირება გარკვეულ პირობებს მოიცავს.

მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების ფორმულირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა საპროგნოზო ინფლაციას ენიჭება, ვინაიდან ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ცვლილება ეკონომიკას გადაეცემა გარკვეული დროითი ლაგით და გავლენას ახდენს მომავალ ინფლაციაზე. ეროვნული ბანკის ინფლაციის გრძელ ვადიანი მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტს შეადგენს. ამდენად, ეროვნული ბანკის სწრაფვა ინფლაციის დადგენილი ნორმისადმი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოში ლარიზაციის დაბალი დონეა. მართალია, 2014 წლის განმავლობაში დეპოზიტებისა და სესხების ლარიზაციის მაჩვენებლის ზრდა დაფიქსირდა, თუმცა ლარის კურსის გაცვლითი კურსის მერყევი ხასიათის გამო, ეს ზრდა მოკრძალებული იყო. დეპოზიტების შემთხვევაში ლარიზაციის მაჩვენებელი 1,7 პროცენტით გაუმჯობესდა და 39,8 პროცენტი შეადგინა; სესხების შემთხვევაში კი 3,3 პროცენტით გაიზარდა – 39,2 პროცენტამდე (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გამორიცხვით). საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომელიც მიჩნეულია გაცვლითი კურსის ყველაზე ოპტიმალურ რეჟიმად ისეთი მცირე ზომის ღია ეკონომიკებისთვის, როგორიც საქართველოა. ასეთი ეკონომიკებისთვის მცურავი გაცვლითი კურსი ასრულებს შოკების შთანმთქავ ფუნქციას. ამ დროს გაცვლითი კურსის ცვლილება ასუსტებს აღნიშნული შოკის ნეგატიურ გავლენას რეალურ ეკონომიკაზე – ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციაზე.

ამასთან, თარგეთირების რეჟიმით განპირობებული გაცვლითი კურსის არსებობა განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიით. მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში, გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება სავალუტო ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით, რომლებზეც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორები და ასევე, დროებითი მოვლენები, აღნიშნული რეჟიმის პირობებში სავალუტო ბაზარი ხასიათდება მოკლევადიანი რყევებით. ასეთი რყევები კიდევ უფრო დიდია საქართველოს მსგავს პატარა და ღია ეკონომიკის, მაღალი დოლარიზაციის მქონე ქვეყნებში, რაც უკავშირდებასავალუტობაზრისმცირემოცულობასა და კაპიტალის მერყევ ნაკადებს. ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა ითვალისწინებს ინტერვენციას სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონების საშუალებით მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში: თუ ადგილი აქვს ჭარბი კაპიტალის დროებით შემოდინებას, რომელიც კურსის მკვეთრ მოკლევადიან რყევას გამოიწვევს; საერთაშორისო რეზერვების შესავსებად; სახელმწიფო საგარეო ოპერაციების დასაბალანსებლად.

დღეს, რატომღაც, ყველა, ვინც იცის ისინიც კი, და ვინც ნაკლებად ან საერთოდ არ ერკვევა აღნიშნულ საკითხებში, თითქმის ერთხმად მონეტარული პოლიტიკის ყველა მექანიზმს– თარგეთირება, მცურავი გაცვლითი კურსი, ინფლაციის უარყოფითი მაჩვენებლის მიზნობრივთან დაახლოება, რეფინანსირების სესხები, ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, მთავრობის სახაზინო ვალდებულებები თუ სახაზინო ობლიგაციები, საერთოდ ეროვნული ბანკის საქმიანობის უარყოფით კონტექსტში განიხილავენ. უფრო მეტიც, ეროვნული ბანკის ანტიდეფლაციურ პოლიტიკას ლარის კურსის ვარდნის ხელშემწყობ პოლიტიკად თვლიან.

აქსიომა 9. ლარის კურსის მერყეობა შეჩერებულ უნდა იქნეს ერთი მხრივ, გონივრული, საბაზრო მექანიზმებით, მეორე მხრივ კი, უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი დანაკარგების თავიდან აცილება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ინფლაციური მოლოდინების, ნეგატიური მოლოდინების განეიტრალება. აქ კი უკვე საჭიროა მთავრობისა და ეროვნული ბანკს შორის კოორდინირებული მუშაობა.

კიდევ ერთხელ ბიუჯეტის შესახებ. უაღრესად მნიშვნელოვანია ბიუჯეტის თანაბარი ხარჯვის ტენდენციის შენარჩუნება. ბიუჯეტი საქართველოში ლამის ათწლეულების განმავლობაში არათანაბრად იხარჯებოდა; ასე მოხდა 2014 წლის მეოთხე კვარტალში: მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუარესებამ ზეწოლა მოახდინა ლარზე და მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლარის

დევალვაციაზე. აქ პოზიტიური მხარეც უნდა გამოვყოთ: 2015 წელს ქვეყნის ბიუჯეტი უკვე თანაბრად იხარჯება. ფინანსთა სამინისტრო ნაშთის დაგროვებასაც ცდილობს. ამ ეტაპზე ფინანსთა სამინისტროს დაგროვილი აქვს 800 მილიონ ლარზე მეტი ნაშთი, რაც ლარის კურსის ხელშემწყობი სერიოზული ფაქტორია. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი 1 მილიარდამდე გაიზრდება, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს ლარის კურსზე. აქსიომა 10. საბიუჯეტო ხარჯებს უაღრესად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ლარის დევალვაციაზე. აუცილებელია განხორციელდეს საბიუჯეტო ხარჯების დისციპლინური მართვა და მათი წლის ბოლომდე თანაბრად გადანაწილება, ასევე, მაქსიმალურად შეიკვეცოს მიმდინარე დანახარჯები და ძირითადი ორიენტაცია ქვეყანაში რეალურ ეკონომიკასა და ინფრასტრუქტურის შექმნაზე გაკეთდეს.

გამოყენებული ლოტერატურა

1. ღარიბაშვილი ი., 2015. ლარის კურსთან დაკავშირებით ადგილი აქვს გამოკვეთილ სპეკულაციას და აჟიოტაჟს/ საქართველოს რესპუბლიკა, 26 აგვისტო, 159.გვ 2.

2. გოცირიძე რ, 2015, რა ბედი ელის ეროვნულ ვალუტას?/პრემიერი. 02(068) 29 იანვარი - 4 თებერვალი. გვ. 14.

3. ჯავახიშვილი ნ., 2015. ვინ ათამაშებს ქართულ ლარს? კვირის პალიტრა. 23 მარტი, გვ. 8.

4. კალანდაძე ლ., 2015. სავალუტო მაქინაციები ,,ფრთიანი ანგელოზების“ ქვეყანაში /საქართველოს რესპუბლიკა, 98 30 მაისი, გვ. 3

5. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2014. თბ.: საქართველოს ეროვნული ბანკი. გვ. 8.

About the changeable features of Georgian currency

Lamara Qoqiauri
Doctor of Economic Science, Professor,
Founder and director of Nongovernmental organization:
Fund of Financial-Investment Policy and Strategy (FFIPS).

About the changeable features of Georgian currency is an original research which is dedicated to the solution of the theoretical and practical issues of Georgian monetary unit – Lari. The topic is actual, as today as never before it has become essential to research current changes in the economy of Georgia, identify and eliminate subjective and objective reasons for decrease of Georgian national currency.

Thus, it is my duty as well as duty of Georgian economists to eliminate extreme situation in the country and avoid the inflation of Georgian Lari and process the non-alternative means for Lari' survival.

According to my personal opinion non-alternative way for solving the problems, faced by the country, is sustainable growth of Georgian economy as a whole, acute development of the real sector as well as small and middle business, there is a need for the development of the innovative way of country's economy, investments boom, creation of favorable, attractive investment environment for investors, processing and implementation of correct fiscal economy, Improvement of increasing export potential and promotion of their mechanisms.

ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხისათვის

შალვა სრესელი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
sresel-28@mail.ru
577151202

ბიზნესის ფორმირება-განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკური გარემო. სახელმწიფოს შეუძლია თავისი პოლიტიკით ბიზნესის რეგულირება,როგორც წახალისება, ასევე მისი შეფერხება-შეზღუდვა.

ნაშრომში გადმოცემულია სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორობის მნიშვნელოვანი ასპექტები. სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის მარეგულირებლის როლი ბიზნესის განვითარებაში.

ასევე მიმოხილულია ბიზნესის და სახელმწიფოს პარტნიორული ურთიერთობის დადებითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, სახელმწიფოს როლი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაში.

სახელმწიფო და ბიზნესი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული სისტემებია. მე-20-ე საუკუნეში სახელმწიფო იქცა ეკონომიკური საქმიანობის აქტიურ სუბიექტად, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად

სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორობისას საქმე ეხება მათ ურთიერთქმედებას და უფლებამოსილებათა გადანაწილებას. მაღალგანვითარებული ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკა ცხადყოფს რომ სახელმწიფოს საკმაოდ ძლიერი გავლენა აქვს ბიზნესზე. მეწარმეობის მასშტაბური განვითარება განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის სულ უფრო მზარდ ტენდენციას. სახელმწიფოს როგორც ეკონომიკის „მარეგულირებლის“ როლი მნიშვნელოვნად დიდია.

ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია თავისი პოლიტიკური ,სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები. სახელმწიფომ თავისი ფუნქციების შესრულებისას (ეფექტიანობა,სტაბილურობა,სამართლიანობა) ხელი არ უნდა შეუშალოს საბაზრო მექანიზმს და მეწარმეთა თავისუფლებას.

სახელმწიფოს თავისი ეკონომიკური ფუნქციის რეალიზაცია ბიზნესთან პარტნიორობის გარეშე არ შეუძლია.სწორედ ბიზნესი არის ის სფერო,რომელიც სახელმწიფოს უქმნის ფინანსურ წყაროს მისი მრავალფეროვანი ფუნქციების შესასრულებლად. ამიტომაც სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს ბიზნესისადმი ხელის შეწყობა და მისი განვითარებისათვის საჭირო სამართლებრივი, ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა.

სახელმწიფო და ბიზნესი ყველაზე მთავარი მოთამაშეებია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში. ეკონომიკურ განვითარებაში განმსაზღვრელი როლი გააჩნია ბიზნესს,მაგარამ ბიზნესის უსაზღვრო სწრაფვამ მოგების მიღებისაკენ შეიძლება დაარღვიოს ქვეყნის სოციალური ბალანსი. სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს როგორც ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული ბერკეტები ბიზნესის ოპტიმალური რეგულირებისათვის და მის ინტერესებში სახელმწიფო ინტერესების გარკვეულწილად ჩართვისთვის.

სახელმწიფომ უნდა შექმნას მეწარმეობის ჩამოყალიბება-განვითარების ხელსაყრელი გარემო-პირობები. კერძოდ უზრუნველყოს ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილიზაცია, სიმშვიდე წესრიგი, დისციპლინა,თავად მეწარმის ფიზიკური უსაფრთხოება,ქონებისა და ტრანსპორტირებისას ტვირთის დაცვა.

სახელმწიფოს ევალება ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა ანუ ბაზრის პირობებში თამაშის ცივილიზებული წესების შემუშავება და დაცვა.

სახელმწიფოს ევალება აკრეფილი

გადასახადების ადექვატური ბიზნეს-გარემოს შეთავაზება მეწარმეთა ფენისა და მთლიანად საზოგადოებისათვის.

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორულ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი სახელმწიფოს მიეკუთვნება.ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით სახელმწიფო ვალდებულია:

- შექმნას და შეინახოს ინფრასტრუქტრა, რომელიც აუცილებელია ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისა და და განვითარებისათვის
- ხელი შეუწყოს ახალი ინოვაციური დარგების შექმნას და განვითარებას
- მხარი დაუჭიროს და განავითაროს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო საპროექტო სამუშაოები
- შეისყიდოს კერძო კომპანიების საქონელი და მომსახურება
- დაასტიმულიროს ინფორმაციის მოპოვება შენახვა და რეალიზაცია.

მთავარი მაინც სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშეწყობაში არის მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ზოგადი პირობების შექმნა, მათ შორის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განვითარება, რომლებზედაც არის დაფუძნებული მთელი ეკონომიკური სისტემის და მათ შორის ბიზნესის ფუნქციონირება და განვითარება.

ყოველწლიურად აშშ ფედეერალური სახელმწიფოს,კონგრესის მიერ მტკიცდება 400-ზე მეტი ახალი კანონი თუ დებულება. საქართველოსთვის ამ მხრივ რეკორდული იყო 20005 წელი, როდესაც წლის ბოლოს დამტკიცდა 100-მდე კანონი. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება გამოსცემს დამატებით ნორმატიულ აქტებს,რომლებიც ორიენტირებულია მეწარმეების სამეწარმეო ქცევის წესებზე.

სახელმწიფო და მეწარმე ერთმანეთთან ამყარებენ კავშირს მაშინ,როდესაც ოფიციალურად ხდება სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია. შემდგომ მთელი მისი საქმიანობის პერიოდში მეწარმე ანგარიშვალდებულია საგადასახადო, საბაჟო, სახანძრო სანიტარული თუ სხვა სახელმწიფო ხელმძღვანელობის ორგანოების წინაშე ამ ნორმებისა და ნორმატივების დაცვაზე,რომელიც მის მიერაა დაწესებული. თავის მხრივ, კომპანიები ვალდებულნი არიან თავიანთი მოგების ნაწილი უწილადონ სახელმწიფოს გადასახადების სახით. ამდენად მყარდება ორმხრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის. არსებული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში. სახელმწიფო იძლევა თავისუფალი ბიზნესის მყარ გარანტიებს,ხოლო ბიზნესი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულია გადასახადების ფორმით.

სახელმწიფო ზღუდავს ოლიგოპოლიური ფირმების გაერთიანებას, რადგან ისინი უარყოფითად მოქმედებენ კონკურენციაზე და ხელს უწყობენ ოლიგოპოლიური ფასების დაწესებას. ასევე სახელმწიფო იყენებს ყველა ღონეს რათა არ წარმოიშვას მონოპოლისტური კავშირები.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს რომ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც არსებობს უმსხვილესი საწარმოები და კორპორაციები, რომლებსაც მონოპოლიზებული აქვთ წარმოების მსხვილი სექტორები, მთლიანი პროდუქტის ძირითადი მასა იქმნება მცირე და საშუალო ბიზნესში. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ,როგორიცაა აშშ, იაპონია,გერმანია,საფრანგეთი დიდი ბრიტანეთი და სხვა, საწარმოთა უმეტესი ნაწილი (90% -ზე მეტი) განეკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესს, სადაც თვითოეულში დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემაება 500 კაცს. მათი მეშვეობით იწარმოება მთელი გამოშვებული პროდუქციის ნახევარზე მეტი, ხოლო მათში დასაქმებულია მთლიანად მომუშავეთა 75-80 %.

განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა.

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ბიზნესის აღნიშნული სექტორი უზრუნველყოფს ქვეყნისათვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას,რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- დემონოპოლიზაცია,ეკონომიკის საბაზრო სტრუქტური და კონკურენტული გარემოს ფორმირება
- ბაზრის გაჯერება საქონლით და მომსახურებით
- დასაქმება და თვითდასაქმება
- ეკონომიკური ზრდა და შესბამისად, საგადასახადო შემოსულობების მატება სტაბილური საგადსახადო სისტემის პირობებში
- საშუალო კლასის ფორმირება
- მრავალი სახის სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების წარმოების გაფართოება მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებების გარეშე

- ადგილობრივი ნედლეულისა და მსხვილი წარმოების ნარჩენების გამოყენება
- საქონლისა და მომსახურების წარმოების მომხმარებელთან მიახლოება და შესაბამისად,სატრანსპორტო ხარჯების შემცირება
- მოსახლეობის პირადი ფულადი შემოსავლების ბიზნესში ჩართვა
- წარმოებაში სამუშაო ძალის იმ რეზერვის ჩართვა,რომლებიც არ გამოიყენებიან მსხვილ წარმოებაში მათი ტექნოლოგიური ან სხვა თავისებურებათა გამო (პენსიონერები,უნარშეზღ უდულები,მოსწავლეები, და ა.შ., რომელთაც აქვთ დასაქმების სურვილი)

მცირე ბიზნესის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს მისადმი ყოველმხრივი და სტაბილური სახელმწიფო მხარდაჭერა. მცირე ბიზნესის სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერის ფორმებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი

- სუბვენციები, სუბსიდიები, დივიდენდები ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე
- საბიუჯეტო კრედიტები,სესხები
- სახელმწიფო და მუნიციპალური გარანტიები

საწარმოთა დასაფინანსებლად სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს ისეთი ფინანსური მექანიზმები, როგორიცაა დოტაცია და სუბვენცია.

უსასყიდლოდ და დაუბრუნებად ასიგნებებთან ერთად სახელმწიფომ ბიზნესს შეიძლება გამოუყოს სახსრები ანაზღაურების და დაბრუნების ფორმით----საბიუჯეტო კრედიტი. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფომ ბიუჯეტიდან შეიძლება გასცეს უპროცენტო სესხი დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

ბიზნესის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის ,მნიშვნელოვანი პრობლემაა ინვესტიციების მოზიდვა.პრაქტიკა გვიჩვენებს რომ მეწარმეთა მიმართ ბანკები ყოველთვის არ იჩენენ სათანადო ყურადღებას. ისინი ძირითადად ორიენტირებულნი არიან მსხვილი კრედიტების გაცემაზე სტაბილურად მომუშავე საწარმოებისათვის. საწარმოები რომლებიც დასაქმებულნი არიან თან პროდუქციის გამოშვებით ,ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით (რეალური სექტორი) ძნელად სარგებლობენ საბანკო კრედიტით.

ასეთ ვითარებაში სახელმწიფო შეიმუშავებს ბიზნესისადმი მხარდაჭერის აქტიურ ფორმებს და მეთოდებს,რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. ბიზნესის საბანკო კრედიტზე პროცენტის ნაწილობრივ სახელმწიფო კომპენსაცია. ასეთ შემთხვევაში ბანკები, როგორც წესი ზრდიან საპროცენტო განაკვეთებს,ამიტომ აღნიშნული მიდგომა პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.

2. წილობრივი საგარანტიო სახელმწიფო მხარდაჭერა ბიზნესის საბანკო კრედიტებზე. იგი უზრუნველყოფს საბანკო კრედიტის მიღებას იმ პირობით, რომ სახელმწიფო გარანტად უდგება ბიზნესს საბიუჯეტო რაღაც ნაწილში, ხოლო მის მეორე ნაწილზე თვით საწარმომ უნდა აიღოს სრული ვალდებულება. ბიზნესისადმი მხარდაჭერის ასეთი სქემა უზრუნველყოფს საბანკო კრედიტებზე დაბალრენტაბელური საწარმოების დაშვებას,რომელთა სფეროს წარმოადგენს წარმოება და მომსახურების მიწოდება.

ბიზნესისადმი სახელმწიფო გარანტიების გაცემა რეგულირდება გარკვეული წესების საფუძველზე,რომელიც გამომდინარეობს ქვეყანაში მოქმედი კანონებიდან.

ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა საგადასახადო კრედიტი. ასეთი კრედიტის გაცემის კანონიერი შესაძლებლობა უნდა იყოს განსაზღვრული მოცემული ქვეყნის საგადასახადო კოდექსში ან სხვა ნორმატიულ აქტებში.

მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ინვესტიციური საგადასახადო კრედიტის ფორმა.იგი გადამხდელს (ბიზნეს-სუბიექტს) აძლევს შესაძლებლობას შეამციროს მოგების გადასახადის გადახდა შემდგომში კრედიტის თანხისა და შესაბამისი პროცენტის დაფარვის ვალდებულების აღებით.ასეთი კრედიტი შეიძლება გაიცეს მოკლე (1წელი) და გრძელვადიანი (1-დან 5 წლამდე) კრედიტის სახით.

ბიზნესისსახელმწიფოდაფინანსებისერთ-ერთი ფორმაა საგადასახადო არდადაგები.იგი ნიშნავს კანონით დადგენილ ვადას, რომლის განმავლობაშიც საწარმოების (ფირმების,კომპანიების) ესა თუ ის ჯგუფი თავისუფლდებიან ამ თუ იმ გადასახადის გადახდისაგან. ასეთი ფორმის გამოყენება ინერგება საქართველოშიც. საგადასახადო არდადაგები შეიძლება დაწესდეს ქვეყნის ცალკეული რეგიონების ბიზნეს-სუბიექტებისთვის მათთვის შექმნილი არახელსაყრელი პირობების გამო.

ბიზნესის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აგრეთვე საგადასახადო შეღავათები (პრეფერენციები) იგი ნიშნავს გადასახადების გადახდისაგან იურიდიული და ფიზიკური პირების გარკვეული წრის მთლიანად ან ნაწილობრივ

გათავისუფლებას. საგადასახადო შეღავათები გაიცემა ბიზნესზე მხარდასაჭერად ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დროს .

ბიზნესის ფორმირებასა და განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკური გარემო. სახელმწიფო არის ერთადერთი ორგანო, რომელსაც თავისი პოლიტიკით შეუძლია ბიზნესის რეგულირება,როგორც მისი წახალისება, ასევე შეფერხება- შეზღუდვა. პასუხისმგებლობა პოლიტიკური გარემოს ფორმირებაზე, რომელიც დაასტიმულირებს ბიზნესს მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, ეკისრება მხოლოდ ეროვნულ,რეგიონულ და ადგილობრივ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

მეორეს მხრივ, ბიზნესს, რომლის ინტერესში შედის გარკვეული პოლიტიკის გატარება, შეუძლია ძლიერი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ხელისუფლების მიერ ბიზნესის სფეროში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ბიზნესი, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ნებისმიერი სფერო, ყველა ქვეყანაში რეგულირდება შესაბამისი სახელმწიფო კანონებით. კანონსა და ბიზნესს შორის არსებობს არა მხოლოდ ცალმხრივი კავშირი, ანუ მხოლოდ კანონი არ არეგულირებს ბიზნესს, არამედ პირიქითაც - ბიზნესის,საქმიანი კავშირების განვითარება გავლენას ახდენს კანონების,ნორმების და წესების სრულყოფა-განვითარებაზე. კანონები,ნორმები,წესები და სამართლებრივი ურთიერთობები მთლიანობაში ქმნიან ბიზნესის სამართლებრივ ინსტიტუციებს,რომლის ქვეშ იგულისხმება:

- იურიდიული ინსტიტუტების ერთობლიობა,რომელიც მოიცავს სახელმწიფო და საერთაშორისო საკანონმდებლო ორგანოებს, სასამართლოებს, საზედამხედველო ორგანოებს,აგრეთვე მოქალაქეებისა და ორგანიზაციის უფლებების დაცვის ინსტიტუტებს, მათ შორის ადვოკატურას;

- მაორგანიზებელიდამარეგლამენტირებელი დოკუმენტების ერთობლიობა, რომელთა საშუალებით ხელისუფლება და მართვის ქვედა რგოლის ორგანოები უზრუნველყოფენ სხვადასხვა ბიზნესში დადგენილი წესების შენარჩუნებას,ასევე ახალი წესების შემოღებას და დამკვიდრებას;

- სამართალდამცავი და კანონშემოქმედი ინსტიტუტების ერთობლივი საქმიანობა მაორგანიზებელი და მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნის მიმართულებით და ბიზნესის სუბიექტების მიერ მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება.

სახელმწიფოს ფუნქციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიზნესისადმი ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნას, მისი განვითრებისადმი ხელის შეწყობას და უსაფრთხოების დაცვას. სახელმწიფოს ძლიერება დამოკიდებულია ბიზნესის წარმატებულ განვითარებაზე, ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ბიზნესი გარე და შიგა რისკებისაგან, ხელი შეუწყოს მის მდგრად და სწრაფ განვითარებას. ბიზნესის დაცვაზე ორიენტირებულია ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები,რომელთა ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ბიზნესის დაცვა.

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში ევროპული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები წარმატებით ფუნქციონრებენ და წამყვან მდგომარეობას იკავებენ კვლავწარმოებით სისტემაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემუშავებულია და ხორციელდება მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა.

ქვეყანაში ბოლო წლებში ვითარდება ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბების დადებითი ტენდენციები,თუმცა აღსანიშნავია რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკა და რაიმე სახის სპეციალური ინსტიტუცია ან რეგულაცია. მცირე და საშუალო ბიზნესი მძიმე საგადასახადო ადმინისტრირების და წნეხის პირობებშია,რომლის განვითარებას მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის არასტაბილური საგადასახადო სისტემა. მუდმივი ცვლილებები და დამატებები საგადასახადო კანონმდებლობაში ხელს უშლის ბიზნესის დაგეგმვასა და წარმართვას, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების საფუძველზე წარმოქმნილი სარგებელი არაპროპორციულად ნაწილდება სხვადასხვა ზომის საწარმოთა სეგმენტზე.

მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს შემჭიდროვებულ ვადებში ბიზნესი ხელშეწყობის აბსტრაქტული პოლიტიკის ტრანსფორმირება მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა სახელმწიფო ხელშეწყობის კონკრეტულ პოლიტიკაზე. რის შედეგადაც ახლო მომავალში შესაძლებელი გახდება მაქსიმალური შედეგის მიღწევა ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებისა და

საზოგადოებრივი კეთილდღეობის სფეროებში.

საქართველოს მთავრობის დოკუმენტში - ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისთვის -პირველ თავში - სამთვრობო პროგრამა „ ძლიერი, დემოკრატიული,ერთიანი საქართველოსთვის“ ნათქვამია:

„საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა დაეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს. მთავრობა დაძლევს უმუშევრობას და სიღარიბეს,უნარიან და მშრომელ მოქალაქეებს შეუქმნის სიმდიდრის და კეთილდღეობის პირობებს,რისთვისაც განავითრებს წვრილ და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას, დაიცავს კერძო საკუთრებას და შრომით უფლებებს“...

„ბაზარი გახდება კონკურენტუნარიანი,ხელი შეეწყობა თავისუფალ მეწარმეობას“

2014 წლის ივნისაიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყეს ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება რომელიც მიმართულია წარმოების შემდგომი განვითარებისა და წახალისებისაკენ.

პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა, - ამასთანავე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე,უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის საშუალებით.

2014 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობა გამოვიდა ინიციატივით პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ დამატებოდა ახალი კომპონენტი, რომელიც მიმართული იქნებოდა საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის განვით არებაზე.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა,მოსახლეობის შემოსავლების ზრდა,ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაშა (იაკობ) მესხია - ბიზნესის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 2011 წელი.
2. უშანგი სამადაშვილი - ბიზნესის საფუძვლები - გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013 წელი.
3. თეიმურაზ შენგელია - ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, „ახალი საქართველო“, თბ., 2008 წელი.
4. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა საქართველოში - აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა.
5. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისთვის (საბოლოო ვარიანტი) , თბ., 2013 წელი.
7. www.qartuli.ge/?lang=1&menuid=98&id=51

For Business and State communication matter

Shalva Sreseli

Doctor of Economic Sciences. Professor

Political environment has a significant impact on business formation and development. The state can regulate business with its policy, it has capacity of encouragement, as well as restriction.

The paper sets out the important aspects of government and business partnership. The state as a regulator of the economics in the development of business.

The paper as well overviews a positive impact of the business and government partnership on the country's economic development, the state's role in the promotion of small and medium businesses.

მდგრადი განვითარების კონცეფციის რეალიზაციის მექანიზმების შემუშავების საკითხები

თამარ ბერიძე
სტუ, პროფესორი
t.beridze@yahoo.com,
599220054

მაია სოსელია
სტუ, ასოც. პროფესორი
mariami-soselia@rambler.ru,
599771003

თამარ როსტიაშვილი
სტუ, ასოც. პროფესორი
tamar_rostiashvili@mail.ru,
595967624

საბაზრო ინსტრუმენტების სახელმწიფო რეგულირებითა და მხარდაჭერით შესაძლებელია სათბობ-ენერგეტიკული, აგროსამრეწველო კომპლექსის ინფრასტრუქტურისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ერთდროული სტიმულირება, რაც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ სურსათის დანაკარგები. ეკონომიკის სტრუქტურის ასეთი რესურსდამზოგველი ცვლილება გააუმჯობესებს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას. სტატიაში განხილულია ეკონომიკურ-ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმის სახეები და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმის ტიპები: პირდაპირი რეგულირება, დაკავშირებული სახელმწიფოს ზემოქმედებასთან - ნორმატიულ-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-მაკონტროლებელი ზომები, პირდაპირი რეგლამენტირება და სხვ., ეკონომიკური სტიმულირება, დაკავშირებული საბაზრო მექანიზმების განვითარებასთან და შერეული მექანიზმები, რომლებიც აერთიანებენ პირველ ორ მიდგომას. ბუნებათსარგებლობის მექანიზმი უნდა გახდეს საერთო სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი, რომელიც დაარეგულირებს ცალკეული წარმოებისა და ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას.

მეოცე საუკუნის ბოლო სამი ათწლეულის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მოვლენად იქცა მსოფლიო საზოგადოებაში რიგი პრობლემების არსებობის აღიარება, რომელთაც მიიღეს გლობალური პრობლემების სახელწოდება. ამგვარ პრობლემათა შორის მკაფიოდ გამოხატული ეკონომიკური კომპეტენტურობა აქვთ მსოფლიოში სოციალური უთანასწორობის პრობლემას, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, რესურს-ნედლეულის გლობალურ პრობლემებს.

კაცობრიობის გადარჩენის ძირითად საფუძვლად იქცა თანამედროვე და მომავალი თაობების ეკონომიკურ განვითარებასა და ბუნებრივი გარემო პირობების დაცვას შორის რაციონალური კავშირის განსაზღვრა.

გლობალიზაციის პროცესის გაძლიერება სულ უფრო ახალ კითხვებს ბედებს, რომლებზეც პასუხის მოძებნა მთელს კაცობრიობას მოუწევს. მნიშვნელოვან წილად ეს ეხება საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებას, რაც დაფუძნებულია ახალი გლობალური სივრცის რეალიებზე, რომლის სახითაც მდგრადი განვითარების კონცეფცია წინ წამოიწია.

ამჟამად, მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველზე ხდება ცოდნის ინტეგრალური ზოგადმეცნიერული პარადიგმის ჩამოყალიბება, რომელიც წარმოიქმნება როგორც ფართო სინთეზი მეცნიერებებისა ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ.

გაეროს განმარტებებით, მდგრადი განვითარება არის საზოგადოების განვითარება, რომელიც საშუალებას იძლევა ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა იმდაგვარად, რომ არ დაზარალდეს ის შესაძლებლობები, რომელსაც მომავალ თაობებს მემკვიდრეობით დაუტოვებს მათი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მდგრადი განვითარება არის გარემოს დაცვის სისტემის განვითარება უწყვეტობის მაღალი პოტენციალით ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური შეზღუდვების ფარგლებში.

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების ხასიათზე. სწორედ ეკონომიკაში, ერთის მხრივ, იქმნება საზოგადოების ცხოველქმედების მატერიალური საფუძვლები, ფორმირდება სოციალური განვითარების ბაზისური ურთიერთობები და მეორეს მხრივ - საფუძველი ეყრება ბიოსფეროს ანტროპოგენურ პარამეტრებს. თუ როგორ მოხდება ეკონომიკის განვითარება და რამდენად დაცული იქნება ბიოსფეროს საყოფაცხოვრებო მოცულობის საზღვრები - დამოკიდებულია საზოგადოების გასვლაზე მდგრადი განვითარების მიმართულებით.

მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის ეკოლოგიზაციის კონცეფციის ჩამოყალიბებისას პრინციპულ საკითხს წარმოადგენს კონცეფციის რეალიზაციის მექანიზმების შემუშავების საკითხი. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს და მიუთითებს ეკონომიკური მიზნების, მათ შორის ეკოლოგიურ-ეკონომიკური მიზნების, რეალიზაციის სამ შესაძლებელ მექანიზმზე. ჩვეულებრივ, როდესაც საუბრობენ ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმებზე, გამოყოფენ სამი სახის მიდგომას:

1. პირდაპირი რეგულირება - დაკავშირებული სახელმწიფოს ზემოქმედებასთან - ნორმატიულ-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-მაკონტროლებელი ზომები, პირდაპირი რეგლამენტირება და სხვ.
2. ეკონომიკური სტიმულირება - დაკავშირებული საბაზრო მექანიზმების განვითარებასთან
3. შერეული მექანიზმები - პირველ ორ მიდგომის გამაერთიანებელი.

უკანასკნელი ათწლეულების თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებიდან ჩანს, რომ ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ ბაზრისა და სახელმწიფო რეგულირების ბაზაზე ხერხდება. არსებობს რიგი პრინციპული მიზეზებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ბაზრების „ჩავარდნებს“ და სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტურობას, რის გამოც შედარებით მისაღებია შერეული მექანიზმები, რომლებიც სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო ინსტრუმენტების გაერთიანების საფუძველზე ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის საშუალებას იძლევა.

ეფექტური ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება გულისხმობს იმ მაკროეკონომიკური ზომებისა და ღონისძიებების სინთეზს, რომელსაც გააჩნია ეკოლოგიური მიმართულება. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ღონისძიება, რომელიც ტარდება მთლიანად ეკონომიკის ჩარჩოებში ან დარგების დონეზე. მათ შესაძლებელია არ ქონდეთ აშკარად გამოხატული ეკოლოგიური მიზანი. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ეკოლოგიურად ორიენტირებული ღონისძიებები, რომელთაც გააჩნიათ დამხმარე ან კომპენსირებადი ხასიათი -ეკონომიკურ ღონისძიებებთან მიმართებით.

ეკოლოგიურად ორინეტირებული განვითარების რეალიზაციის მექანიზმების შემუშავება ეკონომიკის ეკოლოგიზაციის მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამ თვალსაზრისით, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ბუნებათსარგებლობის ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბებას. საჭიროა ამ მექანიზმების ადგილის მთლიანად ეკონომიკური მექანიზმების საერთო სისტემაში განხილვა. შესაძლებელია დარგობრივი მოცულობის ხარისხზე დამოკიდებული ეკონომიკური მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ორი ეტაპის გამოყოფა:

1. მაკროდონე - მექანიზმები და ინსტრუმენტები, მოქმედი მთლიანად ეკონომიკის, მისი დარგების ჩარჩოებში.
2. საკუთრივ ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმი - სპეციალური მექანიზმები და ინსტრუმენტები, დაკავშირებული გარემოს დაცვაზე და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაზე.

თანამედროვე პირობებში ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმის ეფექტიანი კონცეფციის შემუშავება შესაძლებელია შემდეგი პრინციპების განხორციელების შედეგად:

1. ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეფექტიანი კონცეფცია და ბუნებათსარგებლობის შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმი შემუშავებულ და რეალიზებულ იქნას მთლიანად ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავების შემდეგ
2. ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმი უნდა იყოს გლობალური ეკონომიკური მექანიზმის ორგანული ნაწილი. ის არ შეიძლება იყოს ლოკალური და მოიცავდეს მხოლოდ ბუნების გამოყენებად კომპლექსებსა და დარგებს. მოცემული მექანიზმი შეიძლება შეთანხმებულ იყოს სხვა ეკონომიკურ მექანიზმებთან, რომლებიც მოქმედებენ ბუნებრივ-პროდუქტიული ვერტიკალის შემდგომ ეტაპებზე და აერთიანებენ პირველად ბუნებრივ რესურსებს საბოლოო პროდუქტთან. ამით ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმი უნდა გახდეს საერთო მექანიზმის ნაწილი, რომელიც დაარეგულირებს ცალკეული წარმოების ფუნქციონირებას

ბუნებრივ-პროდუქტიული მიმართულებით და ორიენტირებულ იქნება საბოლოო შედეგებზე

3. ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმი ჩამოყალიბებულ უნდა იქნას დარგებსა და რეგიონების საფუძველზე. ეს პრინციპი შეიძლება შემუშავდეს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მაგალითზე, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტების პირობებში. ასეთ შემთხვევაში ბუნებათსარგებლობის ეფექტური ეკონომიკური მექანიზმი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კომპლექსური მიდგომის საფუძველზე.

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმის კონცეფციის შემუშავება შეუძლებელია მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური პროცესებისაგან მოწყვეტით.

დიდი მნიშვნელობა აქვს სექტორების (კომპლექსების) მიზნების ეკოლოგიურ ხასიათს. ისინი შეიძლება იყოს ეკოლოგიურად ბალანსირებული (მდგრადი) ან ეკოლოგიურად არაბალანსირებული ბუნებატევადი (ტექნოგენური). მარტივ მაგალითად აქ შეიძლება გამოდგეს სექტორის განვითარების ექსტენსიური დ აინტენსიური ტიპები. პირველ შემთხვევაში ბუნებათსარგებლობის ეკონომიკურ მექანიზმს აქვს ნაკლებად შემზღუდველი ხასიათი.

შესაძლებელია გამოვყოთ ბუნებათსარგებლობის მექანიზმების სამი ტიპი:

1. რბილი მექანიზმი - ლიბერალურ-ეკოლოგიური თვალსაზრისით. ის დარგების ეკონომიკური განვითარებისათვის ადგენს ყველაზე ზოგად შემზღუდველ ეკოლოგიურ ჩარჩოებს, რითაც პრაქტიკულად არ აფერხებს მას. ეკონომიკური მექანიზმის მოცემული ტიპი მიმართულია ძირითადად ნეგატიური ეკოლოგიური შედეგების ლიკვიდაციისაკენ და არა ეკოლოგიური დარღვევების წარმოშობის მიზეზებისაკენ. სწორედ ბუნებათსარგებლობის ასეთი მექანიზმები ახასიათებს ეკონომიკის განვითარების ტექნოგენურ ტიპს.

2. ეკოლოგიურად ბალანსირებული მექანიზმი ბუნებისდაცვითი წარმოებების და საქმიანობის სახეების სტიმულირებისკენაა მიმართული. ბუნებათსარგებლობის ასეთი მექანიზმების ფუნქციონირების საფუძველს შეადგენს საბაზრო ინსტრუმენტები. ის ხელს უწყობს წარმოების ზრდას ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე, საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს ბუნებრივი რეწსურსების გამოყენებადა დაცვა. ასეთი მექანიზმის მაგალითად შეიძლება მვიყვანოთ ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნა სოფლის მეურნეობისათვის. თეორიული თვალსაზრისით მოცემული ტიპი დამახასიათებელია მცირე მდგრადობისათვის.

3. მკაცრი „გადამეტებული“ - მექანიზმები ადმინისტრაციული და საბაზრო ინსტრუმენტების, მკაცრი საგადასახადო, საკრედიტო, საჯარიმო პოლიტიკის მეშვეობით პრაქტიკულად ზღუდავს გარკვეული გარიგებებისა და კომპლექსების განვითარებას მათი ბუნებრივი ბაზის გაფართოების სფეროში და მთლიანობაში ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიას. მექანიზმის ეს ტიპი დამახასიათებელია ძლიერი მდგრადობისათვის. ბუნებათსარგებლობის ეს ტიპები არ არსებობენ რეალურად ასეთი გამიჯნული სახით. გარდაუვალია მათი შეთანწყობა. ბევრია დამოკიდებული კონკრეტულ ტექნოლოგიებზე, წარმოებაზე, საქმიანობის სახეებზე. უახლოეს მომავალში ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიზაციის პოზიციიდან მიზანშეწონილია მასტიმულირებელი და მკაცრი მექანიზმების შეთავსება.

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური მექანიზმის შემუშავების პრინციპული საკითხი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: ბუნებათსარგებლობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის რაციონალიზაციაზე ორიენტაცია (ეკონომიკური მექანიზმის ტიპი რბილი შეზღუდვებით), ან ბუნებათსარგებლობის მასშტაბების შემცირებაზე და სტაბილიზაციაზე ორიენტაცია (ეკონომიკური მექანიზმების მკაცრი და სტიმულირებადი ტიპები).

მთელი ბუნებათსარგებლობის ვერტიკალის ეკონომიკური მექანიზმების ფორმირების ერთიანი ლოგიკაა საჭიროა, რომელიც აერთიანებს პირველად ბუნებრივ რესურსებს საბოლოო პროდუქციასა და მომსახურებასთან.

ამრიგად, ბუნებათსარგებლობის მექანიზმი უნდა გახდეს საერთო სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი, რომელიც დაარეგულირებს ცალკეული წარმოებისა და ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას.

საბაზრო ინსტრუმენტების სახელმწიფო რეგულირებითა და მხარდაჭერით შესაძლებელია სათბობ-ენერგეტიკული, აგროსამრეწველო კომპლექსის ინფრასტრუქტურისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ერთდროული სტიმულირება, რაც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ სურსათის დანაკარგები. ეკონომიკის სტრუქტურის ასეთი რესურსდამზოგველი ცვლილება გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. - ეკონომიკური განვითარების ფაქტორები. საქართველოს მეც. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტის შორომათა კრებული. ტ. 4. 2004
2. შიხაშვილი გ. - მდგრადი განვიართების თეორია - ჰარმონიული ეკონომიკურ-ეკლოგიური მართვის საფუძველი საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №51. 2001
3. Голуб А. А. Структура Е. Б. Киотский протокол как фактор экономического роста и инструмент сохранения окружаемой среды. Бюлетень Центра экономической политики Росии «на пути к устойчивому развитию Росии», Издательская группа «Реформ-пресс» №26, 2004, с. 9-10.
4. Индикаторы, устойчивого развития (эколого-экономические аспекти). Под ред. Бобылева, П. А. Максеенко М. ЦПРП, 2001, с. 29, 43, 44, 220.
5. Мекуш Г. Е. Система индикаторов для оценки экологических последствий макроэкономической политики в регионе. Глоболизация, новая экономика и окружающая среда. Материялы седмой международной конференции Росийского обшества экологической экономики. 23 – 25 сентября 2005 г. СПБ Изд-во СПБГУ, 2005 с 213-215.
6. Furnado Y. I. Belt Tamara. Economic development and environmetal sustainability. Washington, D. G.: Word Bank 2000.
7. Measuring Sustanable development Macroeconomics and Environmant Biddies Limited Guildford and King's Lynn. 1997
8. www.usuid.yov/environment

Questions of formation of mechanisms of implementation of concepts of a sustainable development

Tamari Beridze,
GTU, Professor
Maia Soselia,
GTU, Ass. Professor
Tamar Rostiashvili,
GTU, Ass. Professor

Market instruments of state regulation and support of the fuel and energy, agro-industrial complex of infrastructure stimulate the simultaneous development of the processing industry, which will enable us to reduce food losses. Such a change in the structure of the economy will improve the country's environmental situation.

The article examines the economic and environmental policy implementation mechanism types and nature of the economic mechanism types: direct regulation, related to the impact of the - legal, administrative and enforcement measures, the regulated and so forth., Economic stimulus, the market mechanisms for the development and mixed mechanisms that incorporate The first two approaches. The mechanism should be a natural part of the state policy, which is to regulate the production of individual and environmental safety.

„სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, როგორც სტეიკჰოლდერები"

ვასილ ხიზანიშვილი
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში
basil.khizanishvili@yahoo.com
592200921

ორი ათწლეულის წინ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო) აქტიურად ჩაერთვნენ გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში. მათი მხრიდან ამგვარი ჩართულობა წინაპირობა იყო იმისა, რომ ჩვენ თვალწინ მოხდა გლობალური სექტორალური ტრანსფორმაცია, რამაც ფაქტობრივად შეცვალა მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური განლაგება და ნაცვლად ორსექტორიანი პლანეტარული მოწყობისა, მივიღეთ სამსექტორიანი კონფიგურაცია.

მიუხედავად იმისა, რომ სსო-ს სხვა სტეიკჰოლდერებისაგან განსხვავებით არასოდეს შეაქვთ პირდაპირი წვლილი კორპორაციათა ფუნქციონირებაში, უკანასკნელ წლებში მათ შეძლეს საზოგადოების ნდობის მოპოვება და სრულფასოვან სტეიჰოლდერებად წარმოჩენა.

არც თუ ისე შორეულ წარსულში, კერძოდ კი ორი ათწლეულის წინ, სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების საწყის ეტაპზე სოციალური და პოლიტიკური სფეროს თეორეტიკოსებს სჯეროდათ, რომ ჩვენ ვცხოვრობდით ორსექტორიან მსოფლიოში, რომელშიც იგულისხმებოდა ბაზრის, ანუ ეკონომიკური სექტორი (ბიზნესი), და სახელმწიფო სექტორი (ხელისუფლება). ისინი უშვებდნენ, რომ ისეთი აქტუალური და საჭირბოროტო საკითხები, როგორიც არის საზოგადოებრივი კეთილდღეობდა და გარემოს დაცვა, უნდა განხილულიყო თითოეულის, – ერთის მხრივ შრომითი და სასაქონლო ბაზრების, და მეორე მხრივ სახელმწიფო მომარაგება-უზრუნველყოფის ჭრილში.

გლობალური ეკონომიკური პროცესების კვალდაკვალ დასრულდა და არსებული ფორმა და დატვირთვა შეიძინა სამოქალაქო საზოგადოებრივმა სექტორმა (სსს), და ნაცვლად ორსექტორიანი პლანეტარული მოწყობისა, მივიღეთ სამსექტორიანი კონფიგურაცია (იხ. ნახ. 1),



ნახ. 1. სამოქალაქო საზოგადოება როგორც „მესამე სექტორი".

სადაც ყურადღების ცენტრში ფოკუსირდება ორგანიზაციათა ისეთი ტიპები მათივე ფუნქციური დატვირთვით, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, პრესსინგ- ჯგუფები, საქველმოქმედო საზოგადოებები, ადგილობრივ თემთა ჯგუფები, რელიგიური ორგანიზაციები და სხვ., რომლებიც როგორც პირდაპირ, ისე ირიბად ურთიერთობენ კომპანიებთან და მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ კორპორაციულ საქმიანობებზე და შეაქვთ ცვლილებები მათ მიზნებსა და სტრატეგიებში, რის თვალსაჩინო მაგალითებსაც წარმოადგენს <<McDonald>> VS <<Jose Bove farmer union>>, <<Nestlé>> VS <<Baby Milk Aktion>>, და <<Shell>> VS <<Greenpeace>> შორის წარმოებული დაუნდობელი ბრძოლები. მეტი თვალსაჩინეობისათვის ეს უკანასკნელი შემთხვევაც კმარა: საქმე ეხება 1995 წელს წარმოქმნილ პრობლემას, რომლის წინაშეც იმყოფებოდა ბრიტანული ნავთობკომპანია Shell მას შემდეგ, რაც მან გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა Brent Spar-ის ნავთობის საზღვაო პლატფორმა და ჩაეძირა ატლანტიკის ოკეანეში. ეს გახლდათ კლასიკური მაგალითი იმგვარი კრიზისული სიტუაციისა, რომელშიც კომპანია Shall აღმოჩნდა გარემოს დამცველთა მხრიდან მხოლოდ იმიტომ, რომ მან გამოავლინა სრული უუნარობა საზოგადოების წინააღმდეგობის ხარისხს შეფასებაში პლატფორმის ჩაძირვის გეგმებთან დაკავშირებით. მოგვიანებით ჩატარებულმა სამეცნიერო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სწორედ ღრმად ჩაძირვა იყო ეკოლოგიურად გაცილებით უსაფრთხო ვარიანტი პლატფორმის გასანადგურებლად, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ეკოლოგიური საზოგადოების, მათ შორის უპირველესად Grenpeace - ის დარწმუნება ამგვარ მოსაზრბათა სისწორეში. <<მწვანეთა>> მიერ ინსპირირებულმა პროტესტის ფართომასშტაბიანმა კამპანიამ პლატფორმის ჩაძირვის წინააღმდეგ, კომპანია შჰელლ აიძულა უარი ეთქვა პირველად გეგმაზე და განეხილა ალტერნატიული და გაცილებით ძვირადღირებული შესაძლებლობები ამ მართლაცდა უშველებელი მეტალის კონსტრუქციის თავიდან მოსაშორებლად.[1] სხვა სტეიკჰოლდერებისაგან განსხვავებით, როგორიც არის პერსონალი, მომხმარებელი თუ აქციონერები, რომლებიც კორპორაციასთან მიმართებაში შრომის, შემოსავლებისა და კაპიტალის ფორმით გვევლინებიან კომპანიის პირდაპირ კონტრიბუტორებად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არასოდეს შეაქვთ პირდაპირი წვლილი კორპორაციათა ფუნქციონირებაში. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი შემთხვევაც სწორედ ამის მაჩვენებელია და მიუხედავად იმისა, რომ Greenpeace ნამდვილად არ წარმოადგენს კომპანიის უშუალო კონტრიბუტორს, მისი როგორც სტეიკჰოლდერის იგნორირება შეუძლებელია, რადგან მან კომპანია Shell-ის ფაქტობრივად შეუნარჩუნა ის უამრავი მომხმარებელი, რომელიც ჩართული იყო ამ საპროტესტო მოძრაობაში.

ზოგადად დასავლურ ლიტერატურაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მსგავსი ზეწოლის ჯგუფების შესახებ, თუ სახელდობრ ვის წარმოადგენენ ისინი, დომინირებს ორი ძირითადი ტიპი:[2] სექციური და პრომოციური (იხ. ნახ.2).

	სექციური ჯგუფები	პრომოციული ჯგუფები
წევრობა	დახურული	ღია
წარმოდგენა	საზოგადოების სპეციფიკური სექცია	სადავო საკითხები
მიზნები	თვით-ინტერესი	სოციალური მიზნები
ტრადიციული სტატუსი	ინსაიდერი	აუტსაიდერი
მთავარი მიდგომა	კონსულტაცია	არგუმენტი
ზეწოლა განხორციელებული . . . მეშვეობით (-ით)	ანულირების მუქარა	მასმედიის საჯაროობა

ნახ. 2 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განსხვავებული ტიპები

* სექციური ჯგუფები მოიცავს პროფესიულ კავშირებს, ასოციაციებს, სტუდენტურ ორგანიზაციებსა და სხვა იმგვარ გაერთიანებებს, რომელიც ეფუძნება საკუთარ წევრთა სურვილებსა და ინტერესებს, და რომელიც მიიჩნევა საზოგადოების განსაკუთრებულ სეგმენტად. სსო-ის სექციური ჯგუფების წევრობა ღიაა მხოლოდ მათთვის, ვინც სპეციფიკური სექციის ფარგლებში ასრულებს განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს. მაგალითად, ისინი წარმოადგენენ კონკრეტული სამუშაო ადგილის, პროფესიისა თუ გეოგრაფიული რეგიონის ნაწილს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უწინარესად მიჰყვებიან და ითვალისწინებენ ამ წევრობის თვით-ინტერესებს.

* პრომოციური ჯგუფები კი პირიქით, ფოკურისდებიან სპეციფიკური მიზეზებისა თუ პრობლემების წინ წამოწევაზე. გარემოს დაცვის ჯგუფები, ანტი-თამბაქოს მწეველთა ჯგუფები და პრო-ჯანსაღი ცხოვრების ჯგფები წარმოადგენენ პრომოციური სსო-ის თვალსაჩინო მაგალითებს. ეს ორგანიზაციები წარმოგვიდგებიან პრობლემებისადმი საერთო იდეოლოგიისა თუ დამოკიდებულების მქონე ორგანიზაციებად. ეს ჯგუფები ნაკლებად ეხებიან საკუთარი წევრების ინტერესებს და მეტად კონცენტრირდებიან ფართო სოციალური მიზნების მიღწევის ძიებაზე.

ტრადიციულად, სექციური ჯგუფები არიან ინსაიდერის სტატუსის მატარებელი, ხოლო პრომოციური ჯგუფები კი აუტსაიდერის სტატუსის მქონე, [3] რაც ნიშნავს იმას, რომ ვინაიდან სექციური ჯგუფები განიხილება როგორც სპეციფიკურ, იდენტიფიცირებად ამომრჩეველთა ლეგიტიმურ წარმომადგენლად, ვთქვათ როგორიცაა – ელექტრიკოსები, ფერმერები, მუსლიმები, ან სტუდენტები, ანუ კონკრეტული პროფესიული, რელიგიური, თუ სხვა განსაზღვრული სეგმენტი, სამართლიანად მიიჩნევა ამავე ამომრჩეველთან შემხებლობაში მყოფი რაიმე პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მათი აზრის გათვალისწინება. მაგ.: სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავების დროს ხელისუფლება კონსულტაციებს გადის ფერმერულ გაერთიანებებთან.

რაც შეეხება პრომოციურ ჯგუფებს, როგორც წესი მათ უფრო ნაკლებად მარტივი წვდომა აქვთ სამთავრობო თუ კორპორაციული პოლიტიკის შემუშავების პროცესში. რამდენადაც ისინი არ წარმოადგენენ ადვილად იდენტიფიცირებად ამომრჩევლებს, შესაბამისად არ არის ნათელი მათი პოზიციაც. შედეგად, პრომოციური ჯგუფები ესწრაფვიან მასობრივი საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას იქამდე, ვიდრე მათ ხმას გაიგონებდნენ, ან იქნებიან ჩართულნი ნებისმიერი სახის გადაწყვეტრილების მიღების პროცესში. ამის საფუძველზე, პრომოციურ ჯგუფებს მართებთ ძლიერ აქტიური ჩართულობა პრობლემათა გადაჭრის საქმეში. ეს ჩვეულებრივ მოიცავს ძლიერი არგუმენტების ფორმირების, დემონსტრაციების ორგანიზებისა თუ პროვოკაციული მედია-ტრიუკების მოწყობის მხარეებს, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მათი მესიჯების დაყვანა ადრესატამდე.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ისეთმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, როგორიცაა Greenpeace, Amnesty, WWF, Friends of the Earth და სხვ., უკანასკნელ წლებში საკუთარი მოღვაწეობით შეძლეს ფართო საზოგადოების ნდობის მოპოვება და წარმოჩინდნენ სოციალური და ეკონომიკური დებატების სოლიდურ მოთამაშეთა სახით, რამაც მათ ბიზნესეთიკის ირგვლივ წარმოებლ დისკუსიებში შესაძლებლობა მისცა ყოფილიყვნენ იმგვარადვე აღიარებულნი, როგორც სხვა უფრო ტრადიციული „ეკონომიკური" თუ „ძირითადი" სტეიკჰოლდერები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. (Нефтяная платформа Brent Spar – Кризис коммуникаций с общественностью,. http://www.adeator.com/novyj-vzglyad-na-reklamu/neftyanaya/platforma-brent-spar-krizis/)

2. (Smith, N.C., <<Moraliy and the Market: Consumer Pressure for Corporate Accountability>>., London: Routldge., 1990,P.105-13

3. Whawell, P. <<The ethics of pressure groups>>,. Business Ethics: A European Review, #7/3, 1998, P. 225-45

,,Civil Society Organizations as a Stakeholders"

Vasil Khizanishvili
Assistant Professor of
I.Gogebashvili Telavi State University,
PhD in Economics

Two decennary years ago, Civil Society Organizations actively involved in the Global Economic Process. Such involvement from their side was precondition that happened in front of us a global sectoral transformation which actually changed the world socio-economic deployment and instead of the two sectors planetary device, we received a three-sector configuration.

Despite this, that CSO different from other Stakeholders, has never taken directly contribution in the function of the corporations, they were able to gain public confidence and revealed as the perfect stakeholders.

ინფლაციის თარგეთირება და მისი ტრაგიკული შედეგები საქართველოში და მსოფლიოში

ნასყიდა დარბუაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
naskida@yandex.ru

დღეის მდგომარეობით მთელ მსოფლოში ტარდება ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკა. ინფლაციის თარგეთირება, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაწყებული ახალი ტიპის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა, რომელიც კარგს არაფერს უქადის ჩვენ ქვეყანას და დანარჩენ მსოფლიოს. 2009 წლიდან მოყოლებული საქართველოშიც ტარდება ინფლაციის თარგეთირების ფულად - საკრედიტო პოლიტიკა. რუსეთი იყო ერთ-ერთი ბოლო „ბასტიონი“ ვინც ამ პოლიტიკას არ ატარებდა. შარშან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა საბოლოოდ დაიყოლია რუსეთი და 2015 წლიდან მანაც დაიწყო ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის გატარება.

ვინც არ იცის მათთვის ავხსნით, რომ Inflatio - ლათინური სიტყვაა და „გაბერვას“ ნიშნავს, ეკონომიკაში კი ფასების საერთო დონის ზრდას ანუ ფულის მსყიდველობითი უნარის დაქვეითებას, გაუფასურებას ნიშნავს. target – ინგლისური სიტყვაა და „მიზანს“ ნიშნავს. „ინფლაციის თარგეთირება“, ესეიგი „მიზნობრივი ინფლაცია“. თუ უფრო ზუსტათ ვიტყვით „ფასების საერთო დონის მიზანმიმართული ზრდა“ ანუ „ფულის მიზანმიმართული გაუფასურება“. ცოტა არ იყოს გაუგებარი აზრის შემცველი სიტყვათა წყობებია. კაცობრიობა მთელი თავისი გააზრებული ისტორიის განმავლობაში ყოველთვის ცდილობდა სტაბილური ფასების შენარჩუნებას, დღეს კი????, ფასების ზრდა და ფულის გაუფასურებაა „მიზანი“.

ნონსენსია ის რომ ქვეყანამ საკუთარი ფულის „მსყიდველობითი უნარის“ დაქვეითება მიზნათ გაიხადოს. ასეთი რამ ყოველგვარი ლოგიკური აზროვნების ზღვარს სცილდება და მხოლოდ ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანების გონებაში შეიძლება დაიბადოს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გვარწმუნებენ, რომ „ინფლაციის თარგეთირების“ პოლიტიკით გრძელ ვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ფასების სტაბილურობა, თუმცა როგორც ისინი გვარწმუნებენ, ამას შეიძლება წლები დასჭირდეს. მართლა ასეა თუ არა?

რას ემსახურება ეს ყველაფერი? რისთვისაა საჭირო? ვის და რაში სჭირდება ასეთი ფულად - საკრედიტო პოლიტიკა? რა არის რეალური მიზნები? რა შედეგები გამოიღო ამ პოლიტიკამ და რას ველოდოთ მომავალში?

მოდით ყველაფერი თანმიმდევრობით განვიხილოთ და ყველა კითხვას პასუხი გავცეთ.

ინფლაციას, ფულის მსყიდველობითი უნარის დაცემას ძირითადში იწვევს:

1. მონოპოლიები და მონოპოლიური ფასები.
2. რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) შემცირება ფულის მასის მუდმივობის პირობებში.
3. ფულის მასის ზრდა რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის მუდმივობის პირობებში.

იმისათვის რომ ფასების მიზნობრივი ზრდა, „ინფლაციის თარგეთირება“ განვახორციელოთ, მონოპოლიების შექმნა და მონოპოლიური ფასების ზრდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანი ვერ იქნება. ვერც მეპ-ის შემცირება იქნება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანი. „ინფლაციის თარგეთირებისათვის“ რჩება ერთადერთი საშუალება, ფულის მასის ზრდა.

ესე იგი „ინფლაციის თარგეთირების“ პოლიტიკა რომ გავატაროთ და ინფლაცია დაგეგმილ ნიშნულამდე ავიყვანოთ, საჭიროა ფულის მასა ვზარდოთ მანამ, სანამ ინფლაცია არ მიაღწევს დაგეგმილ, მიზნობრივ მაჩვენებელს. ასეთი პოლიტიკა წარმოადგენს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის სრულიად საპირისპირო მოდელს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს „ინფლაციის თარგეთირების“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ამავე დროს აშშ დოლარი წარმოადგენს საერთაშორისო ანგარიშსწორების ძირითად ვალუტას და ყველა ქვეყანაში გამოიყენება როგორც ძირითადი სარეზერვო ვალუტა. „ინფლაციის თარგეთირების“ პოლიტიკის პირობებში, ყოველწლიურად ყველა ქვეყნის ეროვნული ფულის მასა იზრდება, სარეზერვო ფულის, აშშ დოლარის მუდმივობის (უცვლელი მასის) პირობებში. ანუ

აშშ დოლართან მიმართებაში მსოფლიოს ყველა ქვეყნის სავალუტო ბაზარზე, ამ ქვეყნების ფულის მასა (ფულის მიწოდება) იზრდება, სარეზერვო ვალუტის „აშშ დოლარი"-ს მიწოდება კი არ იზრდება (მუდმივია). საბაზრო ეკონომიკაში „მიწოდება-მოთხოვნილების" კანონზომიერებიდან გამომდინარე ყველა ქვეყნის ფული (ვალუტა) უფასურდება, განიცდის დევალვაციას, სარეზერვო ვალუტასთან, აშშ დოლართან მიმართებაში.

რასთან გვაქვს საქმე?

„ინფლაციის თარგეთირების" პოლიტიკით, ფულის მასის ყოველწლიურად მუდმივი მიზნობრივი ზრდით, ყველა ქვეყანის სავალუტო ბაზარზე ყოველწლიურად ეროვნული ვალუტის მიწოდება ხელოვნურად იზრდება, სარეზერვო ვალუტა, აშშ დოლარი კი არ იცვლება. ესეიგი „ინფლაციის თარგეთირების" პოლიტიკით ყოველწლიურად აშშ დოლარი ხელოვნურად მყარდება ყველა ქვეყანაში, ამ ქვეყნის ვალუტასთან მიმართებაში და ყველა ქვეყნის ვალუტა განიცდის დევალვაციას, გაუფასურებას აშშ დოლართან მიმართებაში.

შეგვიძლია დავასკვნათ! „ინფლაციის თარგეთირება" ემსახურება აშშ დოლარის ხელოვნურ გამყარებას მთელ მსოფლიოში.

ინფლაციის თარგეთირება და მისი შედეგები მსოფლიოში.

„ინფლაციის თარგეთირების" პოლიტიკის შესაბამისად ყველა ქვეყანას განსაზღრული აქვს ინფლაციის მაჩვენებელი რომელზეც უნდა გავიდეს. ამა თუ იმ ქვეყნისათვის ინფლაციის მაჩვენებელს განსაზღვრავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და რეკომენდაციის სახით აძლევენ ამ ქვეყანის ცენტრალურ საემისიო ბანკს. ჩვენ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ბანკს (სებ). ცენტრალური საემისიო ბანკი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციების საფუძველზე ადგენს კანონპროექტს და წარუდგენს პარლამენტს. პარლამენტი ფაქტიურად უცვლელად ამტკიცებს კანონპროექტს და აძლევს კანონის ძალას. ასე იღებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციები კანონის სახეს, რომლის აღსრულებაც სავალდებულოა ამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ასე გარდაისახება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციები სავალდებულო აღსრულებაში.

როგორც უკვე ავღნიშნეთ რუსეთმა „ინფლაციის თარგეთირების" პოლიტიკის გატარება მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დაიწყო. რუსეთის ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლი მიმდინარე წელს 16 %-ით განისაზღვრა. 8 თვეში რუსეთის რუბლმა 120 %-ით განიცადა დევალვაცია და 8 თვის მონაცემებით მსოფლიოში ყველაზე მაღალი დევალვაციაა უკრაინის გრივნის შემდეგ.

„ინფლაციის თარგეთირების" შედეგად მთელ მსოფლიოში იზრდება ფასები, ეცემა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, მცირდება წარმოებული პროდუქცია, მცირდება სამუშაო ადგილები, მცირდება ექსპორტი და სათანადოდ იმპორტის მოცულობები.

განსკუთრებით მძიმდება ვითარება განვითარებად ქვეყნებში სადაც დიდი ოდენობით სოციალურად გაჭირებული მოსახლეობაა, მათი სოციალური მდგომარეობა უკიდურესად მძიმდება.

სერიოზულად ზარალდებიან იმ ქვეყნების ეკონომიკებიც რომლთა ექსპორტშიც განვითარებად ქვეყნებში ექსპორტის ხვედრითი წილი მნიშვნელოვანია.

„ინფლაციის თარგეთირების" პოლიტიკის გატარების საბოლოო შედეგი, ახალი მაშტაბური მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი იქნება. შემთხვევითი არ არის რომ „ინფლაციის თარგეთირების" გატარების პოლიტიკის შედეგად მსოფლიომ ბოლომდის ვერ დაძლია 2007-2010 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და იგი ფაქტიურად დღესაც გრძელდება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების დროს ეკონომიურად ყველაზე მეტად ზარალდებიან განვითარებული ქვეყნები, განსაკუთრებით აშშ., მაშინ კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაუგებარი ხდება ვის და რაში ჭირდება მთელ მსოფლიოში „ინფლაციის თარგეთირების" ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

ინფლაციის თარგეთირება და მისი შედეგები საქართველოში.

საქართველოში „ინფლაციის ტარგეტირების" პოლიტიკის გატარება როგორც უკვე ავღნიშნეთ 2009 წლიდან დაიწყო. ახალი ფულად საკრედიტო პოლიტიკის შედეგად ბოლო ექვს წელიწადში ფულის მასა, რეფინანსირების სესხების გათვალისწინებით 3,5-ჯერ ანუ 350 %-ით გაიზარდა. რეალური ეკონომიკური ზრდა უმნიშვნელოდ მოხდა. ემისირებული ფული ფაქტიურად მთლიანად ფასების ზრდაში აისახა. ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის მიხედვით, რომელსაც ჩვენი ქვეყანა 20 წელი, მსოფლიოს ქვეყნები კი 30 წელი ატარებდა და მთელ მსოფლიოში წარმატებულ ეკონომიკურ

მოდელად ითვლებოდა, ამავე პერიოდში (ექვს წელიწადში) ფულის მასის ზრდა მაქსიმუმ 0,35-ჯერ ანუ 35 %-ით უნდა მომხდარიყო.

ისმის ლოგიკური კითხვა: საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები როდის გვაძლევდნენ სწორ რეკომენდაციებს, როცა ჩვენგან მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა და ყოველწლიურად ფულის მასის 3-5 %-იან ზრდას ითხოვდნენ, თუ ახლა, როცა მათი რეკომენდაციით „ინფლაციის თარგეთირების“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ვატარებთ, რის შედეგადაც ყოველწლიურად ფულის მასას 23 %-ით ვზრდით?

ექვსი წლის მონაცემების მიხედვით ფულის მასის საშუალო წლიურმა ზრდამ 58 %-ი შეადგინა.

ბოლო ათ თვეში ლარის მასა ერთი მილიარდი ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 37 %-ით დაეცა. იმის გამო რომ იმპორტის ხვედრითი წილი ძალიან დიდია დოლარის დევალვაციამ ყველაფრის გაძვირება გამოიწვია.

საქართველოს მთავრობა მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებს, ფაქტიურად დანაშაულებრივ უმოქმედობასთან გვაქვს საქმე, რისი შედეგიც ეკონომიკური ვარდნა, მოსახლეობის კიდევ უფრო მეტად გაღატაკება და სოციალური პირობების დამძიმებაა.

საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) არსებულ მდგომარეობაში მთავრობას ადანაშაულებს, მაშინ როცა თავად ატარებს „ინფლაციის თარგეტირების“ პოოლიტიკას და მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შექმნაში თავადაა დამნაშავე.

აღსანიშნავია რომ, კანონში: „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ სებ-ის მთავარი ამოცანა: „სტაბილური ფასების შენარჩუნებაა“, ამ დროს სებ-მა მთავარ მიზნად „ინფლაციის თარგეთირება“ ანუ ფასების მიზნობრივი ზრდა გაიხადა.

სებ-ი და მისი ხელმძღვანელობა „ინფლაციის თარგეთირების“ პოლიტიკის გატარებით უხეშათ არღვევს „საქართველოს ორგანულ კანონს საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და დანაშაულს ჩადის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ ორგანულ კანონში საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონმდებლის მიერ დაშვებულია უხეში შეცდომები. მაგალითად ამ კანონის მიხედვით სებ-ი თვითდაფინანსებაზე მყოფი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რაც სრულიად დაუშვებელი ნორმაა. არ შეიძლება სახელმწიფო სტრუქტურა რომელიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ატარებს და ქვეყანაში ფულის ემისიას ანხორციელებს კომერციულ საწყისებზე მუშაობდეს და თვითდაფინანსებაზე იყოს ანუ საკუთარი შემოსავლებით არსებობდეს. სავალუტო და საფინანსო ბაზარზე, როცა სებ-ი ამა თუ იმ ქმედებას ატარებს როგორ დავადგინოთ სებ-ი პოლიტიკის და სახელმწიფო ინტერესებიდან მოქმედებს თუ კომერციული მიზნებიდან გამომდინარე? თუ არის ვინმე ვინც ამ კითხვაზე პასუხს გასცემს?

რას ველოდოთ მომავალში?, რა შედეგებს მოგვცემს „ინფლაციის ტარგეთირების“ პოლიტიკა?

შედეგები უკვე სახეზეა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (რამდენიმე ქვეყნის გარდა) ეროვნული ვალუტები დევალვაციას განიცდიან. ყოველწლიურად დევალვაციის მაჩვენებლები უფრო და უფრო იზრდება. ეს ყველაფერი მსოფლიო მაშტაბით იწვევს ექსპორტის და სათანადოთ იმპორტის შემცირებას, ეკონომიკის ვარდნას, საგარეო ვალების არნახულ ზრდას უმუშავრობის მაშტაბურ ზრდას, უკიდურესად მწვავდება სოციალური პრობბლემები.

ეს პოლიტიკა უახლოვეს წლებში მსოფლიოს მიიყვანს ყოვლის მომცველ, ღრმა ეკონომიკურ კრიზისამდე. რომლის დაძლევაც ძალიან რთული იქნება.

დაუბრუნდეთ ჩვენს ქვეყანას. იმის გამო რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეკონომიკა ვარდნას განიცდის, საქართველოდან სხვა ქვეყნებში სამუშაოთ გასული მოსახლეობის ნაწილი ან უმუშავარი რჩება ან უფრო დაბალ ანაზღაურებად სამუსაოებზე გადადის სამუშაოთ. „ინფლაციის თარგეთირების“ პოლიტიკიდან გამომდინარე, მთელ მსოფლიოში მათ შორის საქართველოშიც შემცირებულია ექსპორტი და კიდევ უფრო შემცირდება. ყოველივე ამის შედეგად უცხოეთიდან სავალუტო ნაკადები შემცირებულია და უფრო მეტად შემცირდება. ჩვენ ქვეყანას და სხვა ქვეყნებს რომლებშიც მოხმარებული საქონლის დიდი ნაწილი იმპორტულია „ინფლაციის თარგეთირების“ პოლიტიკა მძიმე დარტყმას მიაყენებს და სოციალურ მდგომარეობას უკიდურესად დაამძიმებს.

სადაა გამოსვალი?

მაქსიმალურად უნდა გავზარდოთ და ხელი შეუწყოთ პირველადი მოხმარების საქონლის ადგილზე წარმოებას. სახელმწიფოს მხრიდან განსაკუტრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მასიურ წარმოებას და გაიაფებას, რომლებიც

ექვემდებარებიან სრულ მექანიზაციას, მაგალითად კართოფილის წარმოება, შაქრის ჭარხლის წარმოება და შაქრის მიღება, სიმინდის წარმოება და სხვა. უნდა გავზარდოთ იმ საქონლის წარმოება და ექსპორტი რომელზეც უცხოეთში მაღალი მოთხოვნაა.

მოკლედ რომ ვთქვათ უნდა გატარდეს ისეთი ეკონომიკური პოლითიკა რომლის მეშვეობითაც მაქსიმალურად გავზრდით უცხოური ვალუტის ქვეყანაში შემოსვლას და მინიმუმამდე შევამცირებთ ვალუტის ქვეყნიდან გატანას.

კომპლექსური ღონისძიებები უნდა გატარდეს ექსპორტთან მიმართებაში. სერიოზულად შესასწავლია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი, აქ არსებული პრობლემები, ამ მიმართებით სერიოზული, მეცნიერულ დონეზე ჩატარებული ანალიზი და ზუსტი მათემათიკური გათვლებია საჭირო. დაკვირვებები გვიჩვენებს რომ ქვეყანას ექსპორტთან მიმართებაში ძალიან დიდი გამოუყენებელი რეზერვები აქვს.

სერიოზულადაა გადასახედი სახელმწიფოს პოლიტიკა უცხოურ ინვისტიციებთან მიმართებაში. უცხოური ინვისტიციების მოზიდვა ქვეყნის გადარჩენის, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის, უმუშავრობის აღმოფხვრის, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მთავარ საშუალებადაა მიჩნეული. ერთი სიტყვით უცხოური ინვისტიციები ყველა პრობლემის პანაცეაა და ეს მთელ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული აქსიომაა.

ანალიზი და კვლევები კი სულ სხვა შედეგებს გვიჩვენებს. შედეგებს რომლებიც წინაღმდეგობაში მოდის საყოველთაოდ აღიარებულ „დოგმებთან“. საქმე ისაა რომ უცხოური ინვისტიციები გამოკვეთილად უარყოფითად მოქმედებს ეროვნული ვალუტის კურსზე, ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მოთხოვნილება-მიწოდებაზე.

შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ინვისტიციების შემოსვლა დადებითად მოქმედებს და ამყარებს ეროვნულ ვალუტას. მაგრამ დადებითი მოქმედება ერთჯერადია, მხოლოდ ინვისტიციის შემოსვლის პერიოდში. შემდგომ, ინვესტორს ყოველწლიურად ქვეყნიდან სოლიდური მოგება გააქვს. 1-2 წელიწადში უცხოეთიდან ინვისტირებული თანხა მოგების სახით უკან გადის, შემდგომ კი ყოველწლიურად ქვეყნიდან გაიტანება მოგება რაც სოლიდურ თანხას შეადგენს. საქართველოში მოღვაწეობენ კომპანიები რომლებმაც რამდენიმე წლის წინ, რამდენიმე მილიონი დოლარის ინვისტიცია განახორციელეს და ქვეყნიდან უკვე გატანილი აქვთ ასობით მილიონი დოლარი. გასატანი მოგება ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე წარმოშობს უცხოურ ვალუტაზე დამატებით მოთხოვნილებას.

ამრიგად უცხოური ინვისტიცია მიმდინარე ეტეპზე დადებითად მოქმედებს ლარის კურსზე და ეკონომიკაზე, მაგრამ საგრძნობლად აუარესებს ეროვნული ვალუტის კურს და აქედან გამომდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას მომავალში. ინვისტიციების საერთო ოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ყოველწლიურად იზრდება ქვეყნიდან გასატანი მოგების მოცულობებიც, ყოველწლიურად იზრდება ინვისტიციების უარყოფითი მოქმედება ლარის კურსზე და საქართველოს ეკონომიკაზე.

რათქმაუნდა ინვესტიციებს გააჩნია დადებითი ეფექტიც, იქმნება სამუშაო ადგილები, იზრდება ეროვნული პროდუქტი, შემოსავლები აქვს ბიუჯეტს და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი უმნიშვნელოა იმასთან შედარებით რა უარყოფითი შედეგებიც უცხოურ ინვისტიციებს ახასიათებს, როცა ქვეყანას უცხოური ვალუტის შემოდინება-გადინების ბალანსი მკვეთრად უარყოფითი აქვს.

მოყვანილი ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხოური ინვისტიციები რომლებიც აუარესებენ ქვეყნის საგადამხდელო ბალანს, საფრთხეების შემცველია და ქვეყნისათვის მიუღებელია. ასეთი ინვისტიციები ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის დევალვაციას, დროთაგანმავლობაში ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას, დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს და მის უსაფრთხოებას.

გამოსავალი ერთია, ჩვენთვითონვე შევძლოთ ჩვენი ეკონომიკის ინვისტირება ადგილობრივი რესურსების მობილიზებით და უცხოეთიდან მოზიდული საკრედიტო რესურსებით.

სერიოზულადაა გადასახედი ხელისუფლების მიერ ტენდერების ჩატარების პოლიტიკა. ყველა სერიოზულ სახელმწიფო შესყიდვაზე საერთაშორისო ტენდერი ცხადდება. ტენდერებს როგორც წესი უცხოური კომპანიები იგებენ, ძირითადში იმის გამო რომ შედარებით იაფად აკეთებენ. ხშირ შემთხვევაში ტენდერის პირობებში წინასწარ, სპეციალურადაა ჩადებული ისეთი პირობები რომ ადგილობრივმა ფირმებმა და კომპანიებმა ვერ შეძლონ ტენდერის პირობების დაკმაყოფილება.

როგორც სახელმწიფო ტენდერები ისე უცხოური ინვისტიციები ორი დიდი „შავი ხვრელია“ რომელშიც ყოველწლიურად ქვეყანა ასობით მილიონ უცხოურ ვალუტას კარგავს. თუ დროზე არ მივხედეთ „შავ ხვრელებს“, მალე საქართველოში ქართველებისთვის აღარაფერი დარჩება და ყველაფერს „შავი ხვრელები“ შთანთქავენ.

როგორც ინვისტიციების ისე ტენდერების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა ანტი სახელმწიფოებრივი და ანტი ქართულია, წლებია ეს პოლიტიკა გრძელდება, წლებია გაუაზრებელი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში ყველაფერი ნადგურდება.

ინვისტიციები და სახელმწიფო ტენდერები ძალიან დიდი თემაა და სერიოზული განხილვა ჭირდება, ამ ყველაფერს ჩვენ მხოლოდ მოკლედ შევეხეთ. ყველა „სიკეთებს", ახლა „ინფლაციის თარგეთირებაც" დაემატა.

რეზიუმეს სახით ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ერთ წინადადებაში შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „ამ ქვეყანასი ყველაფერი კეთდება ისე როგორც არ უნდა კეთდებოდეს და არფერი კეთდება ისე როგორც უნდა კეთდებოდეს".

სექტემბერი 2015 წელი

ტკილი (მერგელი) როგორც მნიშვნელოვანი აგრომინერალური ნედლეული თხილის კულტურისათვის

რევაზ კვატაშიძე,
გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი, საინჟინრო აკადემიის წევრი, კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი

შალვა მალაშხია
ტექნიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიური სამეცნიერო კვლევითი განყოფილების გამგე
shalvamalashkhia@mail.ru
599267705

ნინო მუმლაძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნე

ნინო ჩხოტბაძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, კავკასიის ალ.თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი

აგრომინერალების ადგილობრივი რესურსების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულების განვითარებისათვის. ბოლო წლებში საქართველოში განვითარება ჰპოვა თხილის წარმოებამ, რომელიც სტრატეგიული კულტურის პოზიციას იკავებს. თხილის მრეწველობის განვითარებაში დიდი როლი შეიძლება ითამაშოს აგრომინერალების ბაზაზე მიღებულმა სასუქებმა. ამდენად, ყურადსაღებია ქვეყნის ნებისმიერ რაიონში გამოვლენილი ყოველი აგრომინერალური მადნების რესურსი. ერთი მათგანია ჩხოროწყუს რაიონში არსებული მერგელის გამოვლინება,რომლის არასისტემური გამოყენების შედეგები იმედის მომცემია. ამდენად გამოვლენილი აგრომინერალური რესურსის აკადემიური გამოკვლევა აუცილებელია.

საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი აგრონომიული მადნები ფართოდაა გავრცელებული, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ქვეყანაში ადგილობრივი მინერალური და ორგანო–მინერალური სასუქების წარმოებისათვის.

აგრონომიული მადნების გავრცელება ექვემდებარება დედამიწის ქერქის განვითარების ზოგად გეოლოგიურ ისტორიას და რეგიონის ტექტონიკურ თავისებურებებს, ამდენად ამა თუ იმ აგრონომიული სახეობის გამადნების ფორმირების პირობებიდაკავშირებულიაგარკვეულგეოლოგიურ ფორმაციების, სტრატიგრაფიულ ჰორიზონტებისა და ტექტონიკურ ზონებთან. დღემდე ძირითადად ცნობილი აგრონომიული მადნების საბადოები დაკავშირებულნი არიან დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ნაოჭა სისტემასთან, ქართულ ბელტთან, აჭარა–თრიალეთის ნაოჭა ზონასა და ართვინის ბელტთან.

აგრონომიული მადნების გამოვლენის მხრივ ყველაზე დეტალურადაა შესწავლილი მეზოზოური და კაინოზოური ფორმაციები, თუმცა ზოგიერთი სახეობები დაფიქსირებულია პალეოზოურ შრეებშიც. ამასთან პალეოზოის ფორმაციები ფოსფორის შემცველობის კუთხით არასათანადოდაა შესწავლილი, ხოლო უმეტესი აგრომინერალები განხილულია პროდუქტიული გეოლოგიური ფორმაციების აღწერისას [1].

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აგრომადნები სამრეწველო დონეზე, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური მასშტაბებით შეიძლება ითქვას, რომ არ გამოიყენება თუ არ გავითვალისწინებთ კერძო მეწარმეების თუ ფერმერების მხრივ ზოგიერთ ადგილას ადგილობრივი საბადოების სტიქიურად ექსპლუატაციის შემთხვევებს.

2015 წელს ჩხოროწყუს რაიონის მუნიციპალიტეტმა გამოიჩინა დაინტერესება რაოინში არსებული მერგელების (ტკილის) საბადოს მიმართ. ეს დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ რაიონში გაშენებული სტრატეგიული კულტურის თხილის პლანტაციებში აღნიშნული აგრომადნების გამოყენებამ ცალკეული კერძო

პირის მიერ გამოავლინა მისი მნიშვნელოვანი დადებითი ზემოქმედება მოსავლიანობის ზრდაზე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს, სადაც წარმოდგენილი იქნა საბადოზე მოპოვებული წარმომადგენლობითი სინჯები, ანალიზისა და სათანადო შეფასებებისათვის.

როგორც აღნიშნული იქნა, თხილი უკანასკნელ პერიოდში ქვეყნისათვის ერთ–ერთი სტრატეგიული სასოფლო–სამეურნეო კულტურაა და მათ შორის ასეთია ის იგივე ჩხოროწყუს რაიონისათვის. ზოგადად თხილი მნიშვნელოვანი კაკლოვანი კულტურაა, მის ნაყოფში ცხიმის შემცველობა აღწევს 60-70%, ხოლო გულის გამოსავლიანობა 40-50%–ია. ამასთან თვითონ კულტურა დღემდე ითვლება ეროზია საწინააღმდეგო კულტურად, რადგან მისი ზერელედ განვითარებული ფესვთა სისტემა იცავს წყლისებრი და ქიმიური ეროზიისაგან ნიადაგს. ამასთან თხილი ნიადაგის ნაყოფიერებისადმი დიდი მოთხოვნებით არ გამოირჩევა, იგი ხარობს ღარიბ ნიადაგებშიც, მაგრამ ინტენსიური ტექნოლოგიის მოთხოვნების თანახმად აუცილებელია მისთვის ნაყოფიერი ნიადაგის შერჩევა. ცნობილია, რომ თხილი თავისი ზრდა–განვითარებისათვის, გარდა საკვები კომპონენტებისა მოითხოვს მცენარის ფესვთა სისტემის განვითარების ზონაში ნეიტრალური რეაქციის გარემოს (PH -6.5-ის მახლობლობაში). როგორც ცნობილია თხილის კულტურა ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, სადაც უმეტესად გავრცელებულია წითელმიწა, ყვითელმიწა და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგები, რომლისთვისაც მჟავე რეაქციაა დამახასიათებელი. აღნიშნული ნიადაგები ასევე ღარიბია მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებებით და მათ შორის ჰუმუსითაც. მჟავე ნიადაგებში აღინიშნება წყალბადის და ალუმინის სიჭარბე. დადგენილია, რომ წყალბადის და ალუმინის იონების სიჭარბე ნიადაგში უარყოფითად მოქმედებს ფესვთა სისტემის განვითარებაზე და არღვევს მცენარეში საკვები ელემენტების შეღწევადობას და აფერხებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს. ყოველივე ეს განაპირობებს თხილის კვებისა და ზრდა განვითარების პროცესის გაუარესებას, რის გამოც ასეთ ნიადაგებზე მოყვანილი თხილი დაბალ მოსავლიანი და უხარისხოა, ხოლო შეტანილი სასუქები დაბალეფექტური. მჟავე ნიადაგების ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად და მათზე მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა ნიადაგის მჟავიანობის რეგულირება მისი მოკირიანებით. იმ შემთხვევაში თუ ნიადაგისpH 4,5-4,6–ზე ნაკლებია აუცილებელია მისი ძლიერი მოკირიანება,თუ pH 4,5-5,5–ის ფარგლებშია სუსტი მოკირიანება და თუ pH5,5-5,6–ზე მეტია უმეტეს შემთხვევაში მოკირიანება აუცილებელი არაა.

ნიადაგის კირზე მოთხოვნილების დადგენისათვის სასურველია pH დონის განსაზღვრის გარდა დადგენილი იქნეს ნიადაგის ფუძეების მაძღრობის ხარისხი. ფუძეებით მაძღრობის ხარისხი გვიჩვენებს თუ რამდენად ღრმადაა წასული ნიადაგში ფუძეებით გაღარიბების პროცესი, თუ ის V< 50%–ზე, საჭიროა ძლიერი მოკირიანება; V = 50-70% საჭიროა სუსტი მოკირიანება; ხოლო თუ V> 70% – მოკირიანება არაა აუცილებელი.

ამრიგად ერთი და იგივე მჟავიანობის დროს კირზე დიდ მოთხოვნას აყენებენ ის ნიადაგები, რომელთა ფუძეებით მაძღრობის ხარისხი ნაკლებია. კირზე მოთხოვნილების განსაზღვრისას საჭიროა ყურადღება მიექცეს აგრეთვე ნიადაგის მექანიკურ შემადგენლობასაც. ცნობილია, რომ მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგები კირზე უფრო მეტ მოთხოვნილებას აყენებენ, ვიდრე მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის ნიადაგები.

მოკირიანების ქვეშ იგულისხმება ნიადაგში კირის შემცველი რომელიმე სასუქის შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს მჟავე ნიადაგების რეაქციის დარეგულირებას და ნაყოფიერების გაუმჯობესებას. მჟავიანობის გასანეიტრალებლად საჭირო კირის დოზის გასაანგარიშებლად უნდა გაკეთდეს ნიადაგის ჰიდროლიზური მჟავიანობის ანალიზი, რომელიც შესაბამის კოეფიციენტზე 1,5–ზე გამრავლებით გვაძლევს ერთ ჰექტარ ფართობზე შესატანი კირის რაოდენობას. ეს კირის ისეთი დოზაა, რომელიც მოსავალზე მყარ და ხანგრძლივ მოქმედებას უზრუნველყოფს და მაღალ ეკონომიურ ეფექტს იძლევა.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ნიმუშები განეკუთვნება ნაფიჩხოვის თემის ტერიტორიაზე არსებულ მადან გამოვლინებას. შესრულებული რენტგენოსტრუქტურული და ქიმიური ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი 1 და 2–ში. შედეგების ანალიზი გვაძლევს საშუალებას ზოგიერთი დასკვნის გასაკეთებლად. კერძოდ, აღნიშნული აგრომადნის გამოყენება იმსახურებს სათანადო ყურადღებას, რადგან ის არის ძლიერი ტუტე რეაქციის, მისი PH= 9,0; მასში წყალში ხსნადი კალციუმის შემცველობა 11,8 მგ 100გრ.

მასაზე. ამ რაოდენობას თავისუფლად შეუძლია გაანეიტრალოს ნიადაგის მჟავიანობა. საკმაოდ მაღალია მასში კვების ერთ–ერთი ძირითადი ელემენტი კალიუმი 30მგ/100 გრ–ში; ასევე, აზოტის როგორც საერთო - 0,35%, ისე ნიტრატული ფორმა, ხოლო შესათვისებელი ფოსფორი მცირე რაოდენობითაა. ამდენად, მისი გამოყენებისას ხდება ნიადაგის მჟავე რეაქციის განეიტრალება და ნაყოფიერების გაუმჯობესება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში კირიან სასუქად ტკილის (მერგელების) გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს, ამას მოწმობს სასუქების, ნიადაგმცოდნეობის და აგროტექნიკის საკავშირო ინსტიტუტის (ყოფილი) საქართველოს ფილიალის შრომები.

საქართველოს სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის კვლევები.ტკილის (მერგელის) გამოყენება, როგორც აგრომინერალური ნედლეული აქტუალურია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში არსებული ტკილის (მერგელის) და სხვა აგრომინერალების გამოვლინებები თითქმის შეუსწავლელია, აუცილებელია სათანადო ძალისხმევა, შესაბამისი გეოლოგიური და ტექნოლოგიური ძიებანი, მარაგების დაზუსტებისა და საბადოთა შემდგომი ათვისების და კომერციული გამოყენების მიზნით.

ქიმიური შემადგენლობა, %

ცხრილი №1

№	სინესტე	ხურებითი დანაკარგი	SiO_2	TiO_2	Fe_2O_3	FeO	P_2O_2	MnO	CaO	MgO	SO_3	Na_2O	K_2O	Cr	B_2O_3
1	1,65	5,75	56,5	0,80	2,21	3,52	0,08	0,14	5,1	1,6	0,38	2,2	4,3	0.0094	0,5

ელემენტების მოძრავი და გაცვლითი ფორმები მგ/100გ ნიმუშში

ცხრილი №2

	K_2O		Ca		Mg		P_2O_2	SO_4
	გაცვლითი	მოძრავი	წყალში ხსნადი	მოძრავი (გაცვლითი)	წყალში ხსნადი	მოძრავი (გაცვლითი)	მოძრავი	წყალში ხსნადი
	ექსტრაგენტი ამონიუმის აცეტატი	ექსტრაგენტი 0,5 N HCl	ექსტრაგენტი წყალი	ექსტრაგენი KCl 0.1 M	ექსტრაგენტი წყალი	ექსტრაგენტი KCl 0.1 M	ექსტრაგენტი $(NH_4)_2SO_4$	ექსტრაგენტი წყალი
ჰაერზე მშრალი	30	20	11.6	99.97	0.0	24.99	0.9	48,8
ტენის გათვალისწინებთ	30,5	20,3	11.8	101.6	0.0	25.4	0.9 ან <1	

მშრალზე ნაშთი, %	Pb,%	Zn,%	Co,%	Ni,%	Cu,%	Cd, %	pH	N,%	
								საერთო	ნიტრატული
0,248	0,005	0,020	0,02	0,017	0,008	0,002	9,0	0,35	0,28
									0,28

გამოყენებული ლიტერატურა:

1. როყვა მ.; მაღალაშვილი გ.; გვარჯალაძე რ.; საქართველოს ადგილობრივი აგრონომიული მადნები. თბ,. 1981 (რუსულ ენაზე).

2. ონიანი ო., აგროქიმია, განათლება, თბ., 1983წ.

3. იაკობაშვილი გ.; ლიპარტელიანი რ.; საქართველოს აგრომადნები და მათი სასუქებად გამოყენების პირობები, თბ., 2009წ.

Tkili (marl, clay) as an importent agro-mineral raw for nut culture

R.Kvatashidze
Cavkasian A. Tvalchrelidze Institute Minerals rav materials, direqtor,
academicaly Dr. geology-mineralogy
Sh. Malashkhia
Cavkasian A. Tvalchrelidze Institute Minerals rav materials,Loading Researcher,
Head of Departament of scientific research
geotechnological,academicaly geotechical engineering Doctor
N.Mumladze
Agrochemist soil scientist, Doctor acadimicaly agriculture
N.Chkobadze
Researcher of Departament of scientific research geotechnological,
Doctor academicaly agriculture

Agromineral resources has implications for the development of various towards agriculture. Recently in Georgia is developing nut production, which overlooks the strategic position. In the development of the industry a significant role to Sigrun fertilizer derived Agrominerals. Moreover, each of the field Agrominerals deserves - attention, this is a manifestation of marl in the region - Chkhorotsku, spontaneous application which gave helpfull noteworthy.

წიგნი როგორც განსაკუთრებული სახის პროდუქტი

ირმა გურაშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

irmagurashvili@gmail.com

599561552

სტატიაში განხილულია წიგნი, როგორც განსაკუთრებული სახის საქონელი, დახასიათებულია მისი სოციალურ-კულტურული ფენომენი. წიგნის ფენომენისადმი გამოყენებულია ორი მიდგომა: ბიბლიოგრაფიული და წიგნი სპეციფიკური სახის პროდუქტი. ბიბლიოგრაფიული მიდგომის არსებითი და ძირითადი მახასიათებელი წარმოჩენილია როგორც „სოციალური კომუნიკაციის მეთოდი“ და კულტურული მოვლენა. დეტალურად განხილულია წიგნის ოთხი ბიბლიოგრაფიული კატეგორია, ესენია: შინაარსი, თემატიკა, სტრუქტურა და ფუნქციები. წიგნის მატერიალური და შინაარსობრივი თვისებების გამოვლინება განსაზღვრავს მის საზოგადოებრივ-სოციალურ ფუნქციებსაც: პროფესიული, ჯაჭვური პრინციპით ორიენტირებული, სოციალიზირებული, მოდელირებული, საკომუნიკაციო და კლანურ-კუმულაციური. წიგნთან ურთიერთობა და მისი მოხმარება, განაპირობებს საზოგადოების ჩარევას წიგნის გამოცემის საორგანიზაციო საკითხებში, ასევე მის წარმოებასა და რეალიზაციაში. ავტორს სამ ნაწილად აქვს დაჯგუფებული ყველა ის მახასიათებელი რაც წიგნს წარმოაჩენს, როგორც განსაკუთრებული სახის პროდუქტს, სადაც საუბარია წიგნის შინაგან და გარეგან მახასიათებლებზე და შედარებულია სხვა სახის პროდუქტთან.

წიგნით ვაჭრობის ბიზნესში, წიგნი წარმოდგენილია როგორც განსაკუთრებული სახის საქონელი და სოც-კულტურული ფენომენი. ის წარმოადგენს ერთ-ერთ ძირეულ ფუნდამენტალურ საფუძველს ადამიანის კულტურისა და ცივილიზაციის. სამამულო ისტორიაში მიმდინარეობდა მრავალი კვლევა, რომელიც წიგნის ბუნებასა და ხასიათს მიეძღვნა. წიგნის ფილოსოფურ-თეორიულ და მეთოდურ განსაზღვრებას მრავალმა ცნობილმა მეცნიერემა მიუძღვნა მრავალი კვლევა. თავის კვლევებში ისინი ცდილობდნენ აეხსნათ წიგნის სტრუქტურა, მისი სულიერი შესაძლებლობები და წიგნის ინდუსტრიის თავისებურებები. ისინი სწავლობდნენ წიგნის სემანტიკურ და ესტეტიკურ თვისებებს. ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში გამოიცა მრავალი ასეთი კვლევა: „წიგნის ხელოვნება“, „წიგნის კულტურა“, „წიგნი და კულტურა“.

წიგნის განმარტებისათვის გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: იგი განიხილება, როგორც ბიბლიოგრაფიული და სპეციფიკური სახის პროდიქტი. ბიბლიოგრაფიული მიდგომის არსებითი და ძირითადი მახასიათებელი არის „სოციალური კომუნიკაციის მეთოდი“ და კულტურული მოვლენა. იგი წარმოადგენს ინტელექტუალურ და მატერიალურ ფასეულობას, წიგნი კრებულია “ხელნაწერი ან ნაბეჭდი, რომელიც გამოხატავს ან გადმოსცემს აზრს და სიტყვას, ერთი ან მეტი ავტორისა და გამოხატავს ინტერესებს გამომცემელისა და მფლობელისა, მის შინაგან და გარეგან მხარეს როგორც ერთი მთლიანისა.”

წიგნის საყოველთაოდ მიღებული განმარტება რეალობის ასახვას, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოების განვითარებაზე, მისი იდეების გადმოცემასა და საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე. წიგნი ხდება თვითგანვითარების ელემენტი, ურთიერთდაკავშირებულ სისტემაში. წიგნი წარმოადგენს „სხვა“ ადამიანის ფიქრებს, ოცნებებს, ჩანაფიქრებს, რომლებიც ხდება ნელნელა „შენი“ ფიქრები, ოცნებები, მიმდინარეობს გაუცხოებული ცნობიერების ინდივიდუალური გზის გავლა, ეს არის, გარკვეული გზა (ფიზიკური, ქიმიური და სხვა) გარე ფაქტორებით გამაგრებული. წიგნი მოგზაურობს დროსა და სივრცეში, ის იძენს თვისებებს, ინფორმაციას, მას აქვს შინაარსი, რომელიც შეიძლება აისახოს

ადამიანის ცნობიერებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წიგნის სულიერი მხარე და შიგთავსი, წიგნზე მოთხოვნილების განსაზღვრის დადგენა შეუძლებელია იმის გარეშე რასაც ჰქვია ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, რაც კონკრეტულად ამა თუ იმ წიგნში გვევლინება.

წიგნიეფუძნებაოთხძირითადბიბლიოგრაფიულ კატეგორიას: შინაარსი, თემატიკა, სტრუქტურა, ფუნქციები.

შინაარსის განსაზღვრებაში იგულისხმება კომპლექტის ელემენტები, პროცესები, თვისებები, რომელიც ქმნის ნივთს. ყველა წიგნის თვისებაა „მრავალფენიანობა" (იქნება ეს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო, ინფორმატიული თუ სხვა), ანუ გარკვეული რიგი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრებისა. აქედან გამომდინარე, პუბლიკაციის შინაარსი ემსახურება მრავალგანზომილებიან იდეალურ მასალას, რომელიც შეიძლება იქნას შესწავლილი რაოდენობრივად (მულიტისტრუქტურულად) და ხარისხობრივად (ფორმა-შინაარსობრივად). ამ შემთხვევაში, წიგნის შემადგენლობას განსაზღვრავს მისი უნიკალურობა, როგორც კულტურული ფენომენი და გამოყენების ღირებულება, როგორც სასაქონლო თვისება. თვისებების ფორმირების ცნობილი პრინციპები არის: კონკრეტულად წიგნის თვისებები, ინდივიდუალობა და ელემენტების გამეორებადობა, უწყვეტობა და წყვეტა (თვისებების სხვადასხვა კომბინაციების დროს ელემენტების ცვალებადობა) და წიგნის წინააღმდეგობრივი ბუნება, პოტენციალი და მიმართულების ცვლილება, პირობების შესრულების ცვლილება, ელემენტების თანაფარდობა და სხვა.

წიგნი ეს არის შინაარსი, რომელის არის ადამიანის აზროვნების შემცველი, ლიტერატურული ძეგლი, მუსიკალური, სახვითი ხელოვნება, გნებავთ გრაფიკული ხელოვნება, ტექსტის საშუალებით გადმოცემული. პირობითად შეიძლება მას ვუწოდოთ შემცველი მასალის კარადა. წიგნის შიდა მოწესრიგებული სტრუქტურა საშუალებას იძლევა კითხვის დროს სტაბილური იყოს: ტექსტის სტრუქრურა, გრაფიკული სტრუქტურა, სამეცნიერო სტრუქტურა, კულტურულ-წიგნადი ფონდი.

წიგნის მრავალგანხრიანი შინაარსის სტრუქტურა, წიგნის არქიტექტონიკა, გამოცემის ტიპის სპეციფიკა, ნაწარმოების ჟანრის მახასიათებლები უზრუნველყოფს შედარებით სტაბილურობის განცდას.

წიგნის ყველაზე დამახასიათებელი ფაქტორები არის წიგნის სტუქტურა და შინაარსი. ეს არის ყველა კომპონენტის ჰარმონია, განსაკუთრებით ინვარიანტულის.

წიგნის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ წიგნი არის სოციალური ინფორმაციის მატარებელი ანუ სწორედ ეს თვისება განაპირობებს იმას, რომ წიგნს საშუალება ეძლევა ჩამოაყალიბოს მისი ისტორიული ოთხი ძირითადი ფორმა: სამუშაო, ხელნაწერი, ბეჭდური გამოცემა, ელექტრონული გამოცემა. ამასთანავე ახალი ტიპის ისტორიული ფორმები არ გამორიცხავს წინა ფორმას.

წიგნის მატერიალური და შინაარსობრივი თვისებების გამოვლინება განსაზღვრავს მის საზოგადოებრივ-სოციალურ ფუნქციებსაც: პროფესიული, ჯაჭვური პრინციპით ორიენტირებული, სოციალიზირებული, მოდელირებული, საკომუნიკაციო და კლანური-კუმულაციური. წიგნთან ურთიერთობა და მისი მოხმარება, განაპირობებს საზოგადოების ჩარევას წიგნის გამოცემის საორგანიზაციო საკითხებში, ასევე მის წარმოებასა და რეალიზაციაში.

წიგნის ბეჭდვისა და გამოცემის სისტემა მოიცავს: დაგეგმვას , ორგანიზაციას, მართვსა და კოლექტიური საქმიანობის, საზოგადოების წევრების რეგულირებას მისი ოპტიმიზაციისათვის. წიგნები ითავსებენ ასევე სოციალურ ფუნქციებსაც, მათ შორის სასწავლო, საგანმანათლებლო და ტრეინინგის ფუნქცია, რომელიც უწყვეტი პროცესია საზოგადოების იდენტობის ჩამოყალიბებისა.

წიგნი, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი გადის განვითარების იმავე ეტაპებს რა ეტაპებსაც გადის თავად კულტურა: პროკულტურა, არქიკულტურა, პეოკულტურა და პოსტ-კულტურა.

ბევრი მეცნიერი ხედავს მას, როგორც საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ელემენტს და აღნიშნავენ, რომ "თუ კულტურა წარმოადგენს ნივთიერ და არანივთიერ კოლექციას, იგი არის ობიექტური სოციალური გრძნობა -კულტურის ნაწილი, ობიექტური საკომუნიკაციო სისტემა".

საზოგადოება უზრუნველყოფს კულტურული მნიშვნელობის, სოციალურ სივრცეს და დროს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ წიგნი მთლიანობაში როგორც ობიექტური კომუნიკაციური სისტემა და მისი შემადგრენელი ელემენტები - განასახიერებენ კულტურის ურთიერთობას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში.

პროკულტურა როგორც ასეთი წიგნის კულტურას არ ქმნის, მისი განვითარების საფუძველზე იქმნება სიტყვითი ხელოვნება - ენის

ხელოვნება.

წიგნი არის ბევრად უფრო რთული, ვიდრე უბრალოდ ინფორმაციის ინსტრუმენტი. მისი შესაძლებლობები სცდება მარტივ მეცნიერულ და ინფორმაციულ ჩარჩოებს, ისინი უკავშირდება ადამიანის ყველა სულიერ შესაძლებლობებისა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. წიგნი ანხორციელებს გონებრივ კავშირს ავტორსა და მკითხველს შორის, მისი სივრცის, ნაბეჭდი ტექსტის სემიოტიკური სტრუქტურა არა მხოლოდ აკავშირებს ავტორსა და მკითხველს არამედ განაცალკევებს მათ ერთმანეთისაგან და ამასთანავე ცდილობს შეცვალოს ერთმანეთის (ავტორისა და მკითხველის) საზროვნო სივრცე. ავტორი ქმნის ტექსტს და მკითხველი -ცდილობს აღქვას იგი.

წიგნი - ეს არის უნიკალური ისტორიულად ჩამოყალიბებული დაფიქსირების, შენახვისა და გადაცემის საშუალება დროსა და სივრცეში, არა მხოლოდ ცოდისაა, არამედ საზოგადოებრივი კულტურულ ღირებულებების. წიგნი გახდა მეწარმეობის საგანი, "შევიდა" სასაქონლო ბრუნვაში, „გამოვიდა" როგორც, „სპეციალური საქონელი", საზოგადოებისათვის სასარგებლო, გამოხატული პროდუქტის შინაარსის ფორმით. როგორც გამოცემა რომელსაც გააჩინია კონკრეტული შიგთავსი და გამოცემულია სპეციალური მიზნის მისაღწევად, რომელიც გათვლილია კონკრეტული მკითხველისათვის და შესაბამისადაა გაფორმებული და მომზადებული. მხოლოდ ასეთი ურთიერთობისათვის აფასებენ მას როგორც ეკონომიკური მნიშვნელობის პროდუქტს და ასევე აფასებენ მის კონკურენტუნარიანობას: ყველაზე მიმზიდველი გარეგნობის წიგნი არის მხოლოდ გაფუჭებული ქაღალდი, თუ იგი იძლევა არასწორ და მოძველებული ინფორმაციას და არ იწვევს ინტერესს სხვადასხვა ჯგუფების მკითხველში. ამდენად, რათა ვაწარმოოთ გარკვეული ოპერაციები წიგნზე, საჭიროა ვიცოდეთ წიგნების ერთმანეთისაგან გარჩევა, საჭიროა სწორად ვაფასებდეთ წიგნის ამა თუ იმ ღირებულებებს ჩვეულებრივი მაკულატურისაგან, კარგად უნდა ვერკვეოდეთ წიგნის შინაარსში და უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის მოთხოვნილება, რომელის ამა თუ იმ წიგნმა უნდა დააკმაყოფილოს.

საქონელს როცა ვამბობთ, ყოველთვის იგულისხმება პროდუქტი რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს მომხმარებლის ესა თუ ის მოთხოვნილება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა სახისა და კატეგორიის მომხმარებლისათვის და შექმნილია რეალიზაციისათვის. ამავე დროს მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეს არის პირველადი ფუნქცია საქონლისა, ხოლო საბაზრო ასპექტი არის მეორადი ფუნქცია. რადგან მოთხოვნა იქნება მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო პროდუქციაზე რომელსაც გააჩნია ე.წ. სამომხმარებლო ღირებულება.

მთლიანობაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ადამიანური მოთხოვნილებები:

- გადაუდებელი და პირველადი ეს არის ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, ამაში შედის საკვების, წყლის, დასვენების, საცხოვრებლის, თავშესაფარის მოთხოვნილება.

-მეორე ეს არის უსაფრთხოებისა და დაცვის მოთხოვნილებები, აერთიანებს მოთხოვნილებებს, რომელთაც უნდა დაიცვან ადამიანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური საშიშროებისაგან და მისცენ მას მომავალში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშიშროება;

- მესამე არის სოციალური მოთხოვნილება, აქ იგულისხმება ვისიმე ან რისიმე კუთვნილების გრძნობა, ერთგულება და მხარდაჭერა;

- მეოთხე არის პატივისცემის მოთხოვნილებები, იგი მოიცავს როგორც საკუთარი თავის ისე გარშემომყოფთა პატივისცემას და აღიარებას; ასევე პირადი მიღწევების, კომპეტენტურობის აღიარების მოთხოვნილებებს;

- მეხუთე არის თვითგამოხატვის მოთხოვნილება, მასში შედის ადამიანის საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციისა და მისი, როგორც პიროვნების ზრდის მოთხოვნილებები.

წიგნის როგორც განსაკუთრებული სახის პროდუქტის შექმნისა და რეალიზაციის პროცესი მოდელირებულია და დაფუძნებულია შემდეგ საკითხებზე. ესენია:

1. წიგნი, როგორც განსაკუთრებული სახის საქონლი დაპირისპირებულია ჩვეულებრივი, „კლასიკური გაგებით" სხვა პროდუქტთან რომელიც იგივე ბუნებისაა რაც წიგნი და შედგება - კაპიტალისა და სამუშაო ძალისაგან;

2. გამოყოფილია წიგნის შინაგანი მახასიათებლები, როგორც "ჩვეულებრივი" პროდუქტისა:

- საქონლს გააჩნია მომხმარებლის ღირებულება (სასარგებლო) და ღირებულება;

- მომხმარებელთა ღირებულებას (სასარგებლო) და ღირებულებას შეესაბამება შრომის ორმაგი ბუნება - აბსტრაქტული ანუ ადამიანის ენერგიის ხარჯვის, მთელი სამუშაო დღის განმავლობაში და კონკრეტული მიზანშეწონილი ფორმა მისი ხარჯების სახით;

- სამუშაო კლასიფიცირდება როგორც "მარტივი" (არაკვალიფიციური) და "რთული" (კვალიფიციური); ერთ საათის განმავლობაში

"რთული" შრომა ტოლია რამდენიმე საათი "მარტივი" შრომისა, იმის შესაბამისად რა სირთულის სამუშაოა შესასრულებელი. მას უწოდებენ შრომის შემცირებას; უფრო ინტენსიური, ვიდრე საშუალოდ საზოგადოებრივი სამუშაოს რაოდენობრივი საზომი, მხედველობაში მიიღება პირობითად საათი რთული სამუშაო დრო;

- აბსტრაქტული შრომა ქმნის საქონლის ღირებულებას, ხოლო კონკრეტული შრომა - მის სამომხმარებლო ღირებულებას (სასარგებლო ღირებულება);

- წიგნის (ზოგადად საქონლის) ღირებულების საფუძველს წარმოადგენს საშუალო, სოციალური დანახარჯები ("რთული" და "მარტივი" შომის თანაფარდობის გათვალისწინებით). სწორედ ასეთმა საშუალო დანახარჯებმა მიიღო დასახელება „სოციალურად საჭირო შრომის ხარჯები";

- სოციალურად საჭირო შრომის ხარჯები და ღირებულება, ფორმულირებული წარმოების დროს და გამოვლინებული ბაზრის მექანიზმების საშუალებით, ახორციელებს ფასის ობიექტური დადგენას (აქ იგულისხმება როგორც მწარმოებლის ფასები, ისე გამსაღებლის ფასები), მხედველობაში მიიღება როგორც ცოცხალი სამუშაო ძალა ასევე უკვე ნივთებად ქცეული სამუშაო ძალა, ყველა იმ მასალის ღირებულება რომელიც გამოყენებულია პროდუქტის შესაქმნელად, კომუნალური და ინდივიდუალური დანახარჯების ჩათვლით.

- სოციალურად საჭირო შრომის ხარჯები გარდასახული სამომხმარებლო პროდუქტში, გადადის პროდუქტის ღირებულებაში უკვე მომხმარებელთა აღიარების შემდეგ, ასევე მისი სასარგებლო თვისებების გამო. მიუხედავად ამისა, პროდუქტის სამომხმარებლო ღირებულება არ უნდა შევადაროთ მომხმარებელთა რაოდენობას პირდაპირ, ასევე მის სასარგებლო თვისებებს, ეს უნდა გაკეთდეს მთლიანობაში საზოგადოების ყველა მოთხოვნების გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფასის ზრდა ნებისმიერი სახის პროდუქციაზე დამოკიდებულია, თვითონ ამ პროდუქტის აღიარებს ხარისხზე.

- სამომხმარებლო ფასების ფორმულირება დამოკიდებულია მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო სასაქონლო თვისებებზე. როგორც ეს განსაზღვრულია „განსაკუთრებული სასარგებლო კონცეფციაში" ეს ის თანხაა რასაც მომხმარებელი იხდის საქონელში „ექსტრემალურ" სიტუაციაში და არა ჩვეულებრივი სიტუაციის დროს;

- მიმწოდებელისა (მწარმოებელი) და მყიდველის (მომხმარებელი) ურთიერთშეთანხმებული მოქმედება განსაზღვრავს საბაზრო ფასის განაკვეთებს;

- საბაზრო ფასის საფუძველი, როგორც მისი ობიექტური საფუძველი, არის მისი ღირებულება. ხშირად ფასი ყოველთვის მეტია ან ნაკლებია მისი ღირებულებისა;

- საქონლის ღირებულება ურთიერთქმედების შედეგია სოციალურად საჭირო შრომის ხარჯებისა (და ღირებულების) და საზოგადოების სასარგებლოდ, სამომხმარებლო ფასების „ექსტრემალური" სიტუაციისა;

-ფასის ობიექტური განსაზღვრების საფუძველზე (სოციალურად საჭირო შრომის ხარჯები, საზოგადოებისათვის სასრგებლო ღირებულება), მოქმედებს საბაზრო მექანიზმები, მისი განმსაზღვრელი პრინციპი, რომლისაც არის ეკონომიკური კანონის ღირებულება; შესაბამისად, ამ აქტის საბაზრო მექანიზმი წარმოდგენილია, როდესაც: ა) ოდენობას განსაზღვრავს საზოგადოებისათვის „სასრგებლო" ღირებულება; ბ) წარმოების პროპორციების რეგულირება(ფორმირება) დამოკიდებულია სასქონლო განაკვეთებზე; გ) ძლიერი ეკონომიკური ზეწოლის სუბიექტების საშუალებით ხელშეწყობა, წარმოების ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანად მუშაობის მისაღწევად, ოპტიმალური ფასისა და ხარისხის შეთანხმება პროდუქციაში; დ) არაეფექტური მფლობელების გამორიცხვა; ე) კაპიტალისა და წარმოებიდან მოგების კონცენტრაცია ვიწრო სპექტრის ადამიანებში, ესენი არიან კონკურენციის შედეგად გამარჯვებული ადამიანები (ეს იწვევს მონოპოლიას, რასაც მივყავართ ეფექტიანობის შემცირებასთან და ამუხრუჭებს წარმოების განვითარებას) . ვ) ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება რომლებიც ნელნელა ხდება დესტრუქციული, მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკაში, იმისათვის რომ გადანაწილდეს შემოსავლები საზოგადოებაში; ეს უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად, რომ უკუშედეგი უარესი არ მივიღოთ.

3. ფული, განსაკუთრებული სახის ნივთები, იძულებით უკავშირდება როგორც ოქროსა და ვერცხლს, ასევე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, თავისი არსით, რომლებმაც დაკარგა პირდაპირი კავშირი ოქროსა და ვერცხლთან. როდესაც საზოგადოებაში გავრცელდა ელექტრონული ფული(ფული გახდა ორი ფორმის), იგი გახდა არა მხოლოდ ეკონომიკური შინაარსის მატარებელი, არამედ საინფორმაციო ღირებულების მატარებელიც. ტრადიციულ ფულთან მიმართებაში მისი ღირებულებაა იგივეა რაც ოქროსი (უნივერსალური)-მსყიდველობითი და საინფორმაციო, ეს ორი ასპექტი ტრადიციული ფულისა ურთიერთკავშირის პრინციპით,

პირდაპირ უზრუნველყოფს ფულის მსყიდველობითუნარიანობას.

ახალი ელექტრონული ფული, თავისი არსით და მისი საზოგადოებრივი სარგებლობა დაკავშირებულია არა მხოლოდ იმასთან რა მსყიდველობითი უნარი და ღირებულება გააჩნია ელექტრონულ ფულს არამედ იმასაც, როგორია მისი დაფარვის ზონა ბაზარზე. ამის აშკარა მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ქაღალდის ფული, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გარდამავალ ეტაპად ელექტრონულ ფულსა (ოქროსა და ვერცხლის რომელსაც აქვს ღირებულება და ფასი) და ძველ ოქროსა და ვერცხლის ფულს შორის, რომელსაც მხოლოდ ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორი ექნება.

თანამედროვე საინფორმაციო ფული მოქმედებს, ეროვნულ ვალუტაში გააჩნია გაცვლითი უნარი ერთმანეთს შორის და გარკვეული კურსი სხვა ვალუტებთან მიმართებაში, რომელიც ექვივალენტურია მეტ-ნაკლებად ქაღალდის ფულთან არსებული კურსისა. შესაბამისად გამოჩნდა ვირტუალური საქონელი, რომლის შეძენაც შეიძლება ელექტრონული ფულით, როგორც გამოკითხვებმა ცხადყო ვირტუალურ საქონელს და მათ შორის წიგნებსაც დიდი ზეგავლენა აქვს მოსახლეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kroos H.E., Gilbert C. American Business History. - Prentice-Hall
2. Якоби Ф. Продукты ABC // Предпринимательство и управление качеством малого и среднего бизнеса в книжном деле.
3. Энциклопедия книжного дела. - М.: Юрист, 1998.
4. Экономическая теория: Учебник / Под ред. И.К. Ларионова, Н.Н.Пилипенко, В.Н. Щербакова. - М.: ИТК «Дашков и К», 2005.
5. Шикунова О.Г. Теневая экономика, состояние, проблемы, способы проти-водействия. - М.: Наука, 2002.
6. Швецова-Водка Г.Н. Функциональная сущность и свойства книги // Книга: Исследования и материалы. - М., 1995.
7. Швецова-Водка Г.Н. Документ и информация в свете теории коммуника-ции // Библиография. - 1997.
8. Ханин М.Г. Социальные функции печати и личностные функции чтения // Социология и психология чтения.-М.: Книга.
9. Фрумин И.М. Библиотечное дело. Организация и управление. - М: Книга.
10. Pedersen M.P. Crooked Printers, Inflation Bedevil/ Pub¬lishers Weekly. - 1994.
11. Bertelcmann tout granit / Livres Hebdo. – 2006

Book as a particular type of product

Irma Gurashvili
St. Andrew the 1st Georgian University
of the Patriarchate of Georgia
Doctoral student
Tel. 599561552
Email: irmagurashvili@gmail.com

The article discusses the book as a special type of merchandise, characterizes its social and cultural phenomenon. Two attitudes are used towards the book phenomenon: bibliographic and the book as a specific product. The essential and main feature of the bibliographic approach is represented as a “social communication method” and a cultural event. 4 bibliographic categories of the book are discussed in detail. These are: the contents, the theme, the structure and the functions. Revelation of material and contextual features of the book define its public and social functions, as well: professional, oriented in a chain principle, socialized, modeled, communicative and clan-cumulative.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვის თავისებურებები თანამედროვე ორგანიზაციებში



თამთა ფეტელავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვის თავისებურებების გარკვევის მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა თანამედროვე ორგანიზაციების კვლევა ქართულ ბაზარზე (კვლევის პერიოდი მოიცავდა 2015 წლის 26 მაისიდან 06 ივნისამდელ პერიოდს). კვლევა ჩატარდა ელექტრონულად (google.docs-ის მეშვეობით) და მასში მონაწილეობდა 126 რესპოდენტი (ანონიმურობის დაცვით). კვლევის ძირითადი მიზანი იყო კარგად სტრუქტურიზებული კითხვარის მეშვეობით კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვის თავისებურებების დადგენა თანამედროვე ქართულ ორგანიზაციაში. როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგების განხილვისას მრავალი საინტერესო თავისებურება წარმოჩინდა, რაც კვლევაში დეტალურადაა განხილული.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვის თავისებურებების გარკვევის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა თანამედროვე ორგანიზაციების კვლევა ქართულ ბაზარზე. კვლევის პერიოდი მოიცავდა 2015 წლის 26 მაისიდან 06 ივნისამდელ პერიოდს; კვლევაში მონაწილეობდა 126 რესპოდენტი. კვლევა ჩატარდა ელექტრონულად, კერძოდ google.docs-ის მეშვეობით. დაცული იყო მონაწილეთა ანონიმურობა. კვლევის ძირითადი მიზანიიყოკარგადსტრუქტურიზებულიკითხვარის მეშვეობით კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვის თავისებურებების დადგენა თანამედროვე ქართულ ორგანიზაციაში. როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგების განხილვისას მრავალ საინტერესო თავისებურებას წავაწყდით, რომელთაც დეტალურად განვიხილავთ.



ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	24	19.5%
სახელმწიფო დაწესებულება	32	26%
კერძო ფირმა (ი/მ, შპს)	57	46.3%
არასამთავრობო ორგანიზაცია	5	4.1%
Other	5	4.1%

როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა პოზიციურად არამმართველი (დასაქმებულია), თუმცა საბედნიეროდ უმაღლესი, საშუალო და დაბალი

თავდაპირველად რესპოდენტთა დემოგრაფიული მონაცემები განვსაზღრეთ. როგორც შედეგებმა აჩვენეს, მონაწილეთა 26,4% (33 რესპოდენტი) - მამაკაცი, ხოლო უმრავლესობა 73,6% (92 რესპოდენტი) კი - ქალბატონი იყო. ამასთან, 25 წელზე ნაკლები ასაკის იყო 48% (60 რესპოდენტი), 25–30 წლამდე ასაკის 27,2% (34 რესპოდენტი), 30-45 წლამდე ასაკის 21,6% (27 რესპოდენტი), ხოლო 45 წელზე ზევით იყო რესპოდენტთა - 3,2%.

კვლევა საკმაოდ მრავალფეროვანი გამოვიდა იმ კუთხით, რომ მასში მონაწილეობას იღებდნენ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები.

თავად ორგანიზაციაში მუშაობის რგოლის მენეჯერების მონაწილეობამ გააფართოვა კვლევის საზღვრები და მისი შედეგების ანალიზი გაცილებით საინტერესო გახადა.



ხანგრძლივობას რაც შეეხება, ყველაზე მცირე 6 (ექვსი) თვე, ყველაზე ხანგრძლივი კი 36 (ოცდათექვსმეტი) წელი დაფიქსირდა. ზოგადად კი, რესპოდენტების უმეტესობის ორგანიზაციული სამუშაო გამოცდილება 6 თვიდან 3 წლამდე მერყეობს.

მოულოდნელი არა, თუმცა, უსიამოვნო რეალობა აღმოჩნდა, რომ საქართველოს ბაზარზე თანამედროვე ორგანიზაციებში კონფლიქტების უმეტესობა უშუალო ხელმძღვანელებსა და დაქვემდებარებულებს შორის ხდება (40,20% / 49 რესპოდენტი). თავისთავად, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მენეჯერებს შერჩეული აქვთ მართვის არასწორი სტილი, ვერ ახდენენ თავიანთი უფლებამოსილებების სწორად დელეგირებას, ხოლო დაქვემდებარებულებს აქვთ მცდარი წარმოდგენა რეალობაზე. ხელმძღვანელების და დაქვემდებარებულების მოლოდინები და აღქმები ერთმანეთს ცალსახად არ ედრება.

საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა კონფლიქტების ოდენობა არამმართველ (დაქვემდებარებულ) თანამშრომლებს შორისაც (37,7% / 46 რესპოდენტი). ამ დონეზე კონფლიქტების მაღალი რიცხვი შესაძლოაორგანიზაციისარაჯანსაღკორპორატიულ კულტურაზე, თითოეული დეპარტამენტისა და თანამშრომლის უფლებამოსილებების თანაკვეთისა და პასუხისმგებლობების არასწორად განსაზღვრაზე მეტყველებდეს.

ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 19,70%-მა (24 რესპოდენტი) მიიჩნია, რომ კონფლიქტი ყველაზე მეტად ხელმძღვანელებს შორის ხდება, არ ადასტურებს იმას, რომ ამგვარი კონფლიქტების სიხშირე სხვებთან შედარებით ნაკლებია. ამ მონაცემების ანალიზისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ხელმძღვანელებს შორის კონფლიქტი ხშირად შეუმჩნეველი რჩება რიგითი თანამშრომლებისთვის.



როდესაც ვსაუბრობთ კონფლიქტურ მდგომარეობაზე, მით უმეტეს მის რეგულირებაზე, ყველაზე მნიშვნელოვანია მივაკვლიოთ სწორ „ფესვებს“, კონფლიქტის წარმოშობის რეალურ მიზეზს. ხშირად კონფლიქტების უმეტესობა გადაუჭრელი რჩება სწორედ იმის გამო, რომ მისი წარმოშორის რეალური მიზეზი დაფარულია. კონფლიქტები აისბერგს ჰგავს, რომელთა მხოლოდ მწვერვალი ჩანს, სინამდვილეში კი წყლის სიღრმეებში ხილულ ნაწილზე გაცილებით დიდ მოცულობას მალავენ. კონფლიქტოლოგების და მედიატორების სამუშაოს ურთულეს ნაწილს სწორედ ამ დაფარული სიღრმეების აღმოჩენა წარმოადგენს.

ჩვენი გამოკითხვის მიხედვით, ორგანიზაციაში წარმოქმნილი კონფლიქტების ძირითადი მიზეზებია: სტრესული მდგომარეობა, პირადი შეხედულებები და რწმენა, არასაკმარისი მოტივაცია და უფლებამოსილებათა გადაჭარბება/სხვის უფლებამოსილებაში ჩარევა. ამ ჩამონათვალიდან

განსაკუთრებით გამოვყოფდი ბოლო ორს. უკვე დიდი ხანია, რაც დასაქმებულები მოტივაციის უკმარისობაზე საუბრობენ. ქართულ შრომის ბაზარზე ამ კუთხით მდგომარეობა რთულადაა. დამსაქმებლების უმრავლესობა არ ახდენს თანამშრომლებისსტიმულურებას,არამატერიალურ წახალისებას და საქმისადმი ინტერესის გაზრდის ხელშეწყობას. უფლებამოსილებათა გადაჭარბებას რაც შეეხება, სამწუხაროდ მრავალ ორგანიზაციაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული კონკრეტული პოზიციების სამუშაო აღწერილობები, შედეგად კი სწორედ სხვის უფლებამოლისებაში ჩარევას, უფლებამოსილებათა აღრევას და გადაჭარბებას ვიღებთ.



ორგანიზაციული კონფლიქტების ძირითადი მიზეზების დადგენის შემდეგ, დროა კონფლიქტის წყაროებსაცშევეხოთ.კვლევისშედეგად,შემდეგნაირ სურათს წავაწყდით: ყველაზე კრიტიკული - ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულება აღმოჩნდა (38,50% - 47 რესპოდენტი), რიგით მეორედ 37,70%-ით (46 რესპოდენტი) გაურკვეველი წესები დასახელდა. შემდეგ იყო განსხვავებულობა (28,70% - 35 რესპოდენტი), შეუთავსებადი მიზნები (24,60% - 30 რესპოდენტი), ცუდი ურთიერთობები (20,50% - 25 რესპოდენტი) და მწირი რესურსები (16,40% - 20 რესპოდენტი).

თუ კვლევის შედეგებს თანმიმდევრულად მივყვებით, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სტრესული მდგომარეობა, პირადი შეხედულებები და რწმენა არასასურველ ურთიერთდამოკიდებულებასთან და გაურკვეველ წესებთან ერთად, თანამედროვე ორგანიზაციებში კონფლიქტების მნიშვნელოვანი კერაა.

საინტერესოა ისიც, თუ როგორ ვლინდება ორგანიზაციაში კომუნიკაციის კონფლიქტზე გავლენა. არა ერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც კონფლიქტის საწყისი ინფორმაციის უზუსტობა ყოფილა, რომელიც არასაკმარისი კომუნიკაციის შედეგია. ხშირად კონფლიქტი ვერბალურ გაუგებარ ქვეტექსტებსაც მოჰყოლია. ამ კუთხით, ჩვენი კვლევის შედეგები ასე გამოიყურება:



არსებობს არა დამტკიცებული მოსაზრება, რომ რაც უფრო ახალგაზრდაა ხელმძღვანელი, მით უფრო ადვილად შედის კონფლიქტში თანამშრომლებთან. გამომდინარე აქედან, და არა მარტო, საინტერესოა რესპოდენტთა მოსაზრება. მათი უმრავლესობა თვლის, რომ ასაკს კონფლიქტის დროს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

ამასთან, ცხადია, რომ ყველა კონფლიქტი მსგავსი არ არის. თითოეული მათგანი განსხვავებულია როგორც არსით, ასევე გამოხატვის საშუალებით, ინტენსივობის მახასიათებლებით. გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ ორგანიზაციებში კონფლიქტები უმეტესად გამოიხატება მცირე უთანხმოებებსა და გაუგებრობებში. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, თანამედროვე ქართულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არსებობს კონფლიქტისას აგრესიული ფიზიკური შეტაკებების პრაქტიკა. ამას მოწმობს გამოკითხულთა 1,7% (2 რესპოდენტი). საერთო ჯამში, ორგანიზაციაში გამოკვეთილი კონფლიქტის ინტენსივობის მახასიათებლები შემდეგნაირად გამოიყურება:



კონფლიქტზე საუბრისას, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ნეგატივი. კონფლიქტს შეიძლება საკმაოდ დიდი დადებითი ეფექტი მოჰყვეს. თუმცა, ქართულ რეალობაში სამწუხაროდ ასეთი ეფექტები ძალიან მცირეა. როგორც გამოკითხულთა უმრავლესობა იუწყება, კონფლიქტების დიდი ნაწილი მათ ორგანიზაციაში დისფუნქციურია (69,2%), ე.ი ზიანს აყენებს ჯგუფის საქმიანობას და შესაბამისად, მათი საბოლოო შედეგიც მკვეთრად უარყოფითია.

როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, კონფლიქტები ქართულ ორგანიზაციებში უცხო ნამდვილად არ არის. ზემოთხსენებული რამდენინე არასასურველი აღმოჩენის მიუხედავად, სასიხარულოა ის, რომ კონფლიქტზე რეაქციისას ორგანიზაციების უმრავლესობა პრობლემის გადაწყვეტის მიდგომას იყენებენ, რაც გულისხმობს ორივე მხარისთვის სასარგებლო გამოსავლის მოძებნას (41,3% - 50 რესპოდენტი). ხშირად გამოიყენება აგრეთვე კომპრომისი, რაც ინტერესების ორ მხარეს შორის ოქროს შუალედის მოძებნას გულისხმობს (22,3% - 27 რესპოდენტი). კონფლიქტზე რეაქციის ტიპად რესპოდენტთა 14,9%-მა (18 რესპოდენტი) იძულება (ტიპიური მოგება-წაგების მიდგომა), 10,7%-10,7%-მა (13 რესპოდენტი) კი თავიდან აცილება (ყველა კონფლიქტური სიტუაციის არიდება) და დათმობა (მეორე მხარის სურვილებზე ორიენტირის აღება) დააფიქსირა.

გამომდინარე იქიდან, რომ კონფლიქტების უმეტესობა ხელმძღვანელებისთვის ცნობილი ხდება პროცესში ჩართულობიდან გამომდინარე, მათ აქვთ არჩევანი ჩაახშონ დაპირისპირება, აიყვანონ პრობლემა პირად კონტროლზე ან ინგორირება გაუკეთონ არსებულ სირთულეს. ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევისას არც თუ ისე ცუდი შედეგები გამოვლინდა, რადგანაც რესპოდენტთა უმრავლესობამ (47,5% / 57 რესპოდენტი) განაცხადა, რომ მათი ხელმძღვანელები პერსონალური კონფლიქტების თანმდევ დაპირისპირებებს ახშობენ. 37,5%-მა (45 რესპოდენტი) აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობას პრობლემები პირად კონტროლზე აჰყავს და მხოლოდ 15%-მა (18 რესპოდენტი) განაცხადა, რომ მათ ორგანიზაციებში ხდება ზემდგომების მხრიდან პრობლემების იგნორირება.

როგორც კვლევაში უკვე აღვნიშნეთ, კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი საშუალება მოლაპარაკებაა. ეს არის პროცესი, რომელშიც ორი ან მეტი მხარე შეთანხმებას აღწევს კონკრეტულ საკითხზე, მიუხედავად იმისა, რომ მათი პრიორიტეტები მოცემულ საკითხთან მიმართებით სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს. მოლაპარაკებების პროცესი არ არის ხანმოკლე და ერთჯერადი, თუმცა, ხშირად ნამდვილად შედეგის მომცემია.

რესპოდენტების 70,2% (85 რესპოდენტი) განაცხადა, რომ ორგანიზაციებში მიმართავენ კონფლიქტების მოლაპარაკებების გზით მოგვარების პრაქტიკას, ხოლო 36%-მა (41 რესპოდენტი) დაადასტურა, რომ იყენებენ მოლაპარაკებების PRAM (დაგეგმვა, მხარდაჭერა, ურთიერთობები, შეთანხმებები) მოდელს.

რაც შეეხება თავად მოლაპარაკებების მიდგომებს, ყველაზე ხშირად გამოყენებადი სიტუაციური თავისებურებების მიდგომა აღმოჩნდა (47,9% / 56 რესპოდენტი), რომელიც თითოეული სიტუაციის კონტექსტის გათვალისწინებას გულისხმობს. შემდეგ მოდის ინდივიდუალური განსხვავებები (34,2% - 40 რესპოდენტი), რაც კონფლიქტის პიროვნულ ცვლადებამდე დაყვანა და მათ საფუძველზე მოლაპარაკების პროცესის წარმართვაა. მას მოჰყვება შემეცნებითი მიდგომა, მომლაპარაკებლების მხრიდან იმის განსაზღვრა, თუ რა შემთხვევაში ტოვებს კონფლიქტის თითოეული მხარე რაციონალურობის ფარგლებს (13,7% - 16 რესპოდენტი). ყველაზე ნაკლებად გამოყენებადი კი აღმოჩნდა თამაშის თეორია, ნებისმიერი ალტერნატივის და მისი შედეგის, რიცხვითი შედეგების ამსახველი პარამეტრებით გაანალიზება (4,3% - 5 რესპოდენტი).



როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოლაპარაკებების პროცესი არ არის ხანმოკლე. მისი მიმდინარეობა მთელი რიგი ეტაპებისგან შედგება, რომლებსაც ქართულ კომპანიებში შემდეგი სიხშირით იყენებენ:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, შეთანხმებისა და პრობლემის გადაჭრის მიუხედავად, პროცესის დასრულებასა და შეთანხმების რეალურად შესრულებას საკმაოდ ცოტა ახერხებს. შესაძლოა ამის მიზეზი მოლაპარაკების პროცესზე მოქმედი მრავალი სიტუაციური ფაქტორი იყოს. რესპოდენტთა აზრით, სიტუაციური ფაქტორები შემდეგნაირი თანმიმდევრობით ახდენენ გავლენას მოლაპარაკების პროცესზე:



თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო მეტად აპრობირებული ხდება ორგანიზაციული კონფლიქტების მოგვარებაში მესამე მხარის, ე.წ ბიზნეს კონსულტანტების ჩართვა. ამგვარი გზით კონფლიქტების აღმოფხვრა წარმატებულ პრაქტიკადაა მიჩნეული. თუმცა, ქართულ რეალობაში მხოლოდ 1 (ერთი) რესპოდენტი აღმოჩნდა ისეთი, რომლის ორგანიზაციაშიც ყოფილა ბიზნეს კონსულტანტის კონფლიქტის მოგვარებაში ჩართვის პრაქტიკა. ყველაზე ხშრად, ქართულ ორგანიზაციებში კონფლიქტების მოგვარებაში ჩართული აღმოჩნდნენ კონფლიქტის მონაწილე მხარეები და მათი ხელმძღვანელები ერთად (55,7% - 68 რესპოდენტი).



კონფლიქტის მოგვარება მესამე მხარის მეშვეობით კვლევის მონაწილეთა 34,4% (42 რესპოდენტი) უცდია, თუმცა მათ მიერ გამოყენებული ინტერვენციის ტიპები საკმაოდ განსხვავებული აღმოჩნდა.

ამასთან, ყველაზე მეტად გავრცელებული აღმოჩნდა შუამავლად მესამე მხარის გამოყენების პრაქტიკა (83,3%/55 რესპოდენტი), ხოლო ყველაზე ნაკლებად გავრცელებული კი - გამოძიება (4,5% - 3 რესპოდენტი).



ასევე, როგორც გაირკვა, ქართულ ბაზარზე მოქმედ ორგანიზაციებში, კონფლიქტის მესამე მხარის მეშვეობით მოგვარების გამოცდილება თითქმის თანაბრად აღმოჩნდა წარმატებულიც (52,7%) და წარუმატებელიც (47,3%).

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კვლევის ფარგლებში რესპოდენტების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და მოცემული რჩევები იმის შესახებ, თუ რა უნდა მოიმოქმედოს ორგანიზაციამ თანამშრომლებს შორის კონფლიქტების შემცირებისთვის და კონფლიქტის სასარგებლო (კონსტრუქციული) შედეგით დასრულებისთვის. პირველი პირობის მისაღწევად, რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ხელმძღვანელობის მხრიდან საკითხის საფუძვლიანი შესწავლა, ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება, საერთო მიზანზე, სტრატეგიასა და გეგმებზე მეტი ინფორმირებულობა, ვერტიკალურ დონეებს შორის ხშირი კომუნიკაცია, თანამშრომელთა მოტივირება, კოლექტივის პროფესიული კადრებით დაკომპლექტება, უფლება-მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრა, ჯანსაღი და პროდუქტიული გარემოს შექმნა, სტრესის ფაქტორების შემცირება, სამუშაო კმაყოფილების მუდმივი მონიტორინგი და ამ თემაზე შეხვედრების ჩატარება, მეტი გუნდური აქტივობების ორგანიზება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე გამოკითხულმა კონფლიქტის არსებობა ორგანიზაციაში დადებით მოვლენად შეაფასა და ხაზი გაუსვა, რომ მისი დონის ოპტიმალურობაა საკონტროლებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის კონსტრუქციული შედეგით დასრულებისთვის აუცილებელია - პირადი კონფლიქტების აღმოფხვრა; თითოეულ კონფლიქტზე ინდივიდუალური მიდგომა; სამართლიანობის პრინციპის დაცვა; სწორი კომუნიკაცია; სტრესის ფაქტორების გავლენის შემცირება; მეტი კომუნიკაცია; მესამე მხარის მეშვეობით პრობლემის დარეგულირება და კონფლიქტის მოლაპარაკების გზით გადაჭრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1. ნინო ფარესაშვილი, კონფლიქტების მართვა, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2012წ.
2. თემურ ხომერიკი , მენეჯმენტის საფუძვლები, 2008 წ.
3. თამთა ფეტელავა, google.docs-ის მეშვეობით ჩატარებული ელექტრონული გამოკითხვის მასალები.
4. Christopher W. Moore; he Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict; Apr 21, 2014
5. John A. Wagner III & John R. Hollenbeck; Organizational Behavior, 2nd; 2014
6. McShane, Von Glinow; Organizational Behavior; Emerging knowledge and practice for the real world, fifth edition, chapter 11; 2010 year

7. Peter T. Coleman, Morton Deutsch and Eric C. Marcus; The Handbook of Conflict Resolution: Theory and Practice ; Apr 7, 2014

8. Ricky W.Griffin – Texas A&M University, Gregory Moorhead – Emeritus, Arizona State University; Organizational Behavior, managing people and organizations, 11th edition, chapter 15; 2011year

9. Stephen P. Robbins - San Diego State University, Timothy A. Judge - University of Notre Dame; Essentials of Organizational Behavior, twelfth edition, chapter 14; 2013 year

10. William K. Roche, Paul Teague and Alexander J.S. Colvin; The Oxford Handbook of Conflict Management in Organizations (Oxford Handbooks in Business and Management); 2014

Characteristic of conflicts and negotiation in the modern organizations

Tamta Fetelava
The second year master student of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University, faculty of economics and Business

In order to investigate characteristics of conflicts and negotiation, the modern organization research was conducted in the Georgian market (The research period included time period from 26 May of 2015 till 06 June). The research take place in internet space (google.docs was used) and 126 respondents took part (confidentiality maintained). The main goal of this research was to determine the characteristics of managing conflicts and negotiations in the modern Georgian organizations using well-structured questionnaire. As expected, many different aspects of interpreting the results appeared, which are discussed in details in the research.

კონკურენციის სფეროში ერთიანი პოლიტიკის უპირატესობა ვიწრო დარგობრივ რეგულაციებთან შედარებით (საქართველოს მაგალითზე)

ანა გუგუშვილი
სსიპ კონკურენციის სააგენტოს კონკურენციის
დეპარტამენტის პირველი კატეგორიის მრჩეველი

"კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 თავი განსაზღვრავს სააგეტოსა და მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობის ფორმებს. ნიშანდობლივია, რომ ამ ნაწილში სააგენტოს უფლებამოსილებები საკმაოდ შეზღუდულია, ვინაიდან სააგენტოში საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ეხება ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტს, სააგეტოს არ აქვს უფლება დაიწყოს აღნიშნულ საჩივარზე მოკვლევა და შესაბამისად გამოიტანოს სათანადო დასკვა. ასეთ შემთხვევაში, მან უნდა გადაუგზავნოს აღნიშნული საჩივარი ეკონომიკის შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს. მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამდენად მიზანშეწონილია ამგვარი პრაქტიკა სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

საჭვოა აგრეთვე, სექტორული მარეგულირებლების კომპეტენცია კონკურენციის სამართლის სფეროში, ვინაიდან კონკურენციის დარღვევის ფაქტების გამოვლენას სჭირდება სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება. გარდა ამისა, სექტორული მარეგულირებლები ვერ იქნებიან ბოლომდე მიუკერძოებლები, რადგანაც მათი შემოსავლის ძირითად წყაროს ლიცენზიანტებიდან მიღებული რეგულირების საფასური წარმოადგენს.

სხვადასხვა ქვეყანაში კონკურენციის ორგანოები და დარგობრივი მარეგულირებლები შეიძლება თანაარსებობდნენ. მათ შორის, თანამშრომლობის კუთხით ქვეყნებმა აირჩიეს განსხვავებული მიდგომები. აღნიშნული მიდგომები სტატიაში იქნება განხილული, ქვეყნების მიხედვით.

დასკვნის სახით, სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები, რომელიც, ჩემი აზრით, გაამარტივებს კონკურენციის აღსრულების პროცედურებს.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, კონკურენციის მარეგულირებელი ეროვნული ორგანო შეიძლება არსებობდეს ცალკეული დარგობრივი მარეგულირებელი კომისიების პარალელურად, მაგრამ ეს არ უნდა უშლიდეს ხელს ქვეყანაში კონკურენციის ერთიანი პოლიტიკის ეფექტიანად გატარებას. ამდენად, არ შეიძლება გამონაკლისის სახით გამოიყოს რეგულირებადი სფეროები, რომელთაც კონკურენციის კანონი არ შეეხება. აღნიშნული კანონის სრულყოფილ მოქმედებაზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილება და მთლიანობაში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

"თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონში 2014 წლის 21 მარტს შესული ცვლილებების შედეგად ამავე წლის 14 აპრილს შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, როგორც კონკურენციის სფეროში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო.

საქართველოს კანონის "კონკურენციის შესახებ" მე-6 თავი განსაზღვრავს სააგეტოსა და მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობის ფორმებს. ნიშანდობლივია, რომ ამ ნაწილში სააგენტოს უფლებამოსილებები საკმაოდ შეზღუდულია, ვინაიდან სააგენტოში საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ეხება ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტს, სააგეტოს არ აქვს უფლება დაიწყოს აღნიშნულ საჩივარზე მოკვლევა და შესაბამისად გამოიტანოს სათანადო დასკვა. მან უნდა გადაუგზავნოს აღნიშნული საჩივარი ეკონომიკის შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს. მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამდენად მიზანშეწონილია ამგვარი პრაქტიკა სხვა

ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

საეჭვოა აგრეთვე, სექტორული მარეგულირებლების კომპეტენცია კონკურენციის სამართლის სფეროში, ვინაიდან კონკურენციის დარღვევის ფაქტების გამოვლენას სჭირდება სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება. გარდა ამისა, სექტორული მარეგულირებლები ვერ იქნებიან ბოლომდე მიუკერძოებლები, რადგანაც მათი შემოსავლის ძირითად წყაროს ლიცენზიანტებიდან მიღებული რეგულირების საფასური წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედებს 2 მარეგულირებელი კომისია:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

დარგობრივი მარეგულირებლების ამოცანები

- კონკურენციის დაცვა: ანტი-კონკურენტული ქმედებებისა და შერწყმების კონტროლი;
- დაშვების რეგულირება: მნიშვნელოვან ხარჯებზე არადისკრიმინაციული დაშვების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ქსელის ინფრასტრუქტურაზე;
- ეკონომიკური რეგულირება: მონოპოლიური ფასების გასაკონტროლებლად ზომების მიღება;
- ტექნიკური რეგულირება: სტანდარტების დაწესება და მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს თავსებადობა და კონფიდენციალურობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი საკითხები.

UNCTAD-ის კვლევის შედეგად, როგორც ჩანს, ლოგიკურია დარგობრივი მარეგულირებლები შეიზღუდონ ეკონომიკური და ტექნიკური რეგულირებით, ხოლო კონკურენციის დაცვისა და დაშვების რეგულირების პრეროგატივა მიენიჭოს კონკურენციის ორგანოს.

ცალკეული ქვეყნების გამოცდილების ანალიზი

სხვადასხვა ქვეყანაში კონკურენციის ორგანოები და დარგობრივი მარეგულირებლები შეიძლება თანაარსებობდნენ. მათ შორის, თანამშრომლობის კუთხით ქვეყნებმა აირჩიეს განსხვავებული მიდგომები (იხ. ცხრილი 1), რომლებიც ზოგადად შეიძლება 5 განსხვავებული მოდელის სახით იქნას წარმოდგენილი:

I. ტექნიკური და ეკონომიკური რეგულირების ფუნქციების თავმოყრა მარეგულირებლებთან და კონკურენციის საკითხების აღსრულების კომპეტენციის, ექსკლუზიურად, კონკურენციის ორგანოსთვის მინიჭება;

II. ტექნიკური და ეკონომიკური რეგულირების ფუნქციების თავმოყრა მარეგულირებლებთან და მათთვის კონკურენციის საკითხების აღსრულების სრული ან ნაწილი ფუნქციების მინიჭება;

III. ტექნიკური და ეკონომიკური რეგულირების ფუნქციების თავმოყრა მარეგულირებლებთან და მათთვის კონკურენციის საკითხების აღსრულების ფუნქციების მინიჭება, კონკურენციის ორგანოსთან კოორდინირებით;

IV. ტექნიკური რეგულირების ფუნქციის, როგორც ცალკე მდგომი ფუნქციის, მინიჭება მარეგულირებლებისთვის, ხოლო ეკონომიკური რეგულირების ფუნქციის მინიჭება კონკურენციის ორგანოსთვის;

V. კონკურენციის საკითხების აღსრულების ფუნქციის მინიჭება მხოლოდ კონკურენციის ორგანოსთვის.

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს კონკურენციის სააგენტოსა და მარეგულირებლებს შორის იდეალური თანამშრომლობის რაიმე სტანდარტული ფორმა. ეს გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთა შორისაა სოციალურ – ეკონომიკური თუ სამართლებრივი სისტემა, ასევე რეგულირებადი სექტორის თავისებურებანი, რამაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში ერთზე მეტი მიდგომის დამკვიდრება. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ თუ ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაში კონკრეტული მოდელი კარგად მუშაობს, აღნიშნული პრაქტიკა საქართველოშიც აუცილებლად გაამართლებს.

ცხრილი 1.

ქვეყნების მიდგომები დარგობრივ მარეგულირებლებსა და კონკურენციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის კუთხით

ქვეყანა	მოდელი	კომენტარი
ავსტრალია (ACCC)	IV, V	ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კომისიის (ACCC) მარეგულირებლის ფუნქცია მოიცავს წვდომის რეგულირებას, კომუნალურ მომსახურებაზე ფასების რეგულირებასა და სხვა რეგულირების ფუნქციას. ავსტრალია უპირატესობას ანიჭებს ერთიან რეგულირებას, ცალკეულ ინდუსტრიულ რეგულირებასთან შედარებით, სადაც არსებობენ დარგობრივი მარეგულირებლები. მათ აქვთ ტექნიკური და ეკონომიკური რეგულირების პასუხისმგებლობა და მჭიდროდ თანამშრომლობენ ACCC-თან.
ბრაზილია	I	მარეგულირებლები სრულად იყენებენ კონკურენციის კანონს, კონკურენციის ორგანო კი აღასრულებს მას, მარეგულირებლებთან თანამშრომლობით.
კანადა	II, III	არ არსებობს იურისდიქციის ფორმალური გამიჯვნა. კანონით განსაზღვრული სფეროების შესაძლო ან აშკარა კონფლიქტები გვარდება "რეგულირებადი ქცევის" დოქტრინის მეშვეობით. მეორე მიდგომაა მარეგულირებლებსა და კონკურენციის ორგანოს შორის მემორანდუმის გაფორმება, რომელიც ეფექტიანად ადგენს მათ შესაბამის ფუნქციებს. თუმცა, კანადის რადიოსა და ტელევიზიის კომისიასთან მემორანდუმის გაფორმებამ გრძელვადიან პერსპექტივაში არ გაამართლა.
ინდონეზია	I, III	ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო - Badan Regulasi Telekomunikasi (BRTI), არეგულირებს მომსახურების ხარისხის სტანდარტებს, ლიცენზიებს, ერთიერთდამოკიდებულ ხარჯებსა და სექტორში კონკურენციას. რაც შეეხება კონკურენციის ორგანოს, მას აქვს საადვოკადო მანდატი, რომლის საფუძველზეც იძლევა რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს იმ დარგობრივ რეგულაციებზე, რომლებიც კონკურენციასთან არის კავშირში (სხვა დარგების ჩათვლით (მაგ. საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტი, ფარმაცევტული ინდუსტრია).
ახალი ზელანდია	V	ახალ ზელანდიას აქვს მსუბუქი ("light-handed") რეგულირების პოლიტიკა და ეყრდნობა კონკურენციის ზოგად კანონს.
აშშ	I, II	დარგობრივ მარეგულირებლებს არ აქვთ ფორმალური ანტიმონოპოლიური აღსრულების ფუნქცია. თუმცა, მათი მანდატი ზოგიერთ სექტორში კონკურენციის ორგანოს კომპეტენციას სცილდება, რაც იწვევს გადაფარვას. ასეთ შემთხვევაში, კონგრესი იღებს გადაწყვეტილებას თითოეული საქმიდან გამომდინარე. ხოლო კონკურენციის ორგანოს აქვს საადვოკატო ფუნქცია.

აღსანიშნავია, რომ მარეგულირებლებსა და კონკურენციის ორგანოს შორის საერთო მიზნების მიუხედავად, განსხვავებული საკანონმდებლო მანდატის ქონის გამო, მათ აქვთ განსხვავებული დამოკიდებულება კონკურენციის საკითხების მიმართ. კონკურენციის კანონები განუმარტავს ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს რა არ უნდა გააკეთონ, ხოლო დარგობრივი მარეგულირებლები უხსნიან მათ, თუ რა უნდა გააკეთონ. მომხმარებელთა გაერთიანება და ნდობის საზოგადოების (CUTS - Consumer Unity & Trust Society) სტატიის მიხედვით, კონკურენციის საკითხებზე მიდგომების განსხვავებულობამ შეიძლება სხვადასხვანაირი შედეგი გამოიღოს, ასევე სავსებით სავარაუდოა, რომ მან გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტების დაბნეულობა.

CUTS-ის იმავე სტატიიდან დასტურდება, რომ კონკურენციის აღსრულებისთვის საუკეთესო უწყება მხოლოდ კონკურენციის ეროვნული ორგანო შეიძლება იყოს. როგორც წესი, კონკურენციის კანონმდებლობა ეხება ეკონომიკის ყველა სექტორს და მისი აღსრულება უნდა ხდებოდეს ასევე იმ სექტორებზეც, რომლებსაც, დარგობრივი მარეგულირებლები არეგულირებენ. აქედან გამომდინარე, სასურველია ზოგადი მიდგომის არსებობა ქვეყანაში და არა სექტორულად დაყოფილისა.

ტექნიკურ რეგულაციებს აქვთ ეხ ანტე მიდგომა, ხოლო კონკურენციის აღსრულებას – ეხ პოსტ (შერწყმების ანალიზის გარდა). უფრო მეტიც, ტექნიკური რეგულირება არის ზოგადად სტრუქტურული საკითხი, მაშინ როდესაც კონკურენციის აღსრულება კვალიფიცირდება, როგორც ქცევითი საკითხი. შესაბამისად, ლოგიკურია ქცევით და ეხ პოსტ საკითხებზე პასუხისმგებლობა დაეკისროს კონკურენციის ორგანოს, ხოლო სტრუქტურული და ეხ ანტე საკითხები – დარგობრივ მარეგულირებლებს.

ზემოაღნიშნული CUTS-ის სტატიიდან ასევე დასტურდება, რომ წარმოების ტექნოლოგიების სპეციფიკაცია, ლიცენზიების გაცემა, გაყიდვების პირობებისა და ბაზრის ქცევის განსაზღვრა პირდაპირ კავშირშია კონკურენციასთან.

ამასთან აღსანიშნავია, რომ არსებობს პარალელური იურისდიქციის პრაქტიკაც, მაგალითად დიდ ბრიტანეთში, სადაც, როგორც კონკურენციის ორგანოს, ისე დარგობრივ მარეგულირებლებს აქვთ მანდატი რეგულირების საკითხებში. 1998 წლის კონკურენციის აქტმა მისცა პარალელური უფლებამოსილება "სამართლიანი ვაჭრობის ოფისს" (OFT)-სა და დარგობრივ მარეგულირებლებს, რათა აღესრულებინათ ანტი-კონკურენციული შეთანხმებებისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დებულებები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინგლისელმა ექსპერტმა, Paolo Palmigiano-m, რომელიც 10 წლის განმავლობაში გახლდათ რიტისჰ თელეცომს-ის უფროსი, პირადი ინტერვიუს დროს, აღნიშნა პარალელური პრაქტიკის დადებითი მხარე. ის მდგომარეობს იმაში, რომ ექსპერტებს აქვთ სექტორში კარგი გამოცდილება და შესაბამისად უკეთ აგვარებენ კონკურენციის პრობლემებს. ექსპერტმა ისაუბრა ასევე პარალელური პრაქტიკის უარყოფით მხარეებზეც და აღნიშნულ პრაქტიკას შემდეგი მიზეზების გამო ეწინააღმდეგება:

- დარგობრივ რეგულირებას აქვს უფრო მეტი უფლებამოსილება, ვიდრე კონკურენციის კანონმდებლობას:

ა) დარგობრივ მარეგულირებლებს რეგულირება საშუალებას აძლევს კომპანიებთან მოაგვარონ საკითხები უფრო სწრაფად გამოძიების საფუძველზე. წესით, პირველ რიგში, ისინი კონკურენციის კანონმდებლობას უნდა მიმართავდნენ, მაგრამ პრაქტიკაში ასე არ ხდება, ვინაიდან, კონკურენციის კანონის საფუძველზე დაწყებული გამოძიება დიდხანს გრძელდება, მარეგულირებელ ორგანოს კი სურს სწრაფი გადაწყვეტილების მიღება;

ბ) დარგობრივ მარეგულირებლებს საკუთარი კანონმდებლობით ხელმძღვანელობა უმარტივდებათ, ვინაიდან კონკურენციის კანონმდებლობისა და შესაძლო მაღალი ჯარიმების გამოყენების შედეგად, კომპანიები თავდაცვით რეჟიმში გადადიან და საკითხი შესაძლოა გახდეს დავის საგანი.

- ყველა მარეგულირებელ ორგანოში კონკურენციის ჯგუფების შექმნა ზრდის ხარჯებს;

- სერიოზული საშიშროებაა იმ კუთხით, რომ სხვადასხვა პარალელური მარეგულირებლების მხრიდან არსებობს კონკურენციის კანონმდებლობის მიმართ სხვადასხვა მიდგომა. მართალია, დიდ ბრიტანეთში არის ერთი სასამართლო, რომელიც მოქმედებს, როგორც საბოლოო არბიტრი, მაგრამ ამასობაში დრო და ფული იხარჯება ზედმეტად;

- დარგობრივ მარეგულირებელ ორგანოებში კონკურენციის ექსპერტების კვალიფიკაციის დონე ძალზე ცვალებადია (თანაბრად მაღალკვალიფიციური კადრები არ არიან ყველა მარეგულირებელ ორგანოში);

- რეგულატორებს კონკურენციის ეროვნული ინსტიტუტების იურისტებისგან გასხვავებული მენტალიტეტი აქვთ და შესაბამისად შესაძლოა სხვადასხვა სახის დასკვნა გამოიტანონ ერთსა

და იმავე საკითხზე;

- თითოეულ მარეგულირებელს აქვს განსხვავებული პროცედურული წესები: მაგალითისთვის, ზოგი ზეპირი მოსმენის დროს დაუშვებს მესამე პირს, ხოლო სხვანი – არა. კიდევ ერთხელ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის განსხვავებები ერთიანი სისტემის დროს არ იქნებოდა.

- მარეგულირებლებსა და იმ კომპანიებს შორის, რომელთაც ისინი არეგულირებენ არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საკმაოდ ნეგატიური შედეგი, ვინაიდან მარეგულირებლები ცდილობენ უფრო მეტად მოაგვარონ პრობლემები კომპანიებთან კონკურენციის კანონმდებლობის გამოყენების გარეშე.

ბრიტანელი ექსპერტის თქმით, მისი მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, უკეთესია კონკურენციის მთავარ ორგანოს ჰქონდეს ყველა საკითხზე ოპერირების შესაძლებლობა, ხოლო რეგულირებად სფეროში ამა თუ იმ საკითხის შესწავლის პროცესში, კონკურენციის ორგანომ სასურველია დაიხმაროს რეგულირებადი სფეროს წამყვანი ექსპერტები.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, დაახლოებით იგივე მოსაზრება აქვს ლიტველ ექსპერტსაც, ბ.ნ. შარუნას პაიარსკას. ბ.ნ. შარუნასი ძალიან კარგად იცნობს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობას, ვინაიდან კონკურენციის სააგენტოს შექმნის დღიდან აქტიურად იყო ჩართული ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში, ასევე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოწვეული გახლდათ სააგენტოში ექსპერტული დახმარებისა და საკუთარი გამოცდილების გაზიარების კუთხით. პაიარსკამ ჩემთან პირადი ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კონკურენციის შემზღუდველი საკითხები უნდა გადაწყვიტოს კონკურენციის სააგენტომ. თუმცა, ქსელზე ხელმისაწვდომობა, რომელიც, როგორც წესი, დარგობრივი მარეგულირებლების კომპეტენციაა, უნდა აღსრულდეს მარეგულირებლების მიერ (ლიტვის პრაქტიკა). ლიტვაში ორი დარგობრივი მარეგულირებელია: ენერგეტიკისა და ფასის კონტროლის ეროვნული კომისია და კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო.

ლიტველმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოსნაირ ქვეყანაში არ არის სასურველი დარგობრივ მარეგულირებლებსა და სააგეტონს შორის თანამშრომლობა იმ სახით არსებობდეს, როგორიც კანონის მე-6 თავით არის განსაზღვული. ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ გაუგებარია დარგობრივი მარეგულირებლები თუ როგორ გადაწყვეტენ კონკურენციის შემზღუდველ საკითხებს, რომელ კანონს გამოიყენებენ. მეორე მიზეზი კი არის მარეგულირებლების კომპეტენციაში ეჭვის შეტანა. ექსპერტის აზრით, დარგობრივი მარეგულირებლები არ არიან კომპეტენტურნი კონკურენციის საკითხებში და ვერ გამოიყენებენ კონკურენციის კანონის პრინციპებს ეფექტურად და მათ გაუჭირდებათ კონკურენციის დამრღვევი ფაქტების გამოვლენა. ყველაფერ ამას სჭირდება სპეციალური ცოდნა და გამოცდილება, რომელიც შეიძლება მხოლოდ კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებს გააჩნდეთ.

ლიტველმა ექსპერტმა მოიყვანა ასევე ესტონეთის მაგალითი, რომელიც პატარა ქვეყანაა, სადაც დარგობრივი მარეგულირებლები და კონკურენციის სააგენტო გაერთიანებულნი არიან. ესტონელები ამტკიცებენ, რომ მათი პატარა ქვეყნისთვის ასეთი მიდგომა უფრო ეფექტურია.

ბატონი შარუნასი საკუთარი გამოცდილებიდან და საქართველოში არსებული სიტუაციის კარგად ცნობიდან გამომდინარე, ფიქრობს, რომ პატარა ქვეყანაში უფრო ეფექტურია ერთი ორგანოს არსებობა, რომელიც კონკურენციის შემზღუდველ ქმედებებს აღკვეთს ყველა სექტორში, რომელიც, საქართველოს შემთხვევაში, იქნება კონკურენციის სააგენტო.

მოკლედ მიმოვიხილოთ ასევე სხვა ქვეყნების პრაქტიკაც.

ესპანეთი

აღსანიშნავია, რომ ესპანეთში შემდეგი 7 მარეგულირებელი გაერთიანდა ერთ ორგანოდ, რომელსაც საბოლოოდ დაერქვა – ბაზრებისა და ეროვნული კონკურენციის კომისია:

- ენერგეტიკის ეროვნული კომისია;
- სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომისია;
- საფოსტო სექტორის ეროვნული კომისია;
- აზარტული თამაშების ეროვნული კომისია;
- აეროპორტის ეკონომიკური მარეგულირებელი კომისია;
- აუდიო – ვიზუალური მედია საბჭო;
- რკინიგზის მარეგულირებელი კომიტეტი.

ესპანელი კოლეგების განმარტებით, კონკურენციისა და დარგობრივი მარეგულირებლების გაერთიანება რეგულირებად სექტორებში კონკურენციის განვითარების ბუნებრივი პასუხია. აღნიშნულ სექტორებში კონკურენციის ხელშეწყობა ვერ ხორციელდება ბუნებრივი მონოპოლიების შეხედულებების გამო.

რაც შეეხება ორგანოს შიდა სამუშაოს, მარეგულირებლებისა და კონკურენციის თანამშრომ-

ლები ქმნიან სამუშაო ჯგუფებს. ყოველ კვირას არის ორი შეხვედრა, ერთი კონკურენციის, ხოლო მეორე - მარეგულირებლების სამუშაო ჯგუფების. საჭიროების შემთხვევაში, ორივე ჯგუფის ყველა წევრი ერთად იკრიბება და ერთობლივად განიხილავენ გარკვეულ პრობლემებს.

ჰოლანდია

2013 წლის 1 აპრილს გაერთიანდა ჰოლანდიის სამომხმარებლო ორგანო, ჰოლანდიის კონკურენციის ორგანო (NMA), ჰოლანდიის ფოსტის მარეგულირებელი და ტელეკომუნიკაციების ორგანო (OPTA), რომელთაც შექმნეს ახალი მარეგულირებელი – ჰოლანდიის მომხმარებელთა და ბაზრების ორგანო (ACM - Authority for Consumers and Markets). ACM გახლავთ დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც თანაბრად ზრუნავს როგორც მომხმარებლებზე, ისე ბიზნესზე.

2014 წლის OECD-ის დოკუმენტში,"ინსტიტუციური დიზაინის ცვლილებები", განხილულია მარეგულირებლებსა და კონკურენციის ორგანოებს შორის ინტეგრაციის საკითხები. დოკუმენტში ჰოლანდიის კონკურენციის ორგანოს წარმომადგენელი აანალიზებს ამ ქვეყნის პრაქტიკას. მიუხედავად 18 თვიანი გამოცდილებისა, ორგანო ცდილობს წარმატებით შეითავსოს ყველა ის ფუნქცია, რაც გაერთიანების შემდეგ დაეკისრა. ხელისუფლებამ შეიმუშავა ერთიანი სტრატეგია საერთო მიზნის მისაღწევად: გაზარდოს მომხმარებლის კეთილდღეობა, რისთვისაც ორგანო, ბაზრის პრობლემების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, მიმართავს არასტანდარტულ ინტერვენციებს. ხშირად, ანალიზის პროცესში ორგანო აღმოაჩენს როგორც კონკურენციისა და მომხმარებელთა, ასევე კონკურენციისა და რეგულირების პრობლემებს. აქედან გამომდინარე, მრავალფუნქციურობა საშუალებას აძლევს კონკურენციის ორგანოს, რომ უპასუხოს შესაბამის გამოწვევას. ამ თვალსაზრისით, მრავალფუნქციურობა შეიძლება წამყვან ელემენტად ჩაითვალოს, რომელიც არ არის ორიენტირებული რაიმე კონკრეტულ საკითხზე, არამედ ბაზრის მთლიან პრობლემებზე. ხოლო, ეს არის ის, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვანია.

ახალი ზელანდია

აღსანიშნავია, რომ 1986 კონკურენციის ორგანოს ჰქონდა კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის ფუნქცია, მაშინ როდესაც მარეგულირებლების ფუნქცია დროთა განმავლობაში დაემატა მას. მაგალითად, 2001 წელს ორგანო არეგულირებდა რძის პროდუქტებისა და ტელეკომუნიკაციების ბაზრებს. ცოტა ხნის წინ მას დაემატა ასევე გაზის, ელექტროენერგიის ხაზებისა და მილსადენების ფასების რეგულირება.

OECD-ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში ზოგადი კონსენსუსია კონკურენციის ორგანოსა და მომხმარებელთა უფლებებისა და კონკურენციისა და მარეგულირებლების გაერთიანების თაობაზე. ითვლება, რომ მარეგულირებლებისა და კონკურენციის ორგანოს გაერთიანება ზრდის სხვადასხვა მრეწველობების რეგულირების კავშირს და საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას ეკონომიკური მიზნები. არსებობს ასევე მნიშვნელოვანი ფუნქციონალური სარგებელი, ვინაიდან სხვადასხვა ინდუსტრიებს აქვთ განსხვავებული საქმიანობის სფერო, რაც საშუალებას აძლევს ორგანოს იყოლიოს მრავალმხივ კვალიფიცირებული თანამშრომლები, რომლებიც თავისუფლად იმუშავებენ განსხვავებულ დარგობრივ რეგულირებად სფეროში.

ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ მარეგულირებლებისა და კონკურენციის ორგანოს გაერთიანებას დიდი სარგებელი აქვს პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის.

დასკვნა

სექტორულ მარეგულირებლებთან ურთიერთობის უცხოური გამოცდილების გაცნობის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს რამდენიმე სახის დაბრკოლება, რაც ხელს უშლის ქვეყანას დაიცვას საერთაშორისო სტანდარტები.

ჩემს მიერ მომზადებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ექსპერტთა უმრავლესობა მიემხრო იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს უნდა მიენიჭოს რეგულირებად სფეროში ოპერირების შესაძლებლობა და ისინი აღნიშნავენ, რომ კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლები უფრო კომპეტენტურნი არიან კონკურენციის სფეროში, ვიდრე მარეგულირებლებისა.

აუცილებელია სააგენტოსა და მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობის ფორმატის დახვეწა და კონკურენციის სააგენტოსთვის უფლებამოსილებების გაზრდა; კერძოდ: კონკურენციის სააგენტოსთვის სრული უფლებამოსილების მინიჭება რეგულირებად სფეროებში კონკურენციის დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან კონკურენციის კანონმდებლობის სრული გამოყენება ან მარეგულირებლებთან ისეთი მემორანდუმის გაფორმება, რომელიც მარეგულირებლებს დააკისრებს

ვალდებულებას, ყველა საკითხი, რომელიც უშუალოდ კონკურენციასეხება, სააგენტოსთან თანამშრომლობით გადაწყვიტოს.

რაც შეეხება მარეგულირებელ ორგანოებს:

• უნდა შეიცვალოს მარეგულირებლების დაფინანსების არსებული მოდელი. შესაძლებელია მარეგულირებლის დაფინანსების კომბინირებული მოდელის შემუშავება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებასაც ითვალისწინებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, ნორმატიული აქტით უნდა იყოს დადგენილი ფორმულა, რომლის მიხედვითაც მოხდება თანხების დაანგარიშება. აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად შეამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას;

• მარეგულირებელი კომისიები და კონკურენციის სამსახური უნდა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს, როგორც ერთი ინსტიტუტი, თუნდაც ესტონეთის მსგავსად;

• უნდა გაძლიერდეს კონკურენციის სააგენტოს ფუნქციები რეგულირებად სექტორებში, რის გარეშეც გართულდება ქვეყანაში სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვა;

• აუცილებელია, რომ კონკურენციის ჩარჩო კანონი მოიცავდეს ეკონომიკის ყველა რგოლს, მათ შორის, ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეიმურაზ მურღულია "ფინანსური სექტორი, საქართველოს ეროვნული ბანკი და კონკურენციის გაუმჯობესების ღონისძიებები". "კონკურენციის პოლიტიკა და ბაზრის რეგულირების პრაქტიკა". ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი. თბილისი 2012 წ. გვ. 121.

2. სლავა ფეტელავა, "კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური პრაქტიკა საქართველოში", თბილისი 2007 წ. გვ. 13. გვ. 15-16. გვ. 18. გვ. 27-28.

3. ქეთევან ლაფაჩი, "კონკურენციის პოლიტიკა და დარგობრივი რეგულირება საქართველოში", თბილისი 2012, გვ. 17. გვ. 20.

4. ჩემს მიერ მომზადებული გამოკითხვა, სადაც აღწერილი იყო ქართული პრაქტიკა, თუ როგორ ფუნქციონირებს კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობა (საქართველოს კანონის "კონკურენციის შესახებ" მე-6 თავი), რომელში მონაწილეობაც მიიღეს შესაბამისი დარგის როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა ექსპერტებმა.

5. Adapted from OECD, Relationship between regulators and competition authorities, 1999. DAFFE/CLP (99)8.

6. CUTS – Competition Authorities and sector regulators: What is the best operational frameworks? Ocotber 2, 2008. pg.1 – 2.

7. Directorate for financial and enterprise affairs competition committee. Summary record of the 122nd meeting of the competition committee held on 17 – 18 December 2014 -- Summary Record of the Roundtable on Changes in Institutional Design – pg. 10.

8. OECD, Relationship between regulators and competition authorities, 1999. DAFFE/CLP (99)8.

9. Smith W. & Gray, R. Regulatory Institutions for Utilities and Competition. Draft Technical Paper, World Bank, 1996.

10. S. Jacobs. The Golden Age of Regulation. The Internet Journal of the CEPMLP, Dundee, 2000.

11. UNCTAD – Fifth United Nations Conference to review all aspects of the set of multilaterally agreed equitable principles and rules for the control of restrictive business practices, Antalya, Turkey, 14–18 November 2005 Item 6(a) of the provisional agenda. pg. 3. pg. 5-7.

12. Робинсон Дж. "Экономическая теория несовершенной конкуренции", М. "Прогресс", 1986, с. 253.

13. http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=62, ukanasknelad iqna gadamowmebuli 01.09.2015.

14. https://matsne.gov.ge/ka/document/view/14062?publication=17, ukanasknelad iqna gadamowmebuli 01.09.2015.

15. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nbglow/2014/nbg_law.pdf, ukanasknelad iqna gadamowmebuli 01.09.2015.

16. https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/Riigikogu/act/511072014007/consolide, ukanasknelad iqna gadamowmebuli 01.09.2015.

17. http://www.consumer.ee/eng/, ukanasknelad iqna gadamowmebuli 01.09.2015.

18. https://www.president.gov.ge/ge/PressOffice/News?9719, ukanasknelad iqna gadamowmebuli 01.09.2015.

The advantage of single policy of Competition over the sectoral regulations

(Example of Georgia)

Ana Gugushvili
LEPL Competition Agency
First Category adviser of Competition Department

Chapter VI of Georgian Law on Competition defines the forms of cooperation between the Competition Agency and the sector regulators. It is noteworthy that in this part the Agency's power is quite limited, as in case of the complaints submitted to the Agency, which relates to the possible violation of the competition in sector regulated sector, the Agency has no right to initiate the investigation and consequently make a decision on it. In this case, the Agency has to send the following complaint to the relevant sector regulator. It is important to discuss whether such practice is recommended considering other countries' experiences.

Also sectoral regulators are unlikely competent in the field of Competition Law, as a detection of competition violations requires specific skills and experience. In addition, the sectoral regulators cannot be completely impartial, as their income is mainly provided from the regulatory fee of the licensees.

Competition authorities and sectoral regulators in different countries can co-exist. In terms of cooperation countries have chosen different approaches. Mentioned approaches will be discussed in the article, according to the countries.

In conclusion, the article contains recommendations that, in my opinion, will simplify the procedures for enforcing competition.

სუბსიდიები და მათი როლი თანამედროვე მსოფლიოში

ალექსანდრე მაისურაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და
ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი
ტელ: 593 20 80 92
alexanderthegreat19957@gmail.com

სუბსიდიების როლი თანამედროვე მსოფლიოში ძალიან დიდია. სუბსიდიები მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინსტრუმენტია, რომელიც ზოგჯერ ძალიან განსხვავებულ სიტუაციებში გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ინფორმაცია მათ შესახებ საკმაოდ მწირი და გაფანტულია. მოცემული სტატია ატარებს შემეცნებით ხასიათს და მასში განხილულია სუბსიდიების შესახებ არსებული მოსაზრებები, სხვადასხვა საკამათო აზრი, მოყვანილია საჭირო განმარტებები და განხილულია სუბსიდიების გამოყენების მაგალითები, შედეგები, უარყოფითი და დადებითი მხარეები. ასევე განხილულია სუბსიდიების გამოყენების სფეროები მსოფლიოს მასშტაბით.

სუბსიდიების როლი თანამედროვე მსოფლიოში ძალიან დიდია. სუბსიდიები მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინსტრუმენტია, რომელიც ზოგჯერ ძალიან განსხვავებულ სიტუაციებში გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ინფორმაცია მათ შესახებ საკმაოდ მწირი და გაფანტულია. მოცემული სტატია ატარებს შემეცნებით ხასიათს და მასში განხილულია სუბსიდიების შესახებ არსებული მოსაზრებები, სხვადასხვა საკამათო აზრი, მოყვანილია საჭირო განმარტებები და განხილულია სუბსიდიების გამოყენების მაგალითები, შედეგები, უარყოფითი და დადებითი მხარეები. ასევე განხილულია სუბსიდიების გამოყენების სფეროები მსოფლიოს მასშტაბით.

ეკონომიკა სპეციფიკური მეცნიერებაა. ზუსტი მეცნიერებებისაგან განსხვავებით, სადაც წარმოუდგენელია ერთსა და იმავე ცნებაზე ორი არაექვივალენტური განმარტების არსებობა, ეკონომიკაში ეს შესაძლებელია. უფრო მეტიც, შეიძლება ვთქვათ, რომ ეკონომიკური განმარტებებიდან, იდეებიდან ან მეთოდებიდან არ არსებობს ისეთი, რომლის საფუძვლიანი კრიტიკა ან ალტერნატიული ვარიანტები არ არსებობდეს. ხშირია განსხვავებული განმარტებების არსებობა ან სხვადასხვა მეთოდების გამოყენება. მაგალითად მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლის სამი განსხვავებული მეთოდოლოგია არსებობს, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ შედეგს გვაძლევს. გამონაკლისს არც სუბსიდიის ცნება წარმოადგენს. აქაც განსხვავებული განმარტებები, სუბსიდიების სახეები და გამოყენების შედეგები გვაქვს.

თავდაპირველად, დავფიქრდეთ იმაზე, თუ რატომ არის ჩვეულებრივი მოქალაქისთვის საჭირო სუბსიდიების შესახებ ინფორმაციის ფლობა. ბოლოს და ბოლოს, სუბსიდიები ხომ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება? მათი დახმარებით მრავალი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება. არსებობს სუბსიდიები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ნიჭიერ ახალგაზრდებს განათლება მიიღონ წამყვან უნივერსიტეტებში; ზოგიერთი სუბსიდია კი ხელს უწყობს სხვადასხვა აუცილებელ მეცნიერულ გამოკვლევას, მაგალითად, ვაქცინებისა და ანტიბიოტიკების გამოგონების ხელშემწყობი სუბსიდიები. ყოველივე ეს კარგია და აუცილებელიც კი, მაგრამ აქ ვაწყდებით ერთ გავრცელებულ პრობლემას: რესურსების შეზღუდულობას. კერძოდ კი, ნებისმიერ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ სახელმწიფოს ფულადი რესურსები შეზღუდულია, ამიტომ ყოველი გადაწყვეტილება დაკავშირებული ამ რესურსების განსხვავებული კომბინაციით გამოყენებასთან უნდა იქნეს გადამოწმებული და განხილული. სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ რესურსები იხარჯება საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის და არა პირადი ინტერესების განხორციელებისთვის. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რა არის სუბსიდიები- სახელმწიფო ხარჯების ეს საკმაოდ დიდი და ხშირად მწვავე დისკუსიების გამომწვევი ნაწილი. კიდევ ერთი მიზეზი სუბსიდიების მნიშვნელოვნებისა არის ის, რომ მათ შეუძლიათ გრძელვადიანი და ღრმა შედეგები იქონიონ ეკონომიკაზე. საქმე ეხება შემოსავლების განაწილებას ეკონომიკაში, საგარეო

ვაჭრობის პირობებს, მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობას. გარდა ამისა, სუბსიდიების მნიშვნელოვნება გამომდინარეობს მათი დიდი პოლიტიკური როლიდანაც თანამედროვე მსოფლიოში.

სიტყვა „სუბსიდია" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „subsidium", რომელიც ნიშნავს თანადგომას, დახმარებას, გვერდში დგომას, დაცვას. შუა საუკუნეების ევროპაში სუბსიდიის ქვეშ იგულისხმებოდა გადასახადი, რომელსაც ქვეშევრდომები უხდიდნენ მეფეებს. დღეს კი, როდესაც ადამიანებს ესმით სუბსიდიების შესახებ, პირველი ალბათ რაც მათ ახსენდებათ, არის გარკვეული გადასახადი (გრანტი), რომელსაც სახელმწიფო უხდის კონკრეტულ ადამიანს ან რომელიმე კომპანიას. მართალია, მრავალი სუბსიდია სწორედ ასეთი სახისაა. ზემოთ მოყვანილი განმარტების განზოგადება შეიძლება ისეთ ცნებაში, როგორიცაა პირდაპირი გადასახადები. მაგრამ არსებობს კიდევ სხვა მრავალი ფორმა სუბსიდიისა, ისინი უფრო კარგად შენიღბულნი არიან. ახლა კი მოვიყვანოთ ყველაზე ზოგადი განმარტება, რომელიც ეკუთვნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (WTO):

სუბსიდია- სახელმწიფოს ან სახელმწიფოს აგენტის მხრიდან ფინანსური კონტრიბუცია, რომელიც აძლევს (ანიჭებს) გარკვეულ სარგებელს მიმღებ პირს, პირთა ჯგუფს ან ორგანიზაციას.

ამ განმარტებაში, როგორც ვხედავთ, არ არსებობს არანაირი შეზღუდვა ფინანსური დახმარების არც გამცემ მხარეზე და არც მიმღებ მხარეზე. სუბსიდიად ითვლება როგორც აგროსუბსიდიები, ასევე ფინანსური დახმარება რომელიმე კონკრეტული ნიჭიერი სტუდენტისთვის. შესაბამისად, ჩნდება საჭიროება განვასხვაოთ სუბსიდიები ერთმანეთისგან. ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაცია სუბსიდიებისა მდგომარეობს შემდეგში. ყველა სუბსიდია იყოფა სპეციფიკურ და არასპეციფიკურ სუბსიდიებად. სპეციფიკურად ითვლება ისეთი სუბსიდია, რომელიც განკუთვნილია ბენეფიციართა კონკრეტული ჯგუფისათვის, არასპეციფიკური სუბსიდიები კი მთლიანად საზოგადოებისთვის არის გამიზნული. მაგალითად, სუბსიდია განკუთვნილი მხოლოდ თხილის მწარმოებელი ფერმერებისთვის არის სპეციფიკური, ხოლო სუბსიდია მიმართული ვაქცინის შექმნაზე, რომელსაც ყველა ადამიანი გამოიყენებს არის არასპეციფიკური. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ასეთი დაყოფა საკმაოდ რთული და საკამათოა.

კიდევ ერთი ცნება, რომელიც უნდა განვმარტოთ არის სუბსიდიის ალტერნატიული დანახარჯი. როდესაც ზოგიერთი ადამიანი ცდილობს გაამართლოს რომელიმე სუბსიდიის მართებულება, მათ მოჰყავთ არგუმენტად ახალი საქონელი და მომსახურება, ასევე ახალი სამუშაო ადგილები, რომელთა შექმნასაც სუბსიდიების შემოღებამ ხელი შეუწყო. მაგრამ ამ არგუმენტებს ზურგს უნდა უმაგრებდეს ელემენტარული შედარებაზე დაფუძნებული ანალიზი: თუ სახელმწიფო გამოყოფს გარკვეულ თანხას გვირაბის ასაშენებლად, მაშინ ეს თანხა მოაკლდება სოფლის მეურნეობას და ა.შ. ამიტომ ყოველი სუბსიდია შეიძლება განუხორციელებელი ალტერნატივების მხრიდანაც განვიხილოთ.

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე სფერო, რომლის სუბსიდირება აქტიურად ხდება მსოფლიოს მასშტაბით. ესენია: სოფლის მეურნეობა, სამშენებლო ბიზნესი, მეთევზეობა, მძიმე მრეწველობა, რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება, საგარეო ვაჭრობა. სხვადასხვა ქვეყანაში სუბსიდირების დონე ბევრად განსხვავებულია. როგორც უკვე ვთქვით, ვიწრო გაგებით სუბსიდიების ქვეშ იგულისხმება პირდაპირი გადახდები და გრანტები, ხოლო ფართო გაგებით კი ნებისმიერი ფულადი დახმარება სახელმწიფოს მხრიდან ამ დახმარების მიმღების მიმართ. ეს გულისხმობს დახმარების ისეთ მეთოდებსაც, რომლებიც ერთი შეხედვით სუბსიდიებისგან საკმაოდ შორს დგას: გადასახადების შემცირება (შემსუბუქება), კონკურენციისგან დაცვა, საზოგადოების ღარიბი ფენების საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა საბაზრო ფასზე უფრო დაბალი ფასით. ზოგიერთ ქვეყანაში გადასახადების შემსუბუქება სუბსიდიების ბევრად უფრო გავრცელებული ფორმაა, ვიდრე უშუალოდ პირდაპირი გადახდები. მაგრამ მთავარი განსხვავება დახმარების განხორციელების ამ ორ მეთოდს შორის მდგომარეობს იმაში, რომ არაპირდაპირი დახმარებები უფრო გვიან აღწევს საზოგადოების ცნობიერებამდე, ვიდრე პირდაპირი გადახდები.

სანამ აღვეწრდით სუბსიდიების გამოყენების რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროს, ჯერ დავფიქრდეთ იმაზე, თუ რატომ შეიძლება მთავრობამ გამოიყენოს სუბსიდიები: რა არის სუბსიდიების შემოღების მიზეზი ? შესაძლებელია გამოიყოს სამი ძირითადი მიზეზი: 1) თუ არსებობს წარმოების რომელიმე სფერო , რომელიც ვერ უმკლავდება ეკონომიკურ გამოწვევებს, მაშინ სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს დახმარება 2) უსაფრთხოების მიზეზი, მაგალითად თავდაცვაზე გამოყოფილი თანხები; ასევე პროტექციონისტული

პოლიტიკის განხორციელების შედეგი შეიძლება იყოს სუბსიდია და 3) სუბსიდიის შემოღება შეიძლება გამოწვეული იყოს პოლიტიკური მოვლენებით, ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფების ზეწოლით ან თავად მთავრობის ნება სურვულით.

თითქმის ყველა ქვეყანაში სოფლის მეურნეობაზე ძალიან დიდი ყურადღებაა გამახვილებული. ამის მიზეზი ნათელია, სოფლის მეურნეობა ადამიანებს აძლევს საკვებს, ხოლო სახელმწიფოსთვის უსაფრთხოების ერთ-ერთი პირობაა მძლავრი და განვითარებულისოფლის მეურნეობა. ამიტომაცაა, რომ ევროპის მასშტაბით ძალიან დიდი თანხებია გამოყოფილი სოფლის მეურნეობის სუბსიდირებაზე. მთლიანობაში 2010 წელს ევროკავშირის ქვეყნებში გამოყოფილ იქნა 57 მილიარდი ევრო აგრობიზნესის ხელშეწყობისთვის, ხოლო აქედან 39 მილიარდი გამოყენებული იყო პირდაპირი სუბსიდიებისთვის. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველწლიურად დაახლოებით 20 მილიარდ ამერიკულ დოლარს გამოჰყოფს პირდაპირი სუბსიდიებისთვის „ფერმერების შემოსავლების სტაბილიზაციის" პროგრამის ფარგლებში. ამერიკის შტატებიდან საშუალოდ გამოყოფილი თანხის მიხედვით ლიდერებია არიან: 1) აიოვა (501 მილიონი დოლარი) 2) ილინოისი (454 მილიონი დოლარი) და 3) ტეხასი (397 მილიონი დოლარი). პირდაპირი სუბსიდიები ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიმიტირებულია 40000$- ით ადამიანზე და 80000$-ით ოჯახზე. ევროკავშირის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთბულ შტატებში სასოფლო სამეურნეო სუბსიდიები ძირითადად გამოიყოფა: ხორბალზე, ბამბაზე, ბრინჯზე, თაფლზე, ყურძენზე და ა.შ.

საინტერესო მაგალითს წარმოადგენს მე-20 საუკუნის 40-50-იან წლებში სახლების მშენებლობაზე გამოყოფილი სუბსიდიები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში, წარმოიშვა მძიმე დეფიციტი საცხოვრებელ ბინებზე. ამ პრობლემის დასაძლევად მთავრობამ გამოყო გრანტები და ფინანსური დახმარებები ნებისმიერი მშენებლობისთვის. გერმანიასა და შვედეთში კი ის კერძო პირები, რომლებიც აშენებდნენ სახლს ან არემონტებდნენ ბინებს, იღებდნენ დახმარებებს შემცირებული გადასახადების სახით. კიდევ ერთი სფერო რომლის სუბსიდირებაზეც განვითარებული ქვეყნები რესურსებს არ იშურებენ არის ტრანსპორტირება, კერძოდ კი ხიდების, გვირაბების, ლიანდაგების გაყვანა. იტალია, იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები აფინანსებენ ადგილობრივ კომპანიებს, რომლებიც აშენებენ დიდ გემებს.

ისევე როგორც სხვა ეკონომიკურ მოვლენებს, სუბსიდიებსაც ახასიათებთ როგორც დადებითი შედეგები, ასევე ნეგატიური შედეგები. სახელმწიფოს შეუძლია დროული და სწორი დახმარებებით გაზარდოს ამა თუ იმ დარგში კონკურენცია, სწორედ გადაანაწილოს რესურსები საზოგადოებაში, აამაღლოს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების დონე. ეს ასეც ხდება ყველა განვითარებულ ქვეყანაში. მაგრამ ეკონომისტები გამოყოფენ სუბსიდიების მიერ გამოწვეულ ახალ პრობლემას. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნებს შორის ვაჭრობა ძალიან განვითარებულია. რა თქმა უნდა, ეს ხელს უწყობს მაღალ კონკურენციას და დაბალ ფასებს , მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც განვითარებულ ქვეყნებში შემოღებული ნებისმიერი სუბსიდია იწვევს სავალალო შედეგებს ღარიბ ქვეყნებში. განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დეტალურად. OECD-ს წევრმა ქვეყნებმა 2002 წელს მარცვლეულის ფასების სტაბილიზაციისთვის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამების განსახორციელებლად გამოჰყვეს 300 მილიარდი დოლარი. ასეთი მძლავრი სუბსიდირების შედეგია მარცვლეულის (სიმინდის, ხორბალის და ბრინჯის) ჭარბი მიწოდება მსოფლიო ბაზარზე. იმ ქვეყნების მარცვლეული, რომლებსაც არ შეუძლიათ სუბსიდიების შემოღება, რჩება მსოფლიო ბაზრისაგან შორს, რაც ანადგურებს ღარიბი ქვეყნების ეკონომიკას, ვინაიდან ისინი მთლიანად თავის ექსპორტზე არიან დამოკიდებულნი. მდიდარი ქვეყნები ერთობლიობაში დაახლოებით 50-55 მილიარდ დოლარს გამოყოფენ აფრიკის ქვეყნებისთვის. ზოგიერთთა მოსაზრებით სუბსიდიების შემცირება და სავაჭრო ბარიერების შემცირება ასეთი ფულადი ტრანშების გამოყოფის საჭიროებას მოსპობდა. „მესამე მსოფლიოს" ქვეყნების სოფლებში არსებული სიღატაკეც შემცირდებოდა. სოფლის მეურნეობა განვითარებადი ქვეყნებისთვის არის საფუძველი პროგრესისა, ვინაიდან იგი წარმოქმნის სამუშაო ადგილებს, ახდენს ადგილობრივი კაპიტალის გენერირებას, უზრუნველყოფს მოსახლეობას საკვებით. უკვე განვითარებული ქვეყნების განვლილი გზის შესწავლა სწორედ ამ დასკვნამდე მიგვიყვანს. ყოველი დოლარი, ევრო ან ფუნტ სტერლინგი, რომელიც დახარჯულია განვითარებული სახელმწიფოების სოფლის მეურნეობის სტიმულირებისთვის ამცირებს განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროგრესის შესაძლებლობას. მიახლოებითი

გამოთვლების თანახმად, აფრიკის ქვეყნები კარგავენ ჯამში დაახლოებით 24-26 მილიარდ დოლარს წელიწადში განვითარებული ქვეყნების სუბსიდიების გამო. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბამბის წარმოება.

ბამბაზე ფასებმა 1990-იანი წლებიდან დაიწყეს შემცირება, ახლა ეს მაჩვენებელი ადრინდელის ნახევარსაც არ შეადგენს. ასეთი დაბალი ფასები დიდი დეპრესიის დროიდან მსოფლიო ბაზარზე არ დაფიქსირებულა. მიუხედავად ფასების ასეთი დიდი ვარდნისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბამბის წარმოების მოცულობა გაიზარდა 4.2 პროცენტით 1998-2001 წლებში. რატომ ? პასუხი სუბსიდიების პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. სუბსიდიების დახმარებით ამერიკელი ფერმერები მსოფლიო ფასზე 70 პროცენტით უფრო ძვირად ყიდიან ბამბას. 1992 წელს სუბსიდიების მოცულობა გაორმაგდა. 25000 ამერიკელი ფერმერი ბამბის ყოველ აკრზე იღებდა 260 დოლარს. მთლიანობაში ეს შეადგენდა თითქმის 4 მილიარდ დოლარს. აფრიკის ქვეყნებს ეს სუბსიდია დაუჯდა 302 მილიონი დოლარი 2001 წელს.(OXFAM INTERNATIONAL-ის, სიღარიბის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანისაციის, მიხედვით). კონკრეტული მაგალითის მოყვანაც შეიძლება. ბურკინა-ფასოს ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებულია ბამბის ექსპორტზე. ქვეყანამ დაკარგა მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტი, ექსპორტიდან შემოსავლები კი 12 პროცენტით შემცირდა. ბურკინა ფასოს ეკონომიკა მოიგებდა დაახლოებით 28 მილიონ დოლარს, თუ აშშ-ი არ შემოიღებდა სუბსიდიების ახალ ნაკადს. ზუსტად ასეთივე სიტუაციაა სხვა ქვეყნებშიც. ჩემი აზრით, საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია მიიღოს გარკვეული ზომები სიტუაციის შეცვლისთვის, მაგრამ აღსანიშნავია რომ ეს ძალიან რთული, პრაქტიკულად შეუძლებელიც კი იქნება.

ხშირია ისეთი მოვლენა, როცა ერთხელ შემოღებული სუბსიდია ბევრად უფრო მეტ ხანს არსებობს, ვიდრე ეს საჭიროა. ეს ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა სუბსიდირების. ვინაიდან სახელმწიფოს რესურსებს ადამიანები განაგებენ, ხშირია ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, პირადი ინტერესის საზოგადოებრივზე უფრო მაღლა დაყენება. სუბსიდიები წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს სახელმწიფოს ხელში, მაგრამ აუცილებელია მისი სწორედ გამოყენება. საჭიროა დაწესდეს თითოეულ ქვეყანაში გარკვეული ნორმები, რომლებსაც სუბსიდიები დააკმაყოფილებენ. აუცილებელია სუბსიდიების შეწყვეტა მაშინ, როცა მათზე მოთხოვნა გაქრება. სავარაუდოდ, იქამდე სანამ კაცობრიობა იარსებებს,იარსებებს ასევე რესურსების არასწორი გამოყენების პრობლემაც, განსაკუთრებით კი ღარიბ და განვითარებად ქვეყნებში, სადაც უფრო გავრცელებულია კორუფცია ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ასე რომ, დისკუსიები სუბსიდიების ავკარგიანობაზე კიდევ დიდი ხანი გაგრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Noel Merino , Agricultural Subsidies, 2009
2. Ralph Nader, Cutting corporate welfare, 2000
3. http://www.britannica.com/
4. http://kmh678.tripod.com/Government/business_subsidy.html
5. https://en.wikipedia.org/wiki/
6. http://www.oecd.org/
7 https://www.oxfam.org/
8. Macroeconomics by Olivier Blanchard, 6th edition .

Subsidies and their role in modern world

Alexander Maisuradze,
Senior student at Faculty of Economics and
Business of the Tbilisi State University.

A subsidy is a form of financial aid or support extended to an economic sector (or institution, business, or individual) generally with the aim of promoting economic and social policy. In the article I tried to present some general information about subsidies, with few examples of how they may be used and what benefits the society can obtain from them.

ბოლონიის პროცესი, როგორც ევროკავშირის რეგიონალური ინსტრუმენტი ეკონომიკური ინტეგრაციის გასაღრმავებლად

მარიამ ხიზანაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, ბაკალავრიატი, II კურსი
საკონტაქტო ინფორმაცია: +995 598 400 094
m.xizanishvili@gmail.com

ნინო ბოზალიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, ბაკალავრიატი, II კურსი
საკონტაქტო ინფორმაცია: +995 598 71 20 71
Ninogozalishvili8@gmail.com

უმაღლესი განათლება, რომელიც წარმოების გლობალიზაციის შედეგად თანამედროვე საზოგადოებების ეკონომიკური კეთილდღეობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, უკანასკნელი რამოდენიმე წელია, რაც ისეთი ორგანიზაციების ინტერესის სფეროში ექცევა, როგორიც ევროკავშირია. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ბოლონიის პროცესის, როგორც ევროკავშირის ეკონომიკური ინსტრუმენტის და შესაბამისად „რბილი ძალის" მიმართება რეგიონალიზმთან.

გლობალიზაციის შედეგად წარმოშობილმა ტენდენციებმა განაპირობა ევროპაში უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რამაც განხორციელება ჰპოვა 1999 წელს, ეს ინიციატივა ცნობილია ბოლონიის პროცესის სახელით. მას შემდეგ, რაც ევროპულმა სახელმწიფოებმა გააცნობიერეს, რომ მზარდ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისათვის ერთეული სახელწიფოების დონეზე წარმატების მიღწევა სათუო საქმე იყო და დიდი ძალისხმევის მიუხედავად შედეგების თვალსაზრისით არაეფექტიანიც კი შეიძლებოდა ყოფილიყო. გადაწყდა, რომ შექმნილიყო ერთიანი უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე, რომლის ფარგლებშიც ევროპული სახელმწიფოები გლობალიზაციის გამოწვევებს ერთიანი ძალებით გაუმკლავდებოდნენ. კასტელსის მტკიცებით, გლობალიზაციის ყველაზე მაღალი საფეხურის გამოვლინებას სწორედ რეგიონალიზაცია წარმოადგენs. ანალოგიურად, გლობალიზაციის ტენდენციებზე პასუხის გაცემის მოტივით ჩამოყალიბდა საერთო ევროპული სივრცე და დაჩქარდა ევროპეიზაციის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლონიის პროცესი, რომელსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში ყველაზე გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი და ამბიციური რეფორმა" ეწოდა, დაიწყო ევროპული ინიციატივის დონზე, დღესდღეობით ზემოაღნიშნული პროცესი გასცდა ევროპულ საზღვრებს და იგი 47 ქვეყანას მოიცავს.

ყოველი სახელმწიფო იმისთვის, რათა გაიმყაროს პოზიციები და გაზარდოს საკუთარი პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე გრძელვადიან პერსპექტივაში სოციო-ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, იყენებეს როგორც „მაგარი", ისე „რბილი ძალის" კომბინაციებს. ბიპოლარული მსოფლიო სისტემის კრახის შემდგომ პერიოდში, ფართოდ გავრცელდა სახელმწიფოთა მხრიდან „რბილი ძალის" გამოყენება საკუთარი მიზნების მისაღწევად, რაც შეიძლება „მაგარი ძალის" გამოყენების მაღარი რისკებით და გლობალიზაციის შედეგად ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდით აიხსნას.

ჯოზეფ ნაი აღნიშნავს, რომ „მაგარი და რბილი ძალა" მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რადგანაც ორივე წარმოადგენს საკუთარი მიზნის მიღწევის საშუალებას სხვებზე ზეგავლენის მოხდენით. ტერმინი „მაგარი ძალა" აღწერს პოლიტიკური აქტორის უნარს გამოიყენოს ეკონომიკური სტიმულები ან სამხედრო ძალა იმისათვის, რომ გავლენა მოახდინოს სხვა აქტორის ქცევაზე.

ტერმინი „რბილი ძალა" აღნიშნავს დარწმუნების სხვადასხვა მეთოდებით, პრესტიჟის და მიმზიდველობის გაზრდის გზით სხვა სუბიექტების მოქმედებების ფორმირებას. ჯოზეფ ნაი, თავის ცნობილ წიგნში „რბილი ძალა" აღნიშნავს, რომ სახელმწიფოთა შორის ლიდერობისკენ გზა სწორედ „რბილ ძალაზე" გადის.

დღესდღეობით ლიდერობა რეგიონული

თუ მსოფლიო მასშტაბით დამოკიდებულია ქვეყნის უნარზე დახმარება გაუწიოს მეზობელ სახელმწიფოებს განვითარებაში. ლიდერის პოზიციის მოპოვება კი შეუძლებელია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების გარეშე, რომელიც კეთილდღეობის და სტაბილურობის წყაროა თანამედროვე მსოფლიოში, სწორედ ამით აიხსნება განვითარებადი ქვეყნების(რუსეთი, ჩინეთი, ბრაზილია) სურვილი მზარდი ეკონომიკების ჩამოყალიბების მიზნით მოახდინონ საკუთარი უმაღლესი განათლების სისტემების მოდერნიზაცია და ინტერნალიზაცია. მხოლოდ განვითარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც თანხვდება ინოვაციური მაღალტექნოლოგიური ეკონომიკის მოთხოვნებს, და ინტეგრირებულია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში, შეუძლია გახდეს კონკურენტუნარიანი და მიიზიდოს ნიჭიერი ახალგაზრდები მთელი მსოფლიოდან.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების დონე პირდაპირკავშირშია ქვეყნის კეთილდღეობის დონესთან, ამის დამადასტურებელ მაგალითს კი წარმოადგენს სინგაპური, მალაიზია, ინდონეზია და სხვა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომელთაც „ეკონომიკური სასწაულის" მოხდენა ახალგაზრდების განათლებაში ინვესტირების გზით შეძლეს. განათლებას გარდა ეკონომიკისა, ქვეყნის პოლიტიკურ/გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზეც შეუძლია ზეგავლენის მოხდენა. ახალგაზრდები, რომლებმაც განათლება უცხო ქვეყანაში მიიღეს და მშობლიურ ქვეყნებში შესაძლოა კვალიფიციურ კადრებად ითვლებოდნენ და საკმაოდ მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ, სავარაუდოა, რომ სიმპატიით იქნებიან განწყობილნი მათი მასპინძელი ქვეყნისადმი, რამაც ასახვა პოლიტიკურ/გეოპოლიტიკურ ვითარებაზეც შეიძლება ჰპოვოს, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ავღანეთის ომის პერიოდში საბჭთა კავშირის მიერ ავღანელი პოლიტიკოსების და ინტელექტუალების მიწვევა განათლების მისაღებად საბჭოთა კავშირში, რათა ჩამოყალიბებულიყო მეგობრული ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის.

ნაი ამტკიცებს, რომ განათლების, როგორც „რბილი ძალის" გამოყენებას საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვს განსაკუთრებით მარშალის გეგმის და 1980-იანი წლების შემდგომ პერიოდიდან. იგი ასევე საუბრობს, თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემის, როგორც „რბილი ძალის" ჩამოყალიბებაზე ომისშემდგომ პერიოდში ევროპის მასშტაბით. 1980-იან წლებში ევროგაერთიანების მიერ ჩამოყალიბდა პროგრამები(ერასმუსი, ტემპუსი, მარი კიური, სოკრატე და სხვ.), როგორც ევროგაერთიანების საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი „მესამე ქვეყნების" ევროპეიზაციისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი განათლება, როგორც სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა მიზნების მისაღწევად გამოყენებული „რბილი ძალა", საკმაოდ ეფექტურია მოქმედების თვალსაზრისით და მსოფლიო ისტორიაში საკმაოდ მრავალწლიანი პრაქტიკა აქვს.

ბოლონიის პროცესის მეშვეობით, პროცესში ჩართულ სახელმწიფოებს საშუალება მიეცათ უფრო მეტად ინტეგრირებულიყვნენ ევროპულ სივრცეში, განსაკუთრებით ევროპის კონტინენტის გარეთ არსებულ სუბიექტებს. ბოლონიის პროცესი შეიძლება გავიგოთ, როგორც ევროკავშირის ეკონომიკური ინსტრუმენტი პოლიტიკური ინტეგრაციისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით. პაპაციბა, გარდა იმისა, რომ აღნიშნავს „ევროპეიზაციის" თვალსაზრისით გადადგმულ ნაბიჯს და განიხილავს ბოლონიის პროცესს, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს ერთიანი მძლავრი ევროპის შესაქმნელად, რათა გლობალიზაციის გამოწვევებს სათანადო პასუხი გაეცეს, ასევე ამტკიცებს, რომ ბოლონიის პროცესის მთავარი მონაპოვარი - სტუდენტთა მობილობა - ხელს უწყობს სტუდენტის ხელახალ სოციალიზაციას, რომლის მეშვეობითაც სტუდენტს უვითარდება მულტიკულტურულ გარემოში მუშაობის უნარი, რაც დადებითად აისახება შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით.

ბოლონიის პროცესისადმი კრიტიკული დამოკიდებულების და სტუდენტური საპროტესტო გამოსვლების მიუხედავად, ეს პროცესი მაინც წარმოადგენს უპრეცენდენტო მოვლენას რეგიონალური კოოპერაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით. სისტემისაგან მიღებულმა შედეგებმა დიდი გავლენა იქონია აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებზეც, სადაც მიაჩნიათ, რომ მსგავსი სისტემის შექმნა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ეფექტიანობის გასაზრდელად დაეხმარება ზემოაღნიშნულ კონტინენტებსაც.

ფაქტია, რომ ბოლონიის პროცესმა ხელი შეუწყო არა მარტო ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას და ევროპის პოლიტიკურ ინტეგრაციას, არამედ შექმნა პირველი პრეცენდენტი იმისა, რომ რეგიონალური

თანამშრომლობის გზითა და ე.წ. „რბილი ძალის“ გამოყენებით შეიძლება მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება არსებულ მსოფლიო სისტემაში.

ბოლონიის პროცესი მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს მოვლენად ევროპის ისტორიაში, რადგან სახელმწიფოებმა კოოპერაციული გზით გადაწყვიტეს პასუხი გაეცათ გლობალიზაციის გამოწვევებზე და შეძლეს შეექმნათ ისეთი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც კონკურენციას გაუწევდა უმაღლესი განათლების ამერიკულ მოდელს და შეძლებდა მნიშვნელოვანი კაპიტალი მოეზიდა სტუდენტთა სახით მთელი მსოფლიოდან. ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის შედეგად ევროპამ დიდი ნაბიჯი გადადგა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და ევროპული იდეა ოთხი სახის თავისუფლების შესახებ , რაც მოიცავს ადამიანების, კაპიტალის, მომსახურების და საქონლის თავისუფალ გადაადგილებას ავტომატურად „გადაიღვარა“ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე, სერგი. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2006), 40

2. FEJES, ANDREAS. “Standardising Europe: The Bologna Process and New Modes of Governing.” Learning and Teaching: The International Journal of Higher Education in the Social Sciences 1, no. 2 (Summer 2008): 1-2.

3. Nye, Joseph. Soft Power and Higher Education. N.p.: Harvard University Press, 2005.

4. WRIGHT, SUSAN, and OLE HENCKEL. “The Bologna Process: A Voluntary Method of Coordination and Marketisation?” Learning and Teaching: The International Journal of Higher Education in the Social Sciences 1, no. 2 (Summer 2008): 1.

5. Papatsiba,Vassiliki. “Making Higher Education More European through Student Mobility? Revisiting Eu Initiatives in the Context of the Bologna Process,” Comparative Education 42, no. 31 (February, 2006): 94-99.

6. Veiga, A., Magalhães, A. and Amaral, A. (2015). ‘Differentiated Integration and the Bologna Process’,Journal of Contemporary European Research. 11 (1), pp. 84-102.

რუბრიკა მიჰყავს ომარ შუდრას

ორგანიზაციის დოკუმენტური უზრუნველყოფა

ლეილა გიორგობიანი
გლდანის პროფესიული
მომზადების ცენტრის პედაგოგი

რა არის ორგანიზაციის დოკუმენტური უზრუნველყოფა? ესაა ორგანიზაციაში სხვადასხვა საკითხებზე დოკუმენტების შექმნის, მათი რეგისტრაციის, კლასიფიკაციის, მოძრაობის, აღრიცხვის და შენახვის სამუშაოების შესრულების ერთობლიობა. სხვა სიტყვებით – საქმისწარმოება, დოკუმენტბრუნვა.

სიტყვა „დოკუმენტი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რაიმე უფლების დამადასტურებელ წერილობით საბუთს, რაიმეს დამამტკიცებელ საქმიან ქაღალდს, ვინაობის დამადასტურებელ მოწმობას, საერთოდ, საბუთს. სიტყვა „დოკუმენტის“ პარალელურად და მის ნაცვლად ხშირად გამოიყენება სიტყვა „საბუთი“. დოკუმენტებს ჩვენ ყველგან ვხვდებით,მათ გარეშე წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირება, უბრალოდ წარმოუდგენელია. დამწერლობის წარმოშობიდანვე ადამიანებმა დაიწყეს საკუთარი აზრების აღბეჭდვა ფურცელზე და შესაძლებელი გახდა ამა თუ იმ მოვლენის დაფიქსირება მომხდარიყო წერილობით, ამგვარად დოკუმენტი იქცა ფაქტების, მოვლენების, ამბების ჩაწერის რეგისტრაციის ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, დოკუმენტირების საიმედო საშუალებად. დოკუმენტები თითქმის მოწმენი არიან იმის, რაც მოხდა.

საქმისწარმოება, დოკუმენტირების სისტემა, რამდენიმე მიმართულებით ვითარდებოდა და რამდენიმე სისტემად ჩამოყალიბდა.

მაგალითად, ბრძანებებში უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა ადმინისტრაციული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემა ანუ, ადმინისტრაციული საქმისწარმოება. ადმინისტრაციულ საქმიანობას განსაკუთრებული ადგილი უკავია ყოველ დაწესებულებაში. მის პარალელურად, დამოუკიდებლად განვითარდა აღრიცხვის დოკუმენტური სისტემა, თავდაპირველად საბუღალტრო შემდგომ, სტატისტიკური და სხვ.

დოკუმენტი, უპირველესად, შეიცავს ინფორმაციას და ამდენად, მას უშუალოდ კავშირი აქვს მმართველობის პროცესთან, გარდა ამისა, დოკუმენტის წიაღში ისტორიული მეცნიერების წყაროა დაფარული. ამიტომ დოკუმენტირების ორგანიზაციასა და მოძრაობას, ყველა ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ინფორმაციის გავრცელების საშუალებაა დროსა და სივრცეში.

დოკუმენტი იქმნება დღევანდელობის ასპექტში და მიმდინარე ინფორმაციის წყაროა მომავალშიც. ის გარკვეული საინფორმაციო სიგნალის ფიქსაციაა, რომელსაც დანიშნულების მიხედვით გადასცემს. ამ ამოცანის შესრულების შემდეგ ის მემორიალურ თვისებას იძენს და შესანახი ხდება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს დროში წარმოქმნილმა დოკუმენტმა საუკუნეებს უნდა გაუძლოს, იგი კონკრეტული, მაგრამ ფართო ინფორმაციის შემცველი უნდა იყოს.

ამიტომ, დოკუმენტების წარმოება და ორგანიზაცია უნდა დაევალოს მხოლოდ ისეთ პიროვნებას, რომლებიც გამოირჩევიან პროფესიული წიგნიერებით, კომპეტენტურობით, ორგანიზაციული ნიჭითა და ობიექტურობით.

სამწუხაროა, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებში,ისე კერძო სექტორში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ორგანიზაციის დოკუმენტურ უზრუნველ-

ლყოფას და ჩვენს სინამდვილეში ამ საქმეს არც თუ ისე კომპეტეტური პიროვნებები უძღვებიან (განსაკუთრებით კი კერძო სექტორში).

დღეს, საკუთარი საქმის დაწყების ბევრი მსურველი არსებობს, ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც სხვადასხვა ორგანიზაციებში დაქირავებულ თანამშრომლად მუშაობს, მაგრამ შეუძლია და უნდა კიდევ რაიმე თვითონ, დამოუკიდებლად გააკეთოს, საკუთარი საქმე წამოიწყოს. მათი უმრავლესობა საქმიანობას დაგროვილი პირადი გამოცდილებით იწყებს. შამწუხაროდ, ახლადრეგისტრირებული ორგანიზაციების დიდი ნაწილი პირველივე წლებში წყვეტს საქმიანობას, ამის ერთ-ერთი მიზეზი (სხვა მიზეზებთან ერთად) მეწარმეთა არაკომპეტენტურობაა.

როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებში, ისე კერძო სექტორში, განსაკუთრებით კი ახლადშექმნილ ორგანიზაციებში, მათი გამართული ფუნქციონირების უკიდურესი მნიშვნელობის მიუხედავად, ძალიან იშვიათად თუ წააწყდებით კარგად დალაგებულ მართვის სისტემას. მათ ავიწყდებათ, რომ ნამდვილი სამეწარმეო საქმიანობა და ორგანიზაციის წარმატება საშუალო რგოლის მენეჯერებზეა დამოკიდებული - მათი ჩართულობა, მათი ურთიერთობები, როგორც საკუთარი გუნდის წევრებთან, ისე ზედა მენეჯმენტთან, კოლეგებთან.

სწორედ შუა რგოლს განეკუთვნება ოფისის მენეჯერი, რომლის საქმიანობა ორგანიზაციის სახეობის მიხედვით მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. თუმცა, მისი მთავარი მოვალეობაა–ოფისის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და ორგანიზაციის დოკუმენტური უზრუნველყოფა–საქმისწარმოების სამუშაოების ორგანიზაცია, კოორდინაცია, კონტროლი; დოკუმენტებზე მუშაობის და მეთოდების სრულყოფა, საქმისწარმოების ერთიანი წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და სხვა მოქმედი ნორმატივების შესაბამისად დოკუმენტირების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციის, საინფორმაციო-საძიებო სისტემების, შესრულების კონტროლისა და დოკუმენტების საუწყებო არქივში გადასაცემად მომზადების უზრუნველყოფა; დაწესებულების საკითხებზე ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტების, აგრეთვე დაწესებულების საქმიანობისთვის გამიზნული კომპიუტერული და ორგანიზაციული ტექნიკის გამოყენება, საქმისწარმოების პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა; დოკუმენტების საექსპედიციო დამუშავება, რეგისტრაციისა და დოკუმენტების მიხედვით სააღრიცხვო–საცნობარო სამუშაოთა განხორციელება; შემოსული დოკუმენტების დროული განხილვისა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენის ორგანიზაცია, ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი; დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის, დადგენილ ვადაში მათი მოძრაობის გაფორმებისა და შესრულების კონტროლის რეგულირება; დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ცნობების განზოგადება, ამ საკითხებზე ხელმძღვანელობის სისტემატური ინფორმირება; დოკუმენტების ასლის გადაღებისა და ოპერატიული გამრავლების ორგანიზება; დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება, საქმეთა შენახვისა და დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიული გამოყენება.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ დიდი გავლენა იქონია თვით საქმისწარმოების პროცესზე. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვა. ელექტრონული პროგრამების ამოქმედებამ გამოიწვია ყველა სახის კორესპონდეციის მოძრაობა ელექტრონული ფორმით, რამაც გაამარტივა დოკუმენტების ოპერატიულად მიწოდება ადრესატამდე, მისი დამუშავება და რეგირება. ამ ტიპის დოკუმეტბრუნვის უპირატესობა განისაზღვრება იმით, რომ ეს არის მარტივი, სწრაფი, დაცული და რაც მთავარია, მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისი.

ოფისის მენეჯერს ხშირად ოფისის ადმინისტრატორიც ჰქვია. ვინაიდან მისი ძირითადი ფუნქციებია ასევე საოფისე ტექნიკის გამოყენება, მიმოწერა, ელ-ფოსტა, მონაცემთა ბაზები და სხვ.

ოფისის მენეჯერი ორგანიზაციის სახეს წარმოადგენს და ბიზნესის იმიჯი და კლიენტთა კეთილგანწყობა ხშირად მის პროფესიონალიზმზე, პიროვნულ მომხიბვლელობასა და თვისებებზეა დამოკიდებული. ამიტომ, არის დღევანდელ შრომით ბაზარზე ოფისის მენეჯერი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროფესია.

ვიმედოვნებ, რომ როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის ორგანიზაციის წარმომადგენლები გაითვალისწინებენ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს და ემახსოვრებათ ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა კარგად ორგანიზებული დოკუმენტური უზრუნველყოფა.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲡ ᲛᲝᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲖᲔ: „ᲛᲣᲚᲢᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚᲘ ᲓᲔᲢᲔᲠᲛᲘᲜᲐᲜᲢᲘ“ �თᲑ., 2015, 367 ᲒᲕ.



ეკონომიკის, სართაშორისო ბიზნესის, მენეჯმენტის და ადმინისტრირების, რეალური ყოფის სხვა სფეროებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის, შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ვერც დარჩებოდა პროფესორ თეიმურაზ შენგელიას მიერ ბოლო წლებში გამოცმული არა ერთი სქელტანიანი და არასტანდარტული ფორმატის, მოცულობითაც და შინაარსითაც ტევადი მრავალი წიგნი, სახელმძღვანელო და მონოგრაფია. მეცნიერის ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობაში მულტიკულტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომელსაც ავტორმა თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის არაერთი წელიწადი მოანდომა, რომლის შედეგები კარგად აისახა მკვლევრის ახალ მონოგრაფიაში: „მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი,“ თბილისი, 2015.

როგორც ცნობილია, მსოფლიო კულტურის თეორია (წორლდ ცულტურე თჰეორყ) თეორია მოიცავს რამდენიმე ფუძემდებლურ პრინციპს. ჯერ ერთი, გლობალიზაციის ბუნების კვლევისას პრიორიტეტი ენიჭება კულტურას; მეორე, ამ თეორიაში ძირითად საკითხად მიიჩნევა ის, თუ როგორ შეუძლია გადარჩენა გლობალური კულტურის ფორმირების პირობებში ინდივიდს და ეროვნულ იდენტურობას.

ეს თეორია შეისწავლის, როგორ მიიწევს ერთიანობისკენ კაცობრიობა, როგორ ხდება ეროვნულ კულტურათა ინტეგრაცია გლობალიზირებადი მსოფლიოს პირობებში, როგორ ხორციელდება დასავლური საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გავლენა სხვა საზოგადოებებზე. ამ თეორიის ავტორები გლობალიზაციის დასაბამად მიიჩნევენ თანამედროვე ევროპის ჩასახვის პერიოდს, რომელიც დაიწყო XV საუკუნეში ეროვნული საზოგადოებების, ინდივიდებისა და მათი სუვერენიტეტის, ჰუმანიზმის იდეების გაჩენით. დღესდღეისობით მსოფლიო კულტურა მოიცავს ეროვნული საზოგადოების ორგანიზაციისთვის სათანადო გლობალურ კონცეფციებს, პიროვნებისა და პირადი უფლებების პრობლემებს, არაევროპული საზოგადოებების ჩაბმას საერთაშორისო ურთიერთობებში, ჰუმანიზმის იდეათა განმტკიცებას.

იზრდება სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა შორის ურთიერთკავშირი. საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში ჰუმანიტარული პრინციპების გავრცელება განამტკიცებს წანამძღვრებს ურთიერთკავშირის ზრდისთვის არა მარტო მოქალაქეთა, არამედ პოლიტიკათა შორისაც. მსოფლიო კულტურისთვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებები: მიბაძვა, გლოკალიზმი, ურთიერთშეღწევა, შეცილება. მსოფლიო კულტურის თეორიის მომხრეები ფიქრობენ, რომ გლობალიზაცია ქმნის საერთო კულტურას, რომელშიც თითოეული იცავს ერთსა და იმავე ფასეულობას და რწმენას, თუმცა, იგი წარმოშობს იდეათა და საერთო სტანდარტთა გლობალურ არსენალს, რომელიც შეიძლება შერჩევით გამოიყენონ გარკვეულ მიზანთა მისაღწევად.

მსოფლიო კულტურის თეორიის ჩარჩოებ-ში ვითარდება გლობოლოკალიზმი - მიმარ-თულება, რომელიც შეისწავლის კულტურის გლობალიზაციის „ტერიტორიულ” თავისებურე-ბებს, რაც თავის ასახვას ჰპოვებს გლოკალიზაციაში. გლოკალიზაცია - ეს პროცესია, რომლის მეშვეობითაც ტრანსეროვნული იდეები და ინსტიტუტები განსაკუთრებულ ფორმებს იძენს სამყაროს გარკვეულ ნაწილებში იმის გამო, რომ უნივერსალური იდეები და პროცესები, რომლებიც გლობალიზაციის საფუძველს შეადგენს, შეიძლება გააცნობიეროს და აითვისოს სხვადასხვა ქვეყანამ და სოციალურმა ჯგუფმა სხვადასხვანაირად მათი მიზნებისდა მიხედვით.

ურთიერთშეღწევა ვლინდება ისეთი ალტერნატიული პრინციპების ურთიერთქმედების

გაორებაში, როგორებიცაა: პარტიკულარიზმი და უნივერსალიზმი. პარტიკულარიზმი ნიშნავს, რომ ყოველ სოციალურ ჯგუფში ყალიბდება თავისი ფასეულობები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც მათი იდენტიფიკაციის საფუძველს შეადგენს და ისინი გამოიყენება მხოლოდ მათ საკუთარ გარემოში. პარტიკულარიზმის საპირისპიროდ, უნივერსალიზმი არის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც არსებობს მთელი კაცობრიობისთვის საერთო ფასეულობები და პრინციპები, მაგალითად, ადამიანის საყოველთაო უფლებები. მსოფლიო კულტურის ჩარჩოებში ყალიბდება ამ საპირისპირო პრინციპების კომპრომისი, უნივერსალური იძენს საერთოს მნიშვნელობას, კონკრეტული გამოცდილება კი _ კერძოს მნიშვნელობას; მაგალითად, ისეთი უნივერსალური ცნება, როგორიც სახელმწიფო სუვერენიტეტია, ხორცს ისხამს მმართველობის სხვადასხვა კერძო ფორმაში.

სწორედ აღნიშნულ, მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, საერთაშორისო ბიზნესის ჭრილში ეხება პროფესორ თ. შენგელიას შესანიშნავი მონოგრაფია, რითაც მეცნიერს თავისი წონადი წვლილი შეაქვს ამ სფეროს თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამუშავებაში. ნაშრომის სტრუტურა მოიცავს:

თავი 1. გლობალიზაცია და და ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში

1.1 გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის განვითარება

1.2 გლობალიზაცია და სოციალური ტრანსფორმაცია

1.3 გლობალიზაციის პირობებში საქართველოში: ბიზნესის განვითარების მეტამორფოზები და შედეგები

1.4. ბიზნესის სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება და შეზღუდულობის მიზეზები

საქართველოში

1.5 გლობალიზაცია და კორუფციის ანატომია

1.6 კულტურათაშორისო დაპირისპირება და გლობალური ტერორიზმი

თავი 2. კულტურულის არსი და კულტურული სხვადასხვაობის მნიშვნელობა გლობალურ ბიზნესში

2.1 კულტურის არსი

2.2 კულტურული დეტერმინანტების როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში

2.3 რელიგია, როგორც ზნეობრიობის სუბსტანცია და ეკონომიკური ზრდის მოტივატორი

2.4 ენა, როგორც კულტურის დეტერმინანტი

2.5 კინესიკის როლი გლობალურ ბიზნესში

თავი 3. კულტურებს შორის ეფექტიანი კომუნიკაცია

3.1 გლობალურ ბიზნესში კომუნიკაციური გამჭრიახობის მნიშვნელობა

3.2 გლობალურ ბიზნესშიKკულტურული და ენობრივი მრავალფეროვნებით გამოწვეული

პრობლემები

3.3 დაბნეულობა, ბოდიში, კომპლიმენტი და კრიტიკა, როგორც კომუნიკაცია

3.4 არავერბალური კომუნიკაციის სხვა მახასიათებლები

თავი 4. გლობალურ ბიზნესში კულტურული განსხვავებების გათვალისწინება

4.1 გლობალური და ადგილობრივი ბიზნესის კულტურული თავისებურებები

4.2 კულტურის შესახებ თეორიული მიდგომები

4.3 ჰოფსტიდი: ქვეყანათა დაჯგუფება მათი შრომითი ღირებულებების დეტერმინან-ტების მიხედვით

4.4 ტრომპენაარსის ალტერნატივა: კულტურული დეტერმინანტების განსხვავებული ხედვა

4.5 გლობალურ ბიზნესში კულტურული უნივერსალიზმის შესახებ თეორიული მიდ-გომები

თავი

თავი 5. განსხვავებული კულტურული ურთიერთობები აღქმა5.1 ხალხის, მოვლენების, კინესიკის აღქმა

5.2 კონტექსტის აღქმა.

5.3 სხვადასხვა კულტურებში დროის აღქმა

5.4 მიკუთვნების თეორია

5.5 დამოკიდებულება განსხვავებულ კულტურებში

5.6 სხვადასხვა კულტურებში სტერეოტიპების ფორმირება

თავი 6. სხვადასხვა კულტურებში მოლაპარაკებების გამართვა და კონ-ფლიქტების მართვა

6.1 კონფლიქტის კულტურული მიზეზები და მართვა

6.2 საერთაშორისო მოლაპარაკება, როგორც კონფლიქტების მართვის ფორმა

6.3 საერთაშორისო გარიგების პროცესი

თავი 7. კულტურის ზეგავლენა მოტივაციასა და ლიდერობაზე

7.1 კულტურათა ზეგავლენა მოტივაციის უმნიშვნელოვანეს თეორიებზე.

7.2 კულტურული ფაქტორების ზეგავლენა გაძლიერებაზე, ლოდინზე და მისაკუთრებაზე

7.3 საერთაშორისო კონტექსტში ეფექტიანი ხელმძღვანელობა

7.4 კულტურათაშორისი ლიდერობის მიმართულებით: „გზა-მიზნის“ თეორიის იდეებ-თან

ადაპტაცია Mმონოგრაფიაში გაანალიზებულია ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგო-რიცაა: გლობალიზაცია და ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში; კულტურული სხვადასხვაობის გათვალისწინების მნიშვნელობა ბიზნესში; კულტურის დეტერმინანტების შესწავლის როლი გლობალური ბიზნესის განვითარებისათვის; განსხვავებულიკულტურული

ურთი-ერთობების სწორი აღქმა; კულტურის ზეგავლენა მოტივაციაზე და სხვა.

ზემოაღნიშნული მულტიკულტურული პრობლემების ფართო განხილვის, მათი გააზრებისა და შემეცნების გარეშე, თანამედროვე ბიზნესი წარმოუდგენელია. ის კარგა ხანია გავიდა ეროვნული ჩარჩოებიდან და გააერთიანა განსხვავებული კულტურული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანები. შედეგად, მულტიკულტურული განსხვავებების შესწავლა გახდა წარმატებული საქმიანობის საფუძველი, რომელიც აქტიურად ზემოქმედებს საქმიანი სფეროს ეფექტიანობის ამაღლებაზე. საზოგადოებაში ჩამოყალიბებული კულტურული სტერეოტიპების გაუთვალისწინებლობა ხდება ბიზნესის შემაფერხებელი ფაქტორი, მნიშვნელოვნად ზღუდავს მის შესაძლებლობებს. ადამიანების შემეცნების ფორმირება მიმდინარეობს ცოდნის, რწმენის, მორალის, კანონების, ღირებულებების, ნორმებისა და იმ ჩვევების საფუძველზე, რომლებსაც ისინი იძენენ საზოგადოებრივი თანაცხოვრების, განვითარების პროცესში. ახალი კულტურული ღირებულებების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ განსხვავებული ღირებულებების მქონე საზოგადოების სწორი შემეცნების, მისი ტრადიციების სწორი აღქმის შედეგად. Aამ კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის მულტიკულტურული პრობლემების კვლევა, რაც პროფესმა თეიმურაზ შენგელიამ თავის ჭეშმარიტად მასშტაბურ მონოგრაფიულ გამოკვლევაში სისტემურად წარმოადგინა.

ბიზნესისა და ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია გახდა უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემა. წარმოების ხასიათი ხდება საერთაშორისო, ხოლო ბიზნესის სკოლები უფრო მეტად ორიენტირებულნი საერთაშორისო მენეჯერების მომზადებაზე, რაც გლობალური ბიზნესის კონტექსტში ნიშნავს საერთაშორისო კულტურული სხვადასხვაობის უფრო ფართო აღქმას და ინტერპრეტაციას.

ბიზნესი კარგა ხანია გავიდა ეროვნული ჩარჩოებიდან და მან მოიზიდა განსხვავებული კულტურული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანების სულ უფრო მეტი რაოდენობა, რის შედეგადაც კულტურული სხვადასხვაობის შესწავლა ორგანიზაციებში იზრდება და უფრო აქტიურად ზემოქმედებს საქმიანი სფეროს ზღვრულ ეფექტიანობაზე. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება საქმიანი სფეროს მულტიკულტურული პრობლემები, რომლებიც გამოიხატება ახალ კულტურულ და სოციალურ პირობებში არსებული წინააღმდეგობის ზრდაში, რომლებიც განპირობებულია ადამიანების ცალკეულ ჯგუფებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპებით. ადამიანების შემეცნების ფორმირება მიმდინარეობს ცოდნის, რწმენის, მორალის, კანონების, ღირებულებების, ნორმებისა და იმ ჩვევების საფუძველზე, რომლებსაც ისინი იძენენ საზოგადოებრივი თანაცხოვრების, განვითარების პროცესში. ახალი ღირებულებების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ განსხვავებული კულტურული ღირებულებების მქონე საზოგადოების სწორი შემეცნების, მისი ტრადიციების სწორი აღქმის საფუძველზე.

წიგნის სტრუქტურა, მისი არქიტექტონიკა, ყველა ქვეთავის საინტერესო ფორმულირება მიგვანიშნებს, რომ პროფ. თ. შენგელიას მონოგრაფია მასშტაბური და სრულყოფილი გამოკვლევაა. ავტორი, იხილავს რა აღნიშნული პრობლემის გარშემო არსებულ მდიდარ და საინტერესო თეორიულ და პრაქტიკულ გამოკვლევებს, სიღრმისეულად აანალიზებს მათ, უმატებს თავისი კვლევის შედეგებს საქართველოს შესახებ და ახალ, დასაბუთებულ განზოგადებებს გვთავაზობს, რაც კარგად ჩანს მის არაერთ საინტერესო ტირადეში, რომლებიც მონოგრაფიის თითქმის ყველა საკითხის განხილვისას ხშირად გვხვდება. მოვიყვანთ რამდენიმე ასეთ დასკვნას.

იხილავს რა გლობალიზაციისა და საერთაშორისო ბიზნესის განვითარებას მსოფლიოსა და საქართველოში, ნაშრომის მე-18 გვერდზე მეცნიერი მიუთითებს, რომ გლობალიზაციის პროცესების გაძლიერების შედეგად მსოფლიო პოლიტიკა სულ უფრო ნაკლებად არსებობს ეროვნული სახელმწიფოების დონეზე. მან გადაინაცვლა ზეეროვნულ დონეზე, ერთი მხრივ, კაპიტალის და ტექნოლოგიების მფლობელი გლობალური ჯგუფების ხელში, ხოლო მეორე მხრივ, ამ რესურსების მფლობელი სახელმწიფოების შიდა ეკონომიკური პროცესების დონეზე.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ტრანსეროვნული კომპანიები და ბანკები გადადიან გლობალურ სტრატეგიაზე, რაც ამცირებს მათთვის ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელობას. ტეკ-ები და სახელმწიფოები მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ერთნაირი სიძლიერის პარტნიორები გახდნენ, რომლებიც თანამშრომლობენ და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, ქმნიან რა გლობალური ეკონომიკის ორი თვისებრივად განსხვავებული მარეგულირებელი ქვესისტემის გარკვეულ სიმბიოზს. ასევე აღსანიშნავია, რომ ტეკ-ების მოქმედებები, მიუხედავად გლობალიზაციის პროცესების გაძლიერებისა, მოიცავს გარკვეულ რეგიონებს და არა მთელ მსოფლიოს. გლობალიზაციის პროცესი არ ცვლის გეოგრაფიას, არამედ გადაჰყავს ის ახალ თვისებრივ განზომლებაში, სადაც გეოგრაფიული მანძილი მოკლდება, მაგრამ არ ქრება. მსოფლიო საფინანსო ბაზარმა, გლობალური ელექტრონული კავშირით ურთიერთდაკავშირებულმა ბანკებმა, სადაზღვევო კომპანიებმა, საინვესტიციო და საპენსიო ფომნდებმა, ტეკ-ებმა, უფრო მჭიდროდ

დაუკავშირეს ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნების ბედი და უფრო რადიკალურად ცვლიან მსოფლიოს, ვიდრე მსოფლიო ისტორიის ნებისმიერი იმპერია, იდეოლოგია, რელიგია, პოლიტიკური მოძრაობა თუ საერთაშორისო ორგანიზაცია.

შემდეგ, 28-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს:

ჩვენ ვეთანხმებით ჰოფსტედს, რომელიც განსაზღვრავს კულტურას, როგორც გონების კულტურულ დაპროგრამებას, რომელიც განარჩევს ადამიანთა ერთ ჯგუფს ან კატეგორიას ერთმანეთისაგან. ეს "დაპროგრამება" არ შეიძლება მივიღოთ პირდაპირი გაგებით. უმჯობესია, თუ დასკვნას გამოვიტანთ მათი ქცევიდან. ასევე, ხშირად ხალხმა არ იცის თუ როგორ ზემოქმედებს კულტურა მათ ურთიერთობებზე, რწმენასა და ქცევაზე. კულტურა - ეს არის კონცეფცია, რომელიც მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, თუ ის წინასწარ ზუსტად განსაზღვრავს ქცევას. თუმცა კულტურული ღირებულებები შეიძლება შესამჩნევად შეიცვალოს მაშინ, როდესაც სახელმწოფოების საზღვრები იკვეთება. ამის გარდა, სხვადასხვა ქვეყნებში გარკვეულ კულტურულ ჯგუფებს შეუძლიათ თანაარსებობა. მიუხედავად ამ სირთულეებისა, მნიშვნელოვანია გვესმოდეს კონკრეტული ქვეყნების სხვადასხვა კულტურული ღირებულებები და ის, თუ როგორ მოქმედებენ ისინი საერთაშორისო ბიზნესზე.

თანამედროვე კორპორაციები საერთაშორისო ბიზნესს უამრავი სხვადასხვა გზით ამყარებენ. ზოგიერთი მათგანი პროდუქციის რეალიზაციას ეწევა ქვეყნის შიგნით, მაშინ, როცა სხვებს აქვთ სხვადასხვა ქვეყნებში ექსპორტის გზით ვაჭრობის შესაძლებლობები. ზოგიერთი ფირმა საზღვარგარეთ პროდუქციის წარმოების ან მომსახურების პირობებს ქმნის, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის შემეცნება, თუ როგორ აღწევენ ფირმები საერთაშორისო ბიზნესში წარმატებას.

ჩვენი ქვეყნის რეალობის ანალიზიდან გამომდინარე, მონოგრაფიის ავტორი შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს და ერთ-ერთ ასეთ რეკომენდაციას გვთავაზობს: ხელისუფლებამ ორიენტაცია უნდა აიღოს იმ ფაქტორების გააქტიურებაზე, რომლებიც იწვევენ დოლარის მასის ზრდას. მაგრამ, ეს არის ხანგრძლივი პროცესი და მოითხოვს დროისა და ენერგიის დაუზოგავ ხარჯვას. ლარის გაუფასურების გადაბრალება მხოლოდ საგარეო ფაქტორებზე მთავრობის მცდარი პოზიციაა, უნდა ვაღიაროთ და გავითავისოთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დაშვებული შეცდომები, მათი სოციალური შედეგები, დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები. ლარის გაუფასურებამ გაზარდა სოციალური უთანასწორობა ქვეყანაში. მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, ხოლო ღარიბები უფრო გაღარიბდნენ. გარდა ამისა, ლარისადმი ნდობა შემცირდა, ასეთი პოლიტიკა არ შეიძლება დადებითად შეფასდეს, ის ვერ მოუტანს ქვეყანას ეკონომიკურ წარმატებას, რაც ისედაც გაღარიბებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბების საწინდარი გახდება.(გვ. 69-70).

მეცნიერის კიდევ ერთ ტირადეში აღნიშნულია: კულტურა მოიცავს იმ ღირებულებებსა და ნორმებს, რომლებიც საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება და განიცდის ცვლილებას მისი განვითარებისდ ყველა ეტაპზე. ცხადია ისიც, რომ ღირებულებები არსებობს იმ გარემოში, რომელშიც საზოგადოებრივი ურთიერთობის გარკვეული ნორმები არის დამკვიდრებული. ისინი შეიძლება აერთიანებდნენ საზოგადოების დამოკიდებულებას: ინდივიდუალური თავისუფლების, დემოკრატიის, სიმართლის, სამართლიანობის, პატიოსნების, ერთგულების, სოციალური მოვალეობების, კოლექტიური პასუხისმგებლობის, ქალის როლის, სიყვარულის, ქორწინების და ასე შემდეგ მიმართ. ღირებულებები არა მარტო აბსტრაქტული ცნებაა არამედ საზოგადოებაში ისინი იძენენ სრულიად კონკრეტულ მნიშვნელობას. ხალხი იბრძვის და იღუპება ისეთი საზოგადოებრივი ღირებულებებისთვის, როგორიცაა: თავისუფლება, დამოუკიდებლობა, დემოკრატია და სხვა; ღირებულებები აისახება საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ სისტემებზე. თავისუფალი კაპიტალისტური ბაზარი არის ანარეკლი იმ ფილოსოფიური ღირებულებათა სისტემის, რომელიც ხაზს უსვამს პიროვნულ თავისუფლებას. ნორმები არის ის სოციალური წესები, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანების ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებას. N ფორმები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: "ყოველდღიური" და "უფრო მეტი" (მორეს), უკანასკნელში იგულისხმება "ზნე-ჩვეულებანი". ყოველდღიური ნორმები არის ცხოვრების რუტინული კონცეფცია, ჩვეულებრივი, "ყოველდღიური" მორალური მნიშვნელობების ქმედებები. ეს სოციალური კონცეფცია, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შესაფერისი ჩაცმულობა, ქცევები, საზოგადოებისათვის მისაღები მანერები და სხვა. "ყოველდღიური" განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი თავის ჩვეულებრივ ყოფაში, თუმცა მისი დარღვევა არ აკისრებს პიროვნებას სოციალურ პასუხისმგებლობას. ის ადამიანები ვინც არღვევს ამ ნორმებს შეძიძლება ჩათვალონ ექსეცენტრიულებად, ან ცუდი მანერების მქონე პიროვნებებად, მაგრამ არა ბოროტმოქმედებად. ბევრ ქვეყანაში მოთმინებით ეკიდებიან უცხოელების მიერ ამ ნოემების დარღვევას. ამის კარგი მაგალითია, სხვადასხვა ქვეყნებში დროის ფაქტორისადმი დამოკიდებულება. დასავლეთში მოქალაქეები, უფრთხილდებიან დროს, ერიდებიან

ემის უქმად ხარჯვას. ამ ქვეყნებში საქმიანი ხალხი რაციონალურად ანაწილებს დროს და უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ბიზნეს პარტნიორის შეხვედრაზე დაგვიანების გამო....(გვ. 124).

მონოგრაფიის ავტორი, ეხება რა კულტურის საერთაშორისო გავლენის საკითხს, წერს: კულტურა არის "ტვინის კოლექტიური დაპროგრამება, რომელიც განასხვავებს ერთ ჯგუფს ან ხალხის კატეგორიას მეორისაგან." ნაკლებად მოსალოდნელია ხალხს ბოლომდე ესმოდეს თუ რაოდენ დიდ გავლენას ახდენს მათი კულტურა ურთიერთდამოკიდებულებაზე, რწმენასა და ქცევებზე. არსებობს უამრავი საბუთი, იმის დასამტკიცებლად, რომ კულტურას აქვს დიდი გავლენა საერთაშორისო ბიზნესზე. ფაქტობრივად, კულტურულ განსხვავებებს შეუძლია გავლენა იქონიოს იმაზე, თუ რას ელოდება მუშაკი დამსაქმებელი კომპანიისაგან, როგორ ეგუება ემიგრანტი უცხო გარემოს და როგორ აბანდებენ ფირმები ინვესტიციებს სხვა კონტინენტებზე. ამ გავლენას შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე მხარე. სხვა სიტყვებით, კულტურულ განსხვავებებს შესწევთ უნარი, ჩამოაგდონ უთანხმოება, ისევე, როგორც მოიტანონ დიდი სარგებელი. საერთაშორისო ბიზნესისპროგრესმაკულტურულითვალსაზრისით განსხვავებული მუშახელის შეთანხმებული მოქმედებისთვის განსაზღვრა ახალი მოთხოვნები. ასევე კულტურულ ღირებულებებს (როგორიცაა, შრომის მნიშვნელობა და ყაირათიანობა) შეუძლიათ გავლენა იქონიონ ადამიანის შრომის მოტივაციაზე, რითაც შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ერების ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონე. ასე, რომ მენეჯერებს სჭირდებათ იმის ცოდნა, თუ როგორი სტრატეგია ამართლებს განსხვავებული კულტურული ფასეულობების მქონე ადამიანებთან მათი შრომითი მოტივაციის დადგენის თვალსაზრისით. ადამიანური რესურსების გამოყენება, ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრატეგიათა შემუშავება, მათი რეალიზაცია, კონფლიქტების მართვისადმი მიდგომები, საქმიან მოლაპარაკებათა ტაქტიკა და ხელმძღვანელობების სტილი კულტურული თავისებურებების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება. მაგალითად, აზიის ქვეყნებში (ინდონეზია, კორეა, ტაილანდი) სამეწარმეო ინტერესი შეიძლება უფრო მეტად დაკავშირებული იყოს სოციალურ სტატუსთან (წარმატების დროს სახელის მოხვეჭა და მისი დაკარგვა მარცხის შემთხვევაში) ვიდრე ეს არის ინგლისურენოვან ქვეყნებში (ავსტრალია, აშშ და სხვა). (გვ. 132).

ზემოაღნიშნულ ღრმაშინაარსიან მსჯელობათა მსგავსი განზოგადებანი გამოკვლევაში საკმაოდ მრავლადაა. დაინტერესებულმა მკითხველმა შეიძლება უამრავი წიგნი წაიკითხოს, მაგარამ ამ პროცესში ვერ იგრძნოს მორალური კმაყოფილება. აქ კი იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც მულტიკულტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების მეცნიერული კვლევის შედეგების განხილვა, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე ღრმა საფუძვლებს ეხება, დაწყებულირელიგიითდადამთავრებულიმიწიერი ყოველდღიურობის ყოფითი საკითხებით, თავისი შედეგებით უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს. ღრმად ვართ დარწმუნებული, იმისათვის, რომ ქვეყანა წინ წავიდეს, პროფესორ თეიმურაზ შენგელიას მიერ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება უეჭველად სასარგებლო იქნება. ბარაქალა ავტორს, მის მეცნიერულ კალამს, უფლისგან მომადლებულ დიდ ნიჭსა და შემოქმედებით უნარს, რომელმაც ასეთი საჭირო და სასარგებლო მოონოგრაფია უძღვნა ჩვენს საზოგადოებას.

პროფესორები:

შოთა ვეშაპიძე
ლეონიდ ქარჩავა
თამარ ბერიძე
მიხეილ თოქმაზიშვილი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ლეო ჩიქავა

საქართველოს ეკონომიკურმა საზოგადოებამ დდი დანაკლისი განიცადა. 87 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებატა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოიქტორი, პროფესორი. პროფესორი ლეო ჩიქავა დაიბადა 1928 წლის 20 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1955-1967 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი და პროფესორი, 1969-1974 წლებში უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიეკონომიის კათედრისგამგე,1974-1983წლებშიკი-საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე. 1983-1990 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. იგი იყო საქართველოს მეცნიერებატა აკადემიის დემოგრაფიული და სოციალური კვლევის ინსტიტუტის დამფუძნებელი და მისი უცვლელი დირექტორი 1990-2006 წლებში. 1997 წლიდან მის მის მიერ დაფუძნებული პაატა გუგუშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი. 1999 წლიდან ბატონი ლეო ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრს. იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი. 1954 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაცია. ბატონი ლეო არის 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, აქედან 21 მონოგრაფიის, წიგნისა და ბროშურის ავტორი. მისი კვლევის სფეროები იყო ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, მრეწველობის, დემოგრაფიის, სოციოლოგიის ტერმინოლოგიის პრობლემები. დიდი აღიარება მოიპოვა მისმა მონოგრაფიებმა: „დემოგრაფია და მისი კანონთა სისტემა“ (2008), და „არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტიკური ასპექტები“ (1987). სახელმძღვანელოებმა: „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“ (1997) და „საქართველოს ეკონომიკა“ (1995) და სხვ. ბატონი ლეო იყო მისი ინიციატივით დაფუძნებული საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი, არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი. ბატონი ლეოს ხელმძღვანელობით აღიზარდა სტუდენტთა და მეცნიერთა არაერთი თაობა, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ ქვეყნის საკეტილდღეოდ. ბატონმა ლეომ თავისი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, პრინციპულობითა და ობიექტურობით, კეთილშობილებიტა და მიმტევებლობით ადამიანტა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმასახურა. ის დაჯილდოებული იყო საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი - ღირსების ორდენით. ბატონი ლეოს ნატელ ხსოვნას არასოდეს დაივიწყებენ მისი მეგობრები და აღზრდილები.

ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“

სარედაქციო კოლეგია.

ეკონომიკა, პოლიტიკა და სამართალი

ეკონომიკა ყველაფრის
დასაწყისი და ძირია,
ის პოლიტიკის ფუძეა
ან მისი ჩასაძირია.

ეკონომიკა ის არის,
რასაც მისთვის ყველა იცავს,
ხოლო ის, მის ზედნაშენის
სიკვდილ-სიცოცხლეს მოიცავს.

ეკონომიკა კარგია.
ყველას უნდა და არგია,
რომ პოლიტიკამ არ მართოს
არაისეთი დარგია.

პოლიტიკა ისეთია
ზოგს არგია, ზოგს კი - არა.
ზოგჯერ იგი ისეთია
თავის თავს ცნობს, სხვას კი არა.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში
ძალას იძენს სამართალი,
თუმცა, ზოგჯერ ისიც სუსტობს
და არ ფასდება მართალი.

ყველამ უნდა გაიგოს რომ,
ყველამ უნდა თქვას მართალი,
რათა არავინ აკეთოს,
რასაც კრძალავს სამართალი.

ცბიერსა და მატყუარას
არ სურს, რომ გვითხრას მართალი,
მაგრამ მუდამ ბოლო სიტყვას
მაინც ამბობს სამართალი.

გამოდის რომ სამართალი
თითქოს მართავს პოლიტიკას,
მაგრამ არც ეს ყოველთვის, მთლად
ვეღარ გაუძლებს კრიტიკას.

პოლიტიკა მისი არსით
ხომ სამართლის მშობელია.
ახლა მოდით და ვარკვიოთ
უფრო დიდი რომელია.

ამ ყველაფრის დედაც, მამაც
ყველგან ადამიანია,
რომელიც მის ბედს განსაზღვრავს,
სანამ არაგვიანია.

ეკონომიკის არსია
საკუთრება და ქონება,
რომლებმაც ადამიანებს
ჩამოუბნელეს გონება.

ზოგს დაავიწყდა სინდისი
აქ ყოფნა და იქ ცხონება,
თავში კი რჩებათ მხოლოდ ის,
რასაც დღეს ქვია ქონება.

ასეთები ადრეც იყვნენ,
არიან და იქნებიან,
მაგრამ უკვე სხვა დრო დადგა
სჯობს, თუ დაუფიქრდებიან.

სად რა მოხდა და რა ხდება,
ამას თითქმის ყველა ჰყვება.
საქმე იმის განჭვრეტაა
სად, როდის, რას რა მოჰყვება.

ვისაც ეხება იმას ვთხოვ
გამიგოს მან ეს ნათქვამი,
თუ არადა ჩვენი სიტყვით
იმის მიმართ ასეც ვიტყვით:

***

შენს მოწამლულ წყალში მდგომო
წყალი გწვდება ყელამდე,
შეეცადე მიაღწიო
სამოწყალოდ შველამდე.

ალექსანდრე კვაშილავა
21.05. 2015წ

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებ-ისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB0000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: economist_n@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.
3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8 GEL (Lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5 GEL (Lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: economist_n@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

Smarty
Print House

შპს "Smarty" გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ბანერი
სტიკერი
ბადე სტიკერი

ოფსეტური ბეჭდვა

HEIDELBERG A2

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწებადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი: ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აგლაძის ქ.83

551 30 33 20

smartyLTD@gmail.com

smarty.ltd

Smarty

www.smarty.ge